**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**იურიდიული ფაკულტეტი**

**სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

მეოთხე სემესტრის სტუდენტი

**ნატალია ახალაძე**

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

# „სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა“

**თემის ხელმძღვანელი: ნუნუ კვანტალიანი, სამართლის დოქტორი, მოწვეული ლექტორი**

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**თბილისი 2019**

## გამოყენებული აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

რედ. - რედაქტორი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ჯდკ - ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი

სარჩევი


**I შესავალი** ..... 5

ii ნაშრომის სტრუქტურა ..... 7

**1. სუროგაციის ცნება და სახეები** ..... 8

1.1. სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთი ფორმა ..... 9

1.2. ტრადიციული სუროგაცია ..... 10

1.3. გესტაციური სუროგაცია ..... 12

1.4. კომერციული სუროგაცია ..... 14

1.5. ალტრუისტული სუროგაცია ..... 16

1.5.1. ალტრუისტული სუროგაცია დიდ ბრიტანეთში ..... 17

1.5.2. ალტრუისტული სუროგაცია საბერძნეთში ..... 18

1.6. სოციალური სუროგაცია ..... 19

**2. სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში** ..... 19

2.1. უშვილობის მკურნალობა როგორც წინაპირობა ..... 20

2.2. გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკი ..... 20

2.3. საშვილოსნოს არქონა, როგორც კანონით გათვალისწინებული წინაპირობა ..... 21

**3. სუროგაციის ხელშეკრულება** ..... 23

3.1. ხელშეკრულების ტიპი ..... 24

3.2. ხელშეკრულების დადება ..... 25

3.3. ხელშეკრულების სანოტარო ფორმა ..... 27

3.4. ხელშეკრულების საკვანძო საკითხები ..... 29

3.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა; შეცვლილი გარემოებები ..... 31

**4. სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების უფლება-მოვალეობები** ..... 32

4.1. ვის შეუძლია იყოს სუროგატი დედა ..... 32

4.2. სუროგატის მიერ ხელშეკრულების დადებაზე გამოხატული თანხმობა ..... 33

4.3. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა სუროგაციის დროს ........................................ 36
4.3.1. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მოთხოვნა - კრისტალ კელის საქმე... 37
4.3.2. სელექციური აბორტი - მელისა ქუქი ჰარდინგის წინააღმდეგ ........................ 39
4.3.3. აშშ-ს ნევადას შტატი .................................................................................. 40
4.4. პოტენციური მშობლები .................................................................................. 41
4.5. მშობლის სტატუსის განსაზღვრა .................................................................... 42
4.6. პოტენციური მშობლებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მინიჭება ........................................................................................................ 43
**5. საერთაშორისო მიდგომა** ........................................................................ 46
5.1. ჰააგის კერძო სამართლის კონფერენცია სუროგაციის შესახებ............................ 48
5.2. შეფასების ფარგლები........................................................................................ 49
5.3. სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრება.................................. 50
5.4. დიდი ბრიტანეთი .............................................................................................. 51
5.5. ისრაელი ........................................................................................................... 52
5.6. აშშ .................................................................................................................. 54
**6. სუროგაციის ეთიკურ-სამართლებრივი დილემა**............................................ 54
6.1. საზოგადოების სტიგმა და არაჰუმანური პრაქტიკა ............................................ 56
6.2. ბავშვის უფლებები ............................................................................................ 57
6.2.1. გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია ............................................. 59
6.2.2. კომერციული სუროგაცია და ბავშვთა კონვენციის 35-ე მუხლი....................... 61
6.3. ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენცია და სხვა საერთაშორისო აქტები ........................................................................................ 63
**დასკვნა**............................................................................................................. 64
**ბიბლიოგრაფია** ................................................................................................ 67
გამოყენებული ქართული საკანონმდებლო აქტები ................................................ 67
საერთაშორისო აქტები ........................................................................................... 67
უცხო ქვეყნების კანონმდებლობა............................................................................ 68
გადაწყვეტილებები ................................................................................................. 68
ქართულენოვანი ლიტერატურა .............................................................................. 70
უცხოენოვანი ლიტერატურა ................................................................................... 71

ინტერნეტ რესურსები ........ 80
სხვა წყაროები ........ 84

## სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა

"Mater semper certa est"[1]

### I შესავალი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტთა სამართლებრივ მდგომარეობას და ამ პრაქტიკაში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობებს. ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული მიდგომების ფონზე ნაშრომში განხილულია სუროგაციასთან დაკავშირებული ეთიკურ-სამართლებრივი საკითხები.

### i ნაშრომის მიზნები და ფარგლები

დღესდღეობით სუროგაცია ითვლება ყველაზე გავრცელებულ რეპროდუქციულ ტექნოლოგიად, რომელიც ხელმისაწვდომია მილიონობით მსურველისათვის, თუმცა, მიუხედავად ამისა, არ არსებობს მისი რეგულირების უნიფიცირებული მოდელი. გამომდინარე იქიდან, რომ სუროგაცია არის მეტად კომპლექსური „უშვილობის მკურნალობის მეთოდი", ის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას მრავალი მიზეზის გამო.

იურისდიქციების მიხედვით განსხვავდება არა მარტო რეგულირების სტილი, არამედ პრაქტიკაში დანერგილი ტერმინებიც. სუროგაციის პროცესში გამოსაყენებელი ტერმინოლოგიის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის გავლენას ახდენს საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირებაზე. გაერთიანებული სამეფოს ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის ორგანომ 2018 წლის შემუშავებულ

[1] „ბავშვის დედა ყოველთვის ცნობილია" - რომაული სამართლის პრინციპი, რომელსაც პრეზუმფციის ძალა აქვს და გულისხმობს, რომ, განსხვავებით მამის სტატუსისა, მშობიარობის შედეგად ყოველთვის ნათელია თუ ვინ არის ბავშვის დედა.

პრაქტიკის კოდექსის მე-9 გამოცემაში „ტერმინი სუროგატი დედის“ ნაცვლად გამოიყენა მხოლოდ „სუროგატი“ და „შემკვეთი წყვილის“ ნაცვლად „პოტენციური მშობლები“.[2] სიტყვა „დედა“ გამიზნულად არის ამოღებულია და დატოვებულია მხოლოდ სუროგატი, რადგან ადამიანების ცნობიერებაში არ მოხდეს მისი ბიოლოგიურ დედასთან გაიგივება. მსგავსი მიდგომა აქვს ამერიკის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრს, ის ქალს, რომელიც ატარებს მასთან გენეტიკური კავშირის არმქონე ბავშვს, უწოდებს გესტაციურ მატარებელს.[3]

სუროგაციის პირველი წარმატებული განხორციელება 1976 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შედგა[4] და მას შემდეგ ამ პრაქტიკის რეალურად გამოყენება არის დაუსრულებელი დებატის საგანი. მისი განხილვა ხდება სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგალითად ბავშვის უფლებების, სუროგატი დედის, პოტენციური მშობლების თუ შუამავალი სააგენტოების კუთხით.

სუროგაციის ხელშეკრულებების უმრავლესობა მხარეებისთვის სარგებლის მომტანად მიიჩნევა და მათი ძირითადი ნაწილი სრულდება დავის წარმოშობის გარეშე.[5] თუმცა, სათანადო კონტროლის მექანიზმის არქონის პირობებში სუროგაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვებს, ქალის რეპროდუქციულ შესაძლებლობებს, მოახდინოს იმ ღარიბი ქალების ექსპლუატაცია, რომელთა გადაწყვეტილება მონაწილეობა მიიღონ სუროგაციის პროცესში არ არის ნებაყოფლობითი და შეუსაბამოდ ჩაერიოს ბუნებრივად არსებულ დედისა და შვილის კავშირის ფორმირებაში.[6]

საქართველო წარმოადგენს სუროგაციის ყველაზე გაკიცხვადი სახის - კომერციული სუროგაციის საყოველთაოდ ცნობილ ცენტრს,[7] სადაც უამრავი საკითხი კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს სუროგაციის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტები და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სუროგაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დეტალური რეგულირების საჭიროების აუცილებლობა. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე სუროგაციის მხოლოდ სამართლებრივ ჭრილში განხილვა წარმოუდგენელია, რადგან ის ვერ ასახავს რეალურ სურათს. საჭიროა იმ ეთიკურ-სოციალური კონტექსტის გაანალიზება, რაც თან ახლავს რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებას.

---

[2] Code of Practice 9th edition, Human Fertilisation and Embryology Authority, p.1- 281, (1 October 2018) https://www.hfea.gov.uk/media/2609/june-2018-code-of-practice-9th-edition-draft.pdf (წვდომის თარიღი: 7.05.2019)

[3]იხ. ბმული https://www.cdc.gov/art/key-findings/gestational-carriers.html (წვდომის თარიღი:10.05.2019)

[4] იხ. ბმული https://surrogate.com/about-surrogacy/surrogacy-101/history-of-surrogacy/ (წვდომის თარიღი: 14.06.2019)

[5] AM. MED. ASSOC., CODE OF MEDICAL ETHICS OF THE AMERICAN MEDICAL ASSOCIATION 2.18 (2010)

[6] იქვე.

[7] იხ. ნაშრომის 54- გვერდი

ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთი ფორმა, ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებები, საერთაშორისო მიდგომები და ტენდენციები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და მკვლევართა მოსაზრებები.

## ii ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი სტრუქტურიზებულია შემდეგნაირად: მოცემულია ექვსი ძირითადი თავი, თითოეული ჩაშლილია თემისთვის რელევანტურ ქვეთავებად და ქვესაკითხებად, შესაბამისი შუალედური დასკვნებით. ნაშრომის დასასრულს კი მოცემულია ზოგადი დასკვნა და ბიბლიოგრაფია.

I თავი შეიცავს სუროგაციის ცნების, ფორმებისა და სახეების განხილვას. მასში მოცემულია ტრადიციული, გესტაციური, კომერციული, ალტრუისტული და სოციალური სუროგაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითზე.

II თავი ეხება სუროგაციის რეგულირებას საქართველოში და ხელოვნური განაყოფიერების გამოყენებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ წინაპირობებს. კერძოდ, უშვილობის სამედიცინო ჩვენებასა და გენეტიკური დაავადებების გადაცემის რისკს.

III თავი ეძღვნება სუროგაციის ხელშეკრულების ძირითადი ასპექტების გაანალიზებას. განხილულია ხელშეკრულების ტიპი, ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძვლები, კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო სანოტარო ფორმა, კონტრაქტში ცვლილების შეტანა და შეცვილი გარემოებები.

IV თავი არის ნაშრომის ყველაზე მოცულობითი ნაწილი, რომელშიც მოცემულია ხელშეკრულების სუბიექტთა უფლება-მოვალეობები. კერძოდ, ვის აქვს უფლება იყოს სუროგატი, ხელშეკრულების დადებაზე გამოხატული ინფორმირებული თანხმობა, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, მშობლის სტატუსის განსაზღვრა და პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მინიჭება.

V თავში მოცემულია სუროგაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო დონზე არსებული მიდგომების განხილვა. კერძოდ, სუროგაციის შესახებ ჰააგის კერძო სამართლის კონფერენციის მნიშვნელობა და მოლოდინები, სახელმწიფოთა შეფასების ფართო

ზღვარი, სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრება, დიდი ბრიტანეთის, ისრაელისა და აშშ-ს იურისდიქციების მიმოხილვა.

VI თავი შეეხება სუროგაციის ყველაზე პრობლემატურ საკითხებს - ეთიკურ-სამართლებრივ დილემას, სუროგატის ექსპლუატაციას, საზოგადოების სტიგმას, არაჰუმანურ პრაქტიკას, ბავშვის უფლებების განხილვას გაეროს კონვენციის ჭრილში და ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის მიმართებას კომერციულ სუროგაციასთან.

## 1. სუროგაციის ცნება და სახეები

სუროგაცია ეს არის პრაქტიკა, როდესაც ქალი ორსულდება და ბავშვს აჩენს იმ მიზნით, რომ ის გადასცეს ისეთი პირს, რომელსაც არ შეუძლია მისი ყოლა.[8]

სუროგაცია მრავალი წელია არსებობს, როგორც ბავშვის შეძენის ალტერნატიული გზა, თუმცა ამის მიუხედავად ის დღემდე ყველაზე საკამათო მეთოდად მიიჩნევა ხელოვნური რეპროდუქციის სფეროში.[9]

ინდივიდები, რომლეთაც აქვთ სურვილი ჰყავდეთ და აღზარდონ თავანთი შვილები, მაგრამ სამედიცინო მიზეზების გამო არ გააჩნიათ ბუნებრივი გზით შვილის ყოლის შესაძლებლობა მიმართავენ სხვადასხვა ალტერნატიულ რეპროდუქციულ მეთოდებს.[10] **სუროგაცია კი არის რეპროდუქციული ტურიზმის მთავარი სერვისი.**[11] თუმცა, ის სავსეა ეთიკური, სამართლებრივი და სოციალური წინააღმდეგობებით, იმიტომ რომ მას ორსულობის ტვირთი გადააქვს ერთი ქალიდან მეორეზე.[12] სუროგაციის დროს ტრადიციული შეხედულებები ეჭვქვეშ დგება და ჩნდება კითხვა თუ რას ნიშნავს იყო დედა. ახალმა საუკუნემ მშობლისა და შვილის ურთიერთობის განსაზღვრებას ახალი კომპონენტები შესძინა, წინასწარ განზრახვამ და ხელშეკრულების პირობებმა ჩაანაცვლა ბიოლოგიის ცნებები, რომლებიც გამოიყენებოდა ბავშვსა და მშობელს შორის კავშირის

---

[8] Merriam-Webster Dictionary, იხ. ვებ-გვერდი http://www.merriam-webster.com (წვდომის თარიღი: 14.06.2019)

[9] London C., Advancing a Surrogate-Focused Model of Gestational Surrogacy Contracts, 18 Cardozo J.L. & Gender, (2012) 393

[10] Zehr J., Using Gestational Surrogacy and Pre-Implantation Genetic Diagnosis: Are Intended Parents Now Manufacturing the Idyllic Infant, 20 Loy. Consumer L. Rev. (2008) 296

[11] Hevia M., Surrogacy, privacy, and the American Convention on Human Rights, *Journal of Law and the Biosciences*, Volume 5, Issue 2, (August 2018) 379

[12] Robertson J., Other women's wombs: uterus transplants and gestational surrogacy, Journal of Law and the Biosciences, ( March 2016) 71

დადგენისას.[13] რეპროდუქციული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, ქალს შეუძლია გამოიყენოს თავისი კვერცხუჯრედი დაორსულების გარეშე ან იყოს ფეხმძიმედ ისეთ ბავშვზე, რომელიც მისთვის გენეტიკურად უცხო არსებას წარმოადგენს.[14]

თანამედროვე რეპროდუქციული ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა ბავშვის შექმნისა და მასზე ზრუნვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთოს რამდენიმე ადამიანი, მინიმუმ სამი პირი ( გესტაციური/სუროგატი დედა, პოტენციური დედა, პოტენციური მამა ) და პოტენციურად ხუთი ( სუროგატი დედა, ბიოლოგიური დედა, ბიოლოგიური მამა, პოტენციური დედა, პოტენციური მამა), ამასთან, თითოეულ მათგანს შესაძლებელია ჰქონდეს თავისი გამორჩეული როლი.[15]

ჩვენი საზოგადოება ჯერ აღმოაჩენს და განავითარებს სამედიცინო ან სამეცნიერო ტექნიკას, დანერგავს მას პრაქტიკაში, ხოლო შემდეგ სთხოვს ექსპერტებს ამ პრაქტიკის სამართლებრივ და ეთიკურ ჭრილში განხილვას.[16]

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს კონტროლი გაუწიოს თავსი მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომ ყველა არჩევანს, რაც რეპოდუქციულ ტურიზმთან არის დაკავშირებული.[17] ქმედითი კონტროლის მექანიზმის შემუშავება განსაკუთრებულად რთულია საერთაშორისო დონეზე სუროგაციის რეგულირებასთან დაკავშირებული კონსესუსის არარსებობის პირობებში. არ არსებობს სახელმწიფოსთვის მისაღები საერთო სტანდარტი, ქვეყნების უმრავლესობა მას აწესრიგებს ინდივიდუალურად და ამ მიდგომების განსხვავებულობა გამოწვეულია სპეციფიკური კულტურული და სოციალური ფონით.[18]

### 1.1. სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთი ფორმა

სუროგაციის, როგორც მეცნიერული მიღწევის, უგულებელყოფა არ შეიძლება, რადგან ბევრი ინდივიდისთვის ის წარმოადგენს ერთადერთ გზას ჰყავდეს მასთან გენეტიკურად დაკავშირებული შთამომავალი.[19] ამ კავშირის არსებობა კი საკმაოდ ბევრი ადამიანისთვის

[13] Dolgin J., Status and Contract in Surrogate Motherhood: An Illumination of the Surrogacy Debate, 38 Buff. L. Rev. p. 521, (1990)

[14] Zehr J., Using Gestational Surrogacy and Pre-Implantation Genetic Diagnosis: Are Intended Parents Now Manufacturing the Idyllic Infant, 20 Loy. Consumer L. Rev. (2008) 303

[15] Tobin, J. To Prohibit Or Permit: What Is The (Human) Rights Response To The Practice Of International Commercial Surrogarcy? International and Comparative Law Quarterly, 63(2), (2014) 326

[16] Ingram J., Surrogate Gestator: A New and Honorable Profession, 76 Marq. L. Rev. (1993) 675

[17] Carbone J., Miller C., Surrogacy Professionalism, 31 J. Am. Acad. Matrimonial Law. (2018) 2

[18] Butler P. Progress in Reproductive Health Research, Progress, No. 63, World Health Organization 2003, 1

[19] გენეტიკურ კავშირს ბევრი ანიჭებს დიდ მნშვნელობას, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც სუროგაციის დროს პოტენციური მშობლების არც სპერმა გამოიყენება და არც კვერცხუჯრედი.

არის მნიშვნელოვანი ცხოვრების მიზანი.[20] უშვილობა არის მდგომარეობა, რომლის მკურნალობაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. „ის უარყოფით გავლენას ახდენს როგორც დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე, ასევე სოციალურ მოვლენებზე (განქორწინება, შრომის ნაყოფიერების შემცირება).“[21] შეფასებით დადგინდა, რომ შვილის გაჩენასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე წყვილების 72-95% იწყებს სამედიცინო გზების მოძიებას უშვილობის სამკურნალოდ.[22] ევროკავშირის ქვეყნებს შორის ევროპის პარლამენტის მიერ 2013 წელს ჩატარებული შედარებითი კვლევის თანახმად, 160 მილიონ ევროპის მოქალაქეს არ აქვს სრული წვდომა რეპროდუქციასთან დაკავშირებულ პროცედურებზე საკუთარ ქვეყანაში. 80 000 წყვილს სჭირდება მკურნალობა, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ქვეყანაში და წელიწადში 24-30 ათასი მოქალაქე გადის საზღვრებს გარეთ რათა მიიღოს სასურველი მომსახურება.

**რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენება გახდა რეგულარული მოხმარების საგანი,** ის პრივილეგირებულებს სთავაზობს მათი გეგმების განხორციელებას გლობალურ პლატფორმაზე, სადაც არ არსებობს საზღვრები.[23]

ადრე მხოლოდ შვილად აყვანის გზით შეიძლებოდა წყვილს ჰყოლოდა არაბიოლოგიური შვილი, ახლა კი სუროგაციის გამოყენებით ადამიანებს შესაძლებობა აქვთ ჰყავდეთ, როგორც გენეტიკურად დაკავშირებული შვილი ისე გენეტიკურად უცხო.[24] სუროგაცია იქცა შვილად აყვანის ერთგვარ ალტერნატივად და მიუხედავად სუროგაციის თანმხლები სირთულეებისა და მონაწილე მხარეების სიმრავლისა ძალიან ცოტა კეთდება მათი ინტერესების დასაცავად.[25]

### 1.2. ტრადიციული სუროგაცია

---

[20] Bewkes F., Surrogate or Mother: The Problem of Traditional Surrogacy, 3 Tenn. J. Race Gender & Soc. Just. (2014) 148

[21] ვერულავა თ., ხაბეიშვილი მ., უშვიობის მკურნალობა საქართველოში, სამეცნიერო ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“ N2, 2015. 1

[22] Osagie E., Surrogacy: Whose child is it?, Journal of Medicine and Medical Sciences Vol. 1(11) December 2010, 505

[23] A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament's Committee on Legal Affairs, p. 27, May 2013, იხ. ბმული http://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=IPOL-JURI_ET(2013)474403 (წვდომის თარიღი: 3.05.2019)

[24] Ladomato D., Protecting Traditional Surrogacy Contracting through Fee Payment Regulation, 23 Hastings Women's L.J. (2012) 245

[25] A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament's Committee on Legal Affairs, May 2013
იხ. ბმული: http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2013/474403/IPOL-JURI_ET(2013)474403_EN.pdf (წვდომის თარიღი: 4.05.2019)

ტრადიციული სუროგაციის დროს ხდება სუროგატი დედის კვერცხუჯრედის გამოყენება და სუროგატი დედა არის ბავშვის გესტაციური და ბიოლოგიური დედა.[26] ბავშვის მამა შეიძლება იყოს დონორი ან პოტენციური მშობელი.[27] ტრადიციულ სუროგაციას ადარებენ შვილად აყვანას, რადგან სუროგატი დედა მასთან გენეტიკურად დაკავშირებულ ბავშვს გადასცემს პოტენციურ მშობლებს და რიგ იურისდიქციებში სწორედ შვილად აყვანის პროცედურა გამოიყენება ბავშვზე მშობლის სტატუსის მოსაპოვებლად.[28]

სანამ ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდი იქნებოდა ხელმისაწვდომი, ერთადერთი გზა უშვილო წყვილისთვის იყო სუროგატის ხელოვნური განაყოფიერება დონორის ან პოტენციური მამის სპერმით ანუ ტრადიციული სუროგაცია.[29] ამიტომ, ტრადიციულ სუროგაციას ხშირად მოიხსენიებენ როგორც ხელოვნური განაყოფიერების სუროგაციას.[30] თუმცა, განაყოფიერება შეიძლება მოხდეს სექსუალური აქტის მეშვეობითაც.

ურთიერთობა სუროგატ დედასა და დაბადებულ ბავშვს შორის არის დიდი ინტერესის საგანი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა სუროგატი არის ბავშვის გენეტიკური დედა.[31] ბავშვსა და სუროგატ დედას შორის არსებული გენეტიკური კავშირის გამო ამერიკაში ტრადიციულ სუროგაციას ნაკლები მსურველი ჰყავს და სააგენტოების დიდი ნაწილიც მხოლოდ გესტაციურ სუროგაციას სთავაზობს მომხმარებელს.[32] მიიჩნევა, რომ ტრადიციულ სუროგაციას ზოგჯერ იმიტომ მიმართავენ, რომ გესტაციურთან შედარებით ის უფრო ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მომხმარებლებიც ეკონომიკური სიძლიერით არ გამოირჩევიან.[33]

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციული სუროგაციის მეშვეობით დაბადებულ ბავშვზე მშობლის სტატუსის მოპოვების შესახებ დავისას სასამართლოები უპირატესობას ანიჭებენ სუროგატ დედას.[34]

---

[26] Strasser M., Traditional Surrogacy Contracts, Partial Enforcement, and the Challenge for Family Law, Journal of Health Care Law and Policy, Vol. 18, Issue 1, 2015, 87

[27] O'Connor H. Surrogate pregnancy: ethical and medico-legal issues in modern obstetrics.The Obstetrician & Gynaecologist, (2013) 113

[28] Ladomato D., Protecting Traditional Surrogacy Contracting through Fee Payment Regulation, 23 Hastings Women's L.J. (2012) 247

[29] Zehr J., Using Gestational Surrogacy and Pre-Implantation Genetic Diagnosis: Are Intended Parents Now Manufacturing the Idyllic Infant, 20 Loy. Consumer L. Rev.p. (2008) 299

[30]იქვე.

[31]Jadva V., Blake L., Casey P., and Golombok S., Surrogacy families 10 years on: relationship with the surrogate, decisions over disclosure and children's understanding of their surrogacy origins, Human Reproduction, Vol.27, No.10, (2012) 3009

[32] Bewkes F., Surrogate or Mother: The Problem of Traditional Surrogacy, 3 Tenn. J. Race Gender & Soc. Just. (2014) 147

[33] იქვე, გვ. 148

[34] იქვე, გვ. 147

ტრადიციული სუროგაციის უპირატესობად მიიჩნევა:

1. ხელოვნური განაყოფიერების სიიაფე და მრავალჯერადი ცდის შესაძლებლობა.
2. თუ პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა მეორე შეიძლება ჩატარდეს პირველი ცდიდან რამდენი კვირაში.
3. სუროგატს არ სჭირდება განაყოფიერებისთვის სპეციალური მედიკამენტების მიღება.[35]

ანაზღაურებად ტრადიციულ სუროგაციას ამსგავსებენ ბავშვთა ყიდვა-გაყიდვას, სხეულით ვაჭრობასა და თანამედროვე მონობას.[36] ტრადიციულ სუროგაციასთან დაკავშირებული ყველაზე გახმაურებული *Baby M* -ის საქმეა, სადაც სუროგატმა დედამ ბეტ, ვაითჰედმა, ბავშვის დატოვება გადაწყვიტა და მის ქმართან ერთად ახალშობილი მოიტაცა.[37] ბავშვის გენეტიკური მამა გახლდათ პოტენციური მამა უილიამ სტერნი. სუროგატ დედასა და პოტენციურ მშობლებს შორის დაიწყო სამართლებრივი დავა და ორივე მხარე იბრძოდა მოეპოვებინა ბავშვზე კანონიერი მშობლის სტატუსი. სასამართლომ სუროგაციის შესახებ მხარეთა შეთანხმება ცნო ბათილად, ბავშვის დედად აღიარა ბეტ ვაითჰედი, თუმცა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მითითებით მეურვეობა მიანიჭა უილიამ სტერნს, ხოლო სუროგატ დედას განუსაზღვრა ბავშვის მონახულების საათები.[38]

### 1.3. გესტაციური სუროგაცია

გესტაციური სუროგაციის დროს სუროგატი დედა არ შეიძლება იყოს ბავშვის გენეტიკური მშობელი, ხელოვნური განაყოფიერებისთვის გამოიყენება პოტენციური მშობლის/ების ან დონორის/ების სასქესო უჯრედები და განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის გადატანა ხდება სუროგატის საშვილოსნოში.[39]

ხშირად ისმის კითხვა - სუროგატი დედა არის თუ არა გენეტიკურად დაკავშირებული ბავშვთან, რომელსაც ის ატარებს. ტრადიციული სუროგაციის დროს პასუხი თავისთავად ცხადია, რადგან სუროგატი არის ბავშვის ბიოლოგიური დედა და მისი გენეტიკური კავშირიც ეჭვგარეშეა. გესტაციური სუროგაციის დროს ბავშვის გენეტიკური მშობლები არიან პოტენციური მშობელი/ები ან დონორი/ები, თუმცა, მუცლად ყოფნის პერიოდში

---

[35] იხ. სტატია https://geneticliteracyproject.org/2015/07/30/what-you-need-to-know-about-surrogacy/ (წვდომის თარიღი: 11.05.2019)

[36] Ladomato D., Protecting Traditional Surrogacy Contracting through Fee Payment Regulation, 23 Hastings Women's L.J. (2012) 246

[37] იხ. გადაწყვეტილება *Baby M*, 537 A.2d 1227, 109 N.J. (N.J. 1988) 396

[38] Bewkes F., Surrogate or Mother: The Problem of Traditional Surrogacy, 3 Tenn. J. Race Gender & Soc. Just. P. 146, (2014)

[39] Brinsden R., Gestational surrogacy, Human Reproduction Update, Vol.9, No.5, 2003, 483

სუროგატის დნმ-ს ბავშვზე მცირეოდენი გავლენა მაინც შეიძლება ჰქონდეს.[40] კვლევების მიხედვით სუროგატის უჯრედებს შეუძლიათ ბავშვის პლაცენტაში შეღწევა, თუმცა მათი ზემოქმედება იმდენად უმნიშვნელოა, რომ რთულია მის გამოვლენაზე საუბარი.[41]

**პოტენციური მშობლები გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებებში ინარჩუნებენ სუროგატ დედაზე უფრო მაღალი ხარისხის კონტროლს სამართლებრივად და გენეტიკურად.**[42] ამ „უპირატესობის“ ხარჯზე იზრდება გესტაციური სუროგაციის პოპულარობა, ტრადიციულთან შედარებით. გენეტიკური კავშირი პოტენციურ მშობლებთან ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს, რომ პოტენციური მშობლებს მიენიჭებათ ბავშვზე კანონიერი მშობლის სტატუსი.[43]

უნაყოფობის მზარდი მაჩვენებელი რეპროდუქციული მედიცინის წინსვლასთან ერთად არის მიზეზი გესტაციურ სუროგაციის მიმართ არსებული დიდი მოთხოვნისა.

მშობიარობის შემდეგ დაწყებული სუროგატის ფსიქოლოგიური პრობლემები უმეტეს შემთხვევებში, გვხვდება ტრადიციული და არა გესტაციური სუროგაციის დროს, რადგან ბავშვთან გენეტიკური კავშირის არქონა წარმოადგენს დიდ ფაქტორს და სუროგატ დედას უადვილებს მასთან განშორებით გამოწვეულ სტრესს.[44] თუმცა, ემპირიული მტკიცებულების არარსებობის მიუხედავად, გესტაციურ დედასა და ბავშვს შორის მიჩნეული კავშირი არის გესტაციური სუროგაციის კრიტიკის ერთ-ერთი მიზეზი.[45]

სასამართლო დონეზე ტრადიციული და გესტაციური სუროგაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა მოხდა ცნობილ საქმეში კლავერტი ჯონსონის წინააღმდეგ (*Calvert v. Johnson*), სადაც კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვთან დედობრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება შეძლო ორივე ქალბატონმა - როგორც სუროგატმა, ისე პოტენციურმა დედამ. ერთმა ბავშვის მუცლად ტარებისა და მშობიარობის გზით, ხოლო მეორემ გენეტიკური კავშირის არსებობის გამო. სასამართლომ გადაწყვეტილება დაამყარა მხარეთა შორის დადებულ კონტრაქტში ასახულ განზრახვას ბავშვი დაბადების

---

[40] იხ. ბმული https://www.conceiveabilities.com/about/blog/do-surrogate-mothers-pass-on-dna (წვდომის თარიღი: 11.05.2019)

[41] იხ. ბმული https://www.conceiveabilities.com/about/blog/do-surrogate-mothers-pass-on-dna (წვდომის თარიღი:11.05.2019)

[42] Ikemoto, Reproductive Tourism: Equality Concerns in the Global Market for Fertility Services, 27 Law & Inequality (2009) 277-299

[43] Zehr J., Using Gestational Surrogacy and Pre-Implantation Genetic Diagnosis: Are Intended Parents Now Manufacturing the Idyllic Infant, 20 Loy. Consumer L. Rev.p. (2008) 301

[44] Darnovsky M, Beeson D. Global Surrogacy Practices ISS Working Paper Series/General Series. 601, 2014, 28

[45]Jadva V. et al., Surrogacy: The Experiences ofSurrogate Mothers, 18 Human Reprod. 2203 (2003) 2203

შემდეგ დარჩენილიყო პოტენციურ მშობლებთან და  აღნიშნა, რომ სუროგატი ამ შემთხვევაში იყო სერვისის მიმწოდებელი.[46]

## 1.4. კომერციული სუროგაცია

კომერციული სუროგაცია პირდაპირი გაგებით არის სუროგატი დედის დაქირავება  მისი საშვილოსნოს გამოყენების მიზნით და იმ საერთო ცოდნით, რომ მშობიარობის დასრულების მომენტიდან ის დაბადებულ ბავშვს გადასცემს პოტენციურ მშობლებს.[47] **კომერციული სუროგაციის მთავარი ელემენტია ფულადი ანაზღაურება, სუროგატი დედა მხოლოდ საზღაურის სანაცვლოდ თანხმდება გესტაციის მომსახურების გაწევასა და ბავშვის ფიზიკურად გადაცემას.[48]**

კომერციული სუროგაცია პირველ რიგში რეგულირდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც ასახავს მათ მისწრაფებებსა და მოლოდინებს.[49]  მდიდარ და გავლენიან პოტენციური მშობლებსა და ფინანსური პრობლემების მქონე სუროგატს შორის დადებული სუროგაციის ხელშეკრულებების ტენდენცია განსაკუთრებით იკვეთება საერთაშორისო სუროგაციის დროს.[50]

განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებისათვის ინტერნეტის გამოყენებით მარტივად არის  ხელმისაწვდომი სუროგაციის სააგენტოების, კლინიკებისა და სუროგატი დედების მოძებნა, მათთან დაკავშირება და  ისეთ ქვეყნებში გამგზავრება, სადაც კომერციული სუროგაცია კანონმდებლობით ნებადართულია.[51]

ამერიკაში, დიდ ბრიტანეთსა და ინდოეთში ჩატარებული  კვლევების მიხედვით, უშვილო წყვილები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩადიან ისეთ ქვეყნებში, სადაც კომერციული სუროგაცია ნებადართულია, ეს სახელმწიფოები იქცნენ საერთაშორისო სუროგაციის სავაჭრო ცენტრებად.[52] გაეროს გენერალური ასამბლეის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით კომერციული სუროგაციის ცენტრად იქცა კალიფორნიის შტატის, საქართველოს,

---

[46] იხ. გადაწყვეტილება Calvert v. Johnson No.  S023721.იხ. ბმული https://caselaw.findlaw.com/ca-supreme-court/1774439.html  (წვდომის თარიღი: 8.05.2019)

[47] ჯენიფერ ლოლ, ბიოეთიკისა და კულტურის ცენტრის დამფუძნებელი, პრეზიდენტი. იხ. ბმული https://www.ncfamily.org/the-exploitation-of-women-through-surrogacy/ (წვდომის თარიღი: 1. 05. 2019)

[48] Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 11

[49] Choudhury C.,Transnational Commercial Surrogacy: Contracts, Conflicts, and the Prospects of International Legal Regulation, Oxford Handbooks Online, (2016) 7

[50] იქვე.

[51] International trade in human eggs, surrogacy and organs, A report from the Danish Council of Ethics, 2013, 46

[52] იქვე.

რუსეთის და უკრაინის იურისდიქციები.[53] საქართველო რამდენიმე წელია სტაბილურად ინარჩუნებს ხსენებულ სტატუსს.[54]

კომერციულ სუროგაციას პრობლემატურად მიიჩნევენ შემდეგი მიზეზების გამო: ის არის ადამიანის ღირსებასთან შეუთავსებელი, ორსულობისა და მშობიარობის შესახებ ცვლის ტრადიციულ შეხედულებებს და ახდენს ქალთა ექსპლუატაციას.[55] ბევრის აზრით, კომერციული სუროგაცია აშკარად ლახავს სუროგატი დედის ღირსებას, რადგან სუროგატ დედას ეპყრობიან როგორც შვილის გაჩენის საშუალებას.[56] მთავარი არგუმენტი ქალის საშვილოსნოს „გაქირავების" წინააღმდეგ არის ის, რომ ფინანსურად შეძლებული წყვილი ბოროტად იყენებს მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფი ქალების მზადყოფნას - ნებისმიერი სამუშაო შეასრულონ ანაზღაურების სანაცვლოდ.[57]

სუროგატი დედები სუროგაციის ხელშეკრულებას დებენ საკუთარი თავის ან მათი ოჯახის რჩენის მიზნით, რადგან მათი ეკონომიკური შემოსავალი, ძირითად შემთხვევებში, დაბალია და მატერიალური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესების საშუალებას კომერციული სუროგაცია იძლევა.[58]

სუროგაციის მოწინააღმდეგეების აზრით, სუროგაციასთან დაკავშირებული ეთიკური და მორალური პრობლემები ახალშობილის საბაზრო პროდუქტად გადაქცევას ეხება, რადგან მხარეები მას განიხილავენ, როგორც ხელშეკრულების საგნად, რომლისთვისაც ერთი მხარე მეორეს უხდის შეთანხმებულ თანხას.[59] კომერციული სუროგაციის ხელშეკრულებებში დაფიქსირებული მხარეთა შეთანხმება ნაყოფის ორსულობის პერიოდში დაკარგვის ან მისი მკვდრად დაბადების შემთხვევაში ნაკლები ანაზღაურების გადახდის შესახებ მიუთითებს, რომ სუროგატის მხრიდან ხდება ბავშვის გაყიდვა.[60] ამასთან, კომერციული სუროგაცია შეიძლება ბავშვის ფსიქოლოგიისთვის იყოს ზიანის

---

53 Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 4

54 იქვე, 5

55 International trade in human eggs, surrogacy and organs, A report from the Danish Council of Ethics, 2013, 91

56 იქვე, გვ. 57

57 Insight into Different Aspects of Surrogacy Practices, Jul-Sep 2018
იხ. სტატია https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6262674/ (წვდომის თარიღი: 16.05.2019)

58 Birnbaum G., Surrogacy, Autonomy and the Surrogate Mother, 1997 UCL Jurisprudence Rev., (1997) 106

59 A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament's Committee on Legal Affairs, May 2013, 26
იხ. ბმული http://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=IPOL-JURI_ET(2013)474403 (წვდომის თარიღი 3.05.2019)

60 Zehr J., Using Gestational Surrogacy and Pre-Implantation Genetic Diagnosis: Are Intended Parents Now Manufacturing the Idyllic Infant, 20 Loy. Consumer L. Rev., (2008) 317

მიმყენებელი და სუროგატი დედის ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ ინფორმაციის მიღება არ შედიოდეს მის საუკეთესო ინტერესებში.[61]

ზოგი ფიქრობს, რომ „სუროგაცია, იქნება ეს კომერციული თუ არა, ყოველთვის იქნება მონობის თანამედროვე ფორმა და საჭიროა მისი აკრძალვა და არა რეგულირება.“[62]

### 1.5. ალტრუისტული სუროგაცია

ალტრუისტული სუროგაციისას სუროგატი დედა თანხმდება ბავშვის საშვილოსნოში გამოზრდას და მშობიარობის შემდეგ მის პოტენციური მშობლებისთვის გადაცემას ფილანტროპიული იმპულსით ე. ი. ანაზღაურების მიღების მოტივაციის გარეშე.[63] ანაზღაურებაზე უარის თქმა გამოწვეულია მორალური შეხედულებების გამო.[64]

მაშინ როდესაც, კომერციული სუროგაციას ბრალს დებენ ქალის სხეულის მოგების მიღების მიზნით ექსპლუატაციაში, ალტრუისტული სუროგაცია უფრო და უფრო მეტად არის წახალისებული, როგორც ემპათიური ჟესტი უშვილო წყვილის მიმართ.[65]

**ფილანტროპიულ იმპულსზე დაფუძნებული სუროგაციის დროს არ არის გამორიცხული იმ ხარჯების ანაზღაურების მიღება, რაც საჭიროა სამედიცინო პროცედურებისა და მედიკამენტური მკურნალობისათვის.** ალტრუისტული სუროგაციის მომხრე იურისდიქციებში, მაგ.: დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, დანიაში, საბერძნეთში, ნიდერლანდებში, ისრაელში, კანადაში, ავსტრალიასა და ამერიკის რამდენიმე შტატში კანონმდებლობა ითვალისწინებს სუროგატისათვის „გონივრული ხარჯების“ ანაზღაურების შესაძლებლობას.[66]

დებატის საგანია ალტრუისტული სუროგაცია მორალურად მისაღები არის თუ არა ან გამოიყენება თუ არა ის ფინანსური სარგებლის მიღების სურვილების შენიღბვის ლეგალურ და ეთიკურ იარაღად.[67] თუ ალტრუისტული სუროგაცია მოჩვენებითია, მაშინ სუროგატი დედისათვის „გონივრული ხარჯების ანაზღაურება“ შესაძლოა სამართლებრივ

---

[61] Surrogacy: Review for Health Ministers of Current Arrangements for Payments and Regulation: Report of the Review Team, Her Majesty's Stationery Office, (1998) Par. 5.18–5.19

[62] ლუდოვინ დე ლა როშერი, მოძრაობა La Manif Pour Tous -ს პრეზიდენტი.

[63] Vodo T., Altruistic Surrogacy, Why to oppose empathetic gestures?, ECPM, 2016, 2

[64] Cohen I. G., Note, The Price Of Everything, The Value Of Nothing: Reframing The Commodification Debate, 117 HARV. L. REV. (2003–04) 689

[65] Vodo T., Altruistic Surrogacy, Why to oppose empathetic gestures?, ECPM, 2016, 2

[66] იქვე, გვ. 4

[67] O'Connor H., Surrogate pregnancy: ethical and medico-legal issues in modern obstetrics.The Obstetrician & Gynaecologist, (2013) 115

ფიქციას წარმოადგენდეს.[68] მაგალითად, კანადის კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს თუ რა შედის ასანაზღაურებელ გონივრულ ხარჯებში, რამაც სუროგატ დედასა და პოტენციურ მშობლებს შორის გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს.[69]

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის სახელზე 2016 წელს წარდგენილ იქნა პეტიცია, რომელსაც 100 000-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავდა და რომელის მოთხოვნაც იყო სუროგაციის ნებისმიერი ფორმის აკრძალვა.[70] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალური საქმიანობის, ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების კომიტეტის ანგარიშის მიხედვით, საუკეთესო გზა პრობლემების გადასაჭრელად იქნება მოგების მიღებაზე ორიენტირებული სუროგაციის აკრძალვა.[71] თუმცა, **ხელშეკრულებისთვის ან სუროგაციის სისტემისთვის „ალტრუისტული“ იარლიყის მიკვრა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ არ დაირღვევა ბავშვის უფლებები** ან/და არ მოხდება მათი ყიდვა-გაყიდვა, აუცილებელია, როგორც კომერციული, ისე ალტრუისტული სუროგაციის სათანადო რეგულირება, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმის დარღვევა და ზოგადად საერთაშორისო აქტებით დანერგილი სტანდარტების საწინააღმდეგო პრაქტიკა.[72]

### 1.5.1.ალტრუისტული სუროგაცია დიდ ბრიტანეთში

გაერთიანებულ სამეფოში დაიშვება მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია, თუმცა მოგების მიღების აკრძალვის მიუხედავად, წყვილებს სუროგაციის მეშვეობით ბავშვის გაჩენისათვის უწევთ დაახლოებით 60 000 ფუნტი-სტერლინგის გადახდა.[73] ექსპერტების აზრით, ალტრუისტული სისტემა ნიშნავს იმას, რომ პოტენციურ მშობლები გონივრული ხარჯების ანაზღაურებაში არ უნდა იხდიდნენ 12 000 ფუნტ-სტერლინგზე მეტს.[74] მოცემული ხარჯები თითქმის უტოლდება ამერიკის იმ შტატებში არსებულ ფასებს, სადაც

---

[68] O'Connor H., Surrogate pregnancy: ethical and medico-legal issues in modern obstetrics.The Obstetrician & Gynaecologist, (2013) 115

[69] იქვე.

[70] Committee on Social Affairs, Health and Sustainable Development of the Parliamentary Assembly, 21 September 2016, 3 იხ. ბმული http://website-pace.net/documents/19855/2463558/20160921-SurrogacyRights-EN.pdf/a434368b-2530-4ce4-bbc0-0113402749b5 (წვდომის თარიღი: 22.05.2019)

[71] იქვე.

[72] Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 16

[73] იხ. სტატია გაერთიანებულ სამეფოში სუროგაციის შესახებ ჩატარებული ყველაზე ფართომასშტაბიანი კვლევის შესახებ, https://www.telegraph.co.uk/news/2018/07/01/couples-paying-60000-surrogates-despite-uk-system-reasonable/ (წვდომის თარიღი: 7.05.2019)

[74] იქვე.

კომერციული სუროგაცია ნებადართულია და ფულადი სარგებლის მიღება კანონს არ ეწინააღმდეგება. საქმე იმაშია, რომ კანონი არ აწესებს გონივრული ხარჯების ანაზღაურების ლიმიტს, თუმცა ეს ფულადი ტრანზაქციები მაინც ექცევა სასამართლოს შეფასების ქვეშ ბავშვზე მშობლის უფლებების გადაცემასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. დიდ ბრიტანეთში 34 სუროგატი დედის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მათგან მხოლოდ ერთი ეძიებდა ფინანსურ სარგებელს, ხოლო დანარჩენი ალტრუისტული განწყობით ეხმარებოდა უშვილო წყვილს ბავშვის გაჩენაში.[75]

გაერთიანებულ სამეფოში დღეს არსებული სისტემა მოსამართლეებს აძლევს მოქნილ შეფასების ფარგლებს, შესაბამისად გონივრული ხარჯების გადაჭარბებით ანაზღაურების შემთხვევაში მათ აქვთ უფლებამოსილება ის შეამცირონ.[76] **გაერთიანებული სამეფოს მკვლევარი იურისტები უახლესი ანგარიშების მიხედვით, მყარად დგანან ალტრუისტული სუროგაციის შენარჩუნების პოზიციაზე და არ განიხილავენ მისი კომერციალიზაციის ალტერნატივას**, თუმცა რეკომენდაციის სახით მიუთითებენ, რომ უნდა შემუშავდეს გონივრული ხარჯების უკეთესი განმარტება.[77] სუროგატების გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 71%-ის აზრით ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ გონივრული ხარჯები.[78]

### 1.5.2.ალტრუისტული სუროგაცია საბერძნეთში

საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ნებადართულია ალტრუისტული სუროგაცია, ყოველგვარი ფინანსური სარგებლის მიღების გარეშე, სასამართლოს თანხმობის მიღების შემთხვევაში, თუ სამედიცინო ჩვენების გამო პოტენციურ დედას არ აქვს შესაძლებლობა დაორსულდეს, ხოლო სუროგატი დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაორსულებისთვის ხელსაყრელ ფორმაშია.[79]

ფინანსურ სარგებლად არ ჩაითვლება:

ა) ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნურ განაყოფიერების პროცედურასთან, ორსულობასთან და მშობიარობასთან.

---

[75] O'Connor H., Surrogate pregnancy: ethical and medico-legal issues in modern obstetrics.The Obstetrician & Gynaecologist, (2013) 115

[76] იქვე.

[77] Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Surrogacy in the UK, (December 2018) 7

[78] იხ. სტატია Surrogacy Survey 2018 Results, https://surrogacyuk.org/2018/12/31/surrogacy-survey-2018-results/ ( წვდომის თარიღი: 7.05.2019)

[79] Greek Civil Code, Article 1458, Law 3089/2002.

ბ) განცდილი ზიანისა და ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის, ორსულობისა და მშობიარობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება.[80]

საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით, ქალი, რომელიც აპირებს ბავშვის მუცლით ტარებას, ემბრიონის იმპლანტაციის პროცედურის ჩატარებამდე გადის სამედიცინო და ფსიქოლოგიურ შემოწმებას.[81]

### 1.6. სოციალური სუროგაცია

გამოყოფენ სუროგაციის დამატებით სახეს  სოციალური სუროგაციის სახელწოდებით, როდესაც პოტენციური დედა კარიერული ან კოსმეტიკური მიზეზების გამო მიმართავს სუროგაციას, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს შესაძლებლობა ბავშვი საკუთარ სხეულში გამოზარდოს.[82] მსგავს შემთხვევებს ვხვდებით შოუბიზნესში, როდესაც მოდელებს, მსახიობებს, მომღერლებს და აშ. არ სურთ  ორსულობის თანმდევი სხეულის ფორმირებისა და წონის პრობლემების განცდა.

სუროგაციის, როგორც ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის გამოყენება ნებადართული  უნდა იყოს მხოლოდ სამედიცინო ჩვენებების შემთხვევაში, მისი გამოყენება სოციალური მიზეზების გამო დაუშვებელია.[83]

## 2. სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლის საფუძველზე სუროგაცია საქართველოში ლეგალურად გამოცხადდა 1997 წელს. ხსენებული ნორმა ეხება ექსტრაკორპორულ განაყოფიერებას, აწესებს მის წინაპირობებს და ამავდროულად მიუთითებს ხელოვნური განაყოფიერების გზით მიღებული ემბრიონის „სხვა ქალის" საშვილოსნოში გადატანისა და მისი გამოზრდის შესაძლებლობაზე.

„კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ არ ახდენს მითითებას ტერმინ „სუროგაციაზე", შესაბამისად, არ ახდენს მისი ფორმების - ტრადიციულისა და გესტაციური სუროგაციის დიფერენცირებას და ამ მეთოდთან მიმართებით იყენებს ზოგად ტერმინს

---

[80] Enforcement of Medically Assisted Reproduction, Article 13, Law 3305/2005

[81] იქვე.

[82] Hatzis A., The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, SSRN Electronic Journal, September 2010, 2
იხ. სტატიის ელექტრონული ვერსია http://users.uoa.gr/~ahatzis/Surrogacy.pdf (წვდომის თარიღი: 16.05.2019)

[83] Ethical Issues In Obsterics And Gynecolody, The International Federation of Gynaecologyand Obstetrics, Octomber 2012, 69

„ექსტრაკორპორული განაყოფიერება“, რომელიც, შესაძლოა, ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში მოიცავდეს ან არ მოიცავდეს სუროგატი დედის ჩართვას.“[84]

**საქართველოში ნებადართულია, როგორც ალტრუისტული ისე კომერციული სუროგაცია, რამდენადაც კანონმდებლობა არაფერს ამბობს შეთანხმების ხასიათის შესახებ და კომერციალიზაციის აკრძალვისაგან თავის შეკავების გზით ნებას რთავს მხარეებს მისგან მიიღონ სარგებელი.** კომერციული სუროგაციის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ სსკ-ში მოცემული - ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომლის მიხედვითაც, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.[85] მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.[86]

### 2.1. უშვილობის მკურნალობა როგორც წინაპირობა

ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ექსტრაკორპორული განაყოფიერება (იგივე „ინ ვიტრო“ - *in vitro* - განაყოფიერება) დაიშვება უშვილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი რელევანტურია სუროგაციასთან დაკავშირებითაც, რადგან გესტაციური სუროგაცია, რომელსაც საკმაოდ ბევრი მიმართავს საქართველოში, მხოლოდ ექსტრაკორპორული განაყოფიერების გზით ხორციელდება.[87] ინ ვიტრო განაყოფიერების მსურველებს უნდა ჰქონდეთ უშვილობის მკურნალობის მიზანი. განაყოფიერების პროცედურის ჩატარებას კანონმდებლობა უკავშირებს სამედიცინო ჩვენების არსებობას. თუმცა, როგორ, რანაირად და ვისი მეშვეობით უნდა მოხდეს ამ მიზნისა და მისი დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის კონტროლი ეს არსად არ არის მითითებული. **კანონმდებლობა აწესებს მოთხოვნას, რომლის შესასრულებლადაც არ ითვალისწინებს არანაირ მექანიზმს.**

### 2.2. გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკი

[84] ბოგვერაძე ნ., სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, 324
[85] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი
[86] იქვე.
[87] იხ. ნაშრომის 12-13 გვერდები

ჯდკ ექსტრაკორპორული განაყოფიერების გამოყენების წინაპირობებს ჩამოთვლის, რომლის მიხედვითაც, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას დაიშვება ექსტრაკორპორული განაყოფიერება წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით.[88]

პრე იმპლანტაციური გენეტიკური დიაგნოსტიკა (PGD – Pre Implantation Genetic Diagnosis) საშუალებას იძლევა ემბრიონის გენეტიკური პათოლოგიების დიაგნოსტიკა განხორციელდეს ემბრიონის საშვილოსნოში გადატანამდე.[89] მშობლების ნიშან-თვისებები ქრომოსომების საშუალებით გადადის შვილზე. გენეტიკური დაავადების დიაგნოზირებისას ოჯახის წევრები ცდილობენ გაარკვიონ თუ რა არის იმის ალბათობა, რომ მათი შვილები ამ დაავადების მატარებლები იქნებიან. თუმცა, პროგნოზის გაკეთება მუტაციური გენის გადაცემის ალბათობის შესახებ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.[90] თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით კი შესაძლებელია ემბრიონის დიაგნოსტიკა და გენეტიკური დაავადებების თავიდან აცილება.

### 2.3. საშვილოსნოს არქონა, როგორც კანონით გათვალისწინებული წინაპირობა

კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ თუ ქალს არ აქვს საშვილოსნო მას შეუძლია უშვილობის მკურნალობის მიზნით განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის საშვილოსნოში გადატანა და გამოზრდა.[91] საშვილოსნო შეიძლება ქალს არ ჰქონდეს დაბადებიდან ან ეს შეიძლება გამოწვეული იყოს საშვილოსნოს ჰისტერაქტომიის (საშვილოსნოს ამოკვეთის) ოპერაციის შედეგად. ოპერაციის მიზეზი შეიძლება იყოს მაგალითად კიბოს მკურნალობის პროცესში მისი ამოკვეთის აუცილებლობა. კანონის ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ საშვილოსნოს არქონაზე მითითება, რადგან სხვა სამედიცინო ჩვენებების დროსაც ერთმევა ქალს საშუალება ჰყავდეს მასთან გენეტიკურად დაკავშირებული შვილი და მხოლოდ საშვილოსნოს არმქონე ქალებისათვის ამ უფლებით სარგებლობა არ იქნება სამართლიანი. სხვადასხვა სახის სიმსივნემ და მისი მკურნალობის პროცედურებმა შეიძლება წაართვას ქალს შესაძლებლობა დაორსულდეს, მაგალითად საკვერცხის, საშვილოსნოს, საშვილოსნოს ყელის, საშოს სიმსივნემ.[92] კანონის ტექსტი პრაქტიკაში უფრო ფართოდ განიმარტება და სხვა შეუქცევადი ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის დროსაც ეძლევა ქალს უფლება მიმართოს სუროგაციას. ეს ჩვენებები შეიძლება იყოს ქალის მიერ მრავალგზის გადატანილი

---

[88] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე მუხლი

[89] იხ ბმული https://americanpregnancy.org/infertility/preimplantation-genetic-diagnosis/ (წვდომის თარიღი: 26.05.2019)

[90]იხ. ბმული https://ghr.nlm.nih.gov/primer/inheritance/riskassessment (წვდომის თარიღი: 10.05.2019)

[91] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე მუხლი

[92] Sreenivas K., Domestic and International Surrogacy Laws: Implications for Cancer Survivors, Woodruff Lab, Chicago, Chapter 10, (2010)

ნაყოფის ნაადრევი მოწყვეტა ან წარუმატებელი ხელოვნური განაყოფიერების ციკლები.[93] ასევე, შეიძლება სხვადასხვა დაავადების ფონზე დაფეხმძიმება ქალის ჯანმრთელობას უქმნიდეს განსაკუთრებულ საფრთხეს, მაგალითად ფილტვის ჰიპერტენზიისას, ზოგადად მაღალი არტერიული წნევისას ან დიაბეტისას დაორსულება მეტად საშიშია დედის ჯანმრთელობისათვის.[94]

ამასთან, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია გამოყოფს პირველად და მეორად უშვილობას,[95] თუ ქვეყნის იურისდიქცია სუროგაციას ნებადართულად აცხადებს ზოგადად უშვილობაზე მითითებით გონივრულია მივიჩნიოთ, რომ სუროგაცია დაშვებულია, როგორც პირველადი, ისე მეორადი უშვილობის დროს.

**საქართველოში სუროგაციის შეთანხმებები მხარეებს შორის იდება ყოველგვარი სამართლებრივი კონტროლის მექანიზმის გარეშე.** ხელოვნური განაყოფიერების გამოსაყენებლად არ არის სავალდებულო პოტენციური დედის უშვილობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის წარდგენა და მითუმეტეს არ ხდება არსებული სამედიცინო ჩვენების გადამოწმება, მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიხედვით, ექსტრაკორპორული განაყოფიერებით შეიძლება ისარგებლოს ქალმა, რომელსაც არ აქვს საშვილოსნო.

**სუროგაციასა და გამეტების დონაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ არის სისტემურად მოწესრიგებული, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში გაფანტული ნორმები საკითხს არეგულირებენ მხოლოდ ფრაგმენტულად, რის ფონზეც ხშირად იქმნება სამართლებრივი ვაკუუმი.** თუმცა, „საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზიანი ნორმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ საქართველოში ნებადართულია ინ ვიტრო განაყოფიერების წარმოება შემდეგი სახით: ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, „განაყოფიერება დონორის სპერმით“, ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგაციის გზით და ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში გაყინული გამეტების ან ემბრიონის გამოყენება.“[96]

---

[93] იხ. ბმული https://www.health.com/pregnancy/having-baby-with-gestational-surrogate (წვდომის თარიღი: 11.05.2019)

[94] Ingram J., Surrogate Gestator: A New and Honorable Profession, 76 Marq. L. Rev. (1993) 679

[95] Infertility definitions and terminology
იხ. ბმული https://www.who.int/reproductivehealth/topics/infertility/definitions/en/ (წვდომის თარიღი: 2.06.2019)

[96] ბოგვერაძე ნ., სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, 325

## 3. სუროგაციის ხელშეკრულება

სტანდარტული სუროგაციის შეთანხმება ითვალისწინებს მხარეთა შორის დადებულ კონტრაქტს ხელოვნური განაყოფიერების, ნაყოფის გამოზრდის, მშობიარობისა და მშობლის უფლებების პოტენციურ მშობლებზე გადაცემის შესახებ.[97] **სუროგაციის ხელშეკრულება პირადი ტიპის კონტრაქტს წარმოადგენს.**[98]

რეპროდუქციასთან დაკავშირებით დადებული კონტრაქტები, როგორც სხვა ხელშეკრულებები, ერთობლივი ენერგიისა და რესურსების კომბინირების შედეგად იძლევა საშუალებას მხარეებმა მიაღწიონ კეთილდღეობის იმ დონეს, რომელსაც ვერ მიაღწევდნენ რომ არა მათი საერთო სახელშეკრულებო ვალდებულებები.[99] დიდ ბრიტანეთშიც კი, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ სუროგაციის შესახებ მხარეთა შეთანხმებას არ აქვს იურიდიული ძალა, თანხმდებიან, რომ **წერილობითი შეთანხმების არსებობას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა,** რათა მხარეებს შორის ჩამოყალიბდეს ურთიერთგაგება და ეფექტური კომუნიკაცია.[100]

სუროგაციის ხელშეკრულების მხარეებს აქვთ აღებული პასუხიმგებლობა შეასრულონ ვალდებულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებულია სანქციები.[101] პოტენციურ მშობლებსა და სუროგატ დედას შორის ფორმირებული ურთიერთობები, განსხვავდება, თუმცა ამ ურთიერთობათა ჩამოყალიბება ხდება კონკრეტული მიზნების ირგვლივ, კონტრაქტი არის დროებითი და ხანმოკლე და ძირითადად ანაზღაურების მიღების მიზნით შედგენილი.[102]

ერთადერთი რეალური სამართლებრივი მოთხოვნა ხელშეკრულების დარღვევის დროს არის ზიანის ანაზღაურება - თუ სუროგატი არ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს პოტენციურ მშობლებს შეუძლიათ მოითხოვონ მათ მიერ გაწეული

[97] Pirouz A. S., Legal Issues of A Surrogacy Contract Based on Iranian Acts Continuation ,Journal of Family and Reproductive Health, Vol. 5, No. 2, June 2011, 43

[98] იქვე.

[99] Dalzell J., The Enforcement of Selective Reduction Clauses in Surrogacy Contracts, 27 Widener Commw. L. Rev. 83, (2018) 100

[100] The Surrogacy Pathway: Surrogacy and the legal process for intended parents and surrogates in England and Wales, ( February 2018) 9;
იხ. სტატიის ელექტრონული ვერსია
https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/684275/surrogacy-guidance-for-intended-parents-and-surrogates.pdf (წვდომის თარიღი: 9.05.2019)

[101] იქვე, გვ.44.

[102] Dolgin J., Status and Contract in Surrogate Motherhood: An Illumination of the Surrogacy Debate, 38 Buff. L. Rev., (1990) 528

ხარჯების ანაზღაურება.[103] სუროგაციის ხელშეკრულების „წარმატებულობა“ დამოკიდებულია მხარეთა ურთიერთთანამშრომლობაზე.

**სუროგაციის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი და ის, რომ სუროგაცია წარმოადგენს გამრავლების ეფექტურ ალტერნატიულ მეთოდს, კიდევ ერთხელ მიუთითებს მისი რეგულირების გადაუდებელ საჭიროებაზე.**[104] ხელშეკრულებით მოუწესრიგებელი საკითხების შესახებ დავის წარმოშობისას, თუ ეს საკითხი კანონმდებლობითაც არ არის დარეგულირებული, სუროგაციის შეთანხმების მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა ბოროტად გამოიყენონ არსებული სამართლებრივი მდგომარეობა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის მიუხედავად, თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა.[105]

### 3.1. ხელშეკრულების ტიპი

სუროგაციის ხელშეკრულება შედის პერსონალური მომსახურების ტიპის კონტრაქტებში.[106] მისთვის დამახასიათებელია კომპლექსურობა, ის შეიძლება შეიცავდეს არახელსაყრელ პირობებსაც, რის გამოც განსხვავდება ტრადიციული დასაქმებისაგან.[107] თუმცა, ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებებსაც: სუროგატების ცხოვრების ხუთწლიანი კვლევის შემდეგ ავტორმა დაასკვნა, რომ კომერციული სუროგაცია არის სამუშაოს ფორმა, რომელიც დეტალურად უნდა რეგულირდებოდეს შრომის სამართლით.[108]

სუროგაციის ხელშეკრულების ტიპზე მსჯელობისას განიხილავენ სხვადასხვა ვარიანტს:

1) ერთის მიხედვით, სუროგაცია არის ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც მხარეები თანხმდებიან ბავშვის ყიდვა-გაყიდვაზე, ე.ი. ბავშვი წარმოადგენს პროდუქტს;

2) სუროგაცია არის მომსახურების ხელშეკრულება, რომლის დროსაც მთავარია ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურეობის გაწევა და არა საბოლოო შედეგი.[109]

სუროგაციის ხელშეკრულების ნასყიდობასთან გაიგივება მას ხდის არალეგალურს, რადგანაც ის, ამ შემთხვევაში, პირდაპირ მოდის წინააღმდეგობაში ეროვნულ თუ

---

[103] Townsend D. M., Surrogate Mother Agreements: Contemporary Legal Aspects of a Biblical Notion, 16 U. Rich. L. Rev., (1982) 471

[104] Perdue L. A., For Love or Money: An Analysis of the Contractual Regulation of Reproductive Surrogacy, 27 J. Contemp. Health L. & Pol'y, (2011) 283

[105] იქვე.

[106] Johnson v. Calvert, 851 P.2d 776, 787 (Cal. 1993)

[107] Labadie-Jackson G., The Reproductive Rights of Latinas and Commercial Surrogacy Contracts - English Translation, 14 Tex. Hisp. J.L. & Pol'y , (2008) 62

[108] Pande A., Wombs in Labor: Transnational Commercial Surrogacy in India, Columbia University Press (2014)

[109] Perdue L. A., For Love or Money: An Analysis of the Contractual Regulation of Reproductive Surrogacy, 27 J. Contemp. Health L. & Pol'y, (2011) 286-87

საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებებთან, უფრო სწორია მისი მომსახურების ტიპის ხელშეკრულებად მიჩნევა.[110]

საქართველოს კანონმდებლობა სუროგაციას უშვებს, თუმცა, არ განსაზღვრავს სუროგაციის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ სუროგაციის ხელშეკრულება „შეიძლება მიეკუთვნოს მომსახურების ხელშეკრულებას, რომლისთვისაც შრომის შედეგის გადაცემა სავალდებულო არაა, ყველაზე მისაღებია.[111] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „სუროგაციის, როგორც მომსახურებაზე, აქცენტის გაკეთებამ უფრო მეტად მისაღები გახადა ის საზოგადოებისათვის."[112]

### 3.2. ხელშეკრულების დადება

სსკ განამტკიცებს მხარეთა კერძო ავტონომიას, რომელიც კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს.[113] „მის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ისეთიც, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული."[114]

ინდივიდების შესაძლებლობა მოაწესრიგონ თავიანთი საქმიანი ურთიერთობები გულისხმობს, როგორც პირად ავტონომიაზე დაყრდნობით სამართლებრივი ურთიერთობების წარმოქმნას ისე, ამ ურთიერთობათა კანონიერ აღიარებას.[115]

„კერძო ავტონომიის პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს ხელშეკრულების თავისუფლება"[116] ხელშეკრულების თავისუფლების რამდენიმე ასპექტი გამოიყოფა, ეს ასპექტებია: ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება, კონტრაჰენტის არჩევის შესაძლებლობა, ხელშეკრულების ფორმის არჩევის თავისუფლება, ხელშეკრულების ტიპის შერჩევის თავისუფლება და ხელშეკრულების დადების

---

[110] იქვე.
[111] ბოგვერაძე ნ., სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, 340
[112] იქვე. გვ. 49
[113] ჭანტურია ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. მე-10, ველ. 16. 24.13.2017, civilcode.ge
[114] იქვე; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლი
[115] იქვე. გვ44
[116] იქვე, ველ. 17

თავისუფლება.[117] სახელმწიფო ხელშეკრულების ხელშემკვრელ პირებს მათთვის სასურველი პირობის სამართლებრივად განსაზღვრის უფლებას ანიჭებს.[118]

თუმცა, თავისუფლება არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი, სსკ-ს 54-ე მუხლი შეიცავს გარიგების შინაარსის კონტროლის განმსაზღვრელ ცენტრალურ ნორმას და განამტკიცებს კერძო ავტონომიის შეზღუდვის რამდენიმე შემთხვევას.[119] გარიგება შეიძლება ბათილი იყოს იმის გამო, რომ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.[120] გარიგების თავისუფლების შეზღუდვის ამგვარი არეალი კერძო სამართალში წესრიგის დამყარებისკენ მიმართულ ქმედებას წარმოადგენს და გარკვეულწილად აზღვევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას კანონსაწინააღმდეგო ან საჯარო წესრიგთან შეუსაბამო გარიგების დადებისაგან.[121]

მსგავსად ყველა ხელშეკრულებისა, სუროგაციის შესახებ მხარეთა შეთანხმებაშიც, აუცილებელია, მხარეებმა ხელშეკრულება დადონ სამოქალაქო კოდექსში მოცემული ნორმების შესაბამისად. აუცილებელია მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებებზე. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.[122] კანონი იშვიათად განსაზღვრას ხელშეკრულების არსებით პირობებს, მათი წრე ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შესაბამისად განისაზღვრება მხარეთ მიერ.[123] როგორც წესი, არასებითი პირობები არ არის მრავალრიცხოვანი,[124] თუმცა გააჩნია ხელშეკრულების ტიპს და მხარეთა მოთხოვნებს. **სუროგაციის შემთხვევაშიც კანონი არაფერს ამბობს ხელშეკრულების არსებით პირობებზე, შესაბამისად ისინი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით**. გამომდინარე იქიდან, რომ სუროგაცია, როგორც მომსახურება, არის კომპლექსური ხასიათის და სამომავლო მოვლენების განვითარების პროგნოზირებაც რთულია, მხარეები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ ხელშეკრულების არსებითი პირობების შეთანხმებას.[125] ხელშეკრულების შემუშავების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მხარეთა სათანადო კონსულტირებას სამართლებრივ საკითხებზე. სამწუხაროდ მხარეები ხშირად აწერენ ხელს სააგენტოს მიერ შემუშავებულ სტანდარტულ კონტრაქტს, ნაცვლად იმისა,

---

[117] ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ. 84

[118] იქვე, გვ. 44-45

[119] ჭანტურია ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ.54, ველ. 24.12.2017, civilecode.ge

[120] იქვე.

[121] ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ.93

[122] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი

[123] ბაღიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 327, ველ. 9-10, 18.06.2016 gccc.ge

[124] იქვე.

[125] ავტორის ხაზგასმა.

რომ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად შემუშავდეს და ხელი მოეწეროს ერთობლივი ინტერესების შემცველ ხელშეკრულებას.[126]

### 3.3. ხელშეკრულების სანოტარო ფორმა

“სამოქალაქო კოდექსი ეფუძნება ფორმის თავისუფლების პრინციპს, რითიც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა ზეპირად ან მარტივი წერილობითი ფორმით დადონ გარიგებათა სახეების უმრავლესობა.”[127] **სუროგაციის ხელშეკრულების დადებისათვის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სავალდებულო წერილობით ფორმას.**[128] გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა.[129] სავალდებულო ფორმის დაცვას ექვემდებარება ყველა სახის ნების გამოვლენა, რომელიც მხარეთა წარმოდგენით ხელშეკრულების შინაარსი უნდა გახდეს: არსებითი შემადგენელი ნაწილები, მხარეები და მათი (ძირითადი) ვალდებულებები, ვალდებულების შესრულების პირობები, ვადები, გადახდის შესახებ დათქმები, დამატებითი შეთანხმებები, ასევე, მოგვიანებით დადებული დამატებითი, გარიგების ცვლილების ან გაუქმების შეთანხმებები.[130] წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა.[131] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ მიუთითებს სუროგაციის ხელშეკრულების სავალდებულო სანოტარო წესით დამოწმების შესახებ, რამდენადაც ექსტრაკორპორული (in vitro) განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციის წინაპირობად გათვალისწინებულია განაყოფიერების პროცედურის ჩატარებამდე დადებული ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების წარდგენა.[132] შესაბამისად, სუროგაციის ხელშეკრულება უნდა დაიდოს რთული წერილობითი ფორმის დაცვით. „სავალდებულო ფორმის დადგენის მიზანი მხარეთა ინტერესების დაცვაში მდგომარეობს, რამეთუ მისი საშუალებით უნდა მოხდეს სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული ნების გამოვლენის სწორი ფორმირების უზრუნველყოფა.“[133] თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ

---

[126] Carbone J., Miller C., Surrogacy Professionalism, 31 J. Am. Acad. Matrimonial Law. (2018) 33

[127] დარჯანია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 68-ე,ველ. მე-2, 24.12.2017 civilcode.ge

[128] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე მუხლი

[129] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლი

[130] დარჯანია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 68-ე, ველ. მე-5, 24.12.2017 civilcode.ge

[131] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლი

[132] „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვარის №18 ბრძანების მე-19 მუხლი.

[133] ბაღაშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 328-ე, ველ. მე-14, 18.06.2016 gccc.ge

ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.[134] კანონით დადგენილი გარიგების ფორმის დაუცველობა გამოიწვევს ამ გარიგების ბათილობას.[135] აღსანიშნავია, რომ იუსტიციის მინისტრის ბრძანების მიხედვით, დონორის/დონორთა გენეტიკური მასალის გამოყენების შემთხვევაში, ბავშვის დაბადების რეგისტრაციისთვის სავალდებულოა ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე სუროგატს, წყვილსა და დონორებს შორის დადებული ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების წარდგენა.[136] სანოტარო ფორმის სავალდებულო ხასიათს აკრიტიკებენ გამჟღავნების საჭიროებამდე დონორთა ანონიმურობის შენარჩუნების პრაქტიკული შეუძლებლობის გამო, რადგან მოცემულ შემთხვევაში მხარისთვის არათუ დონორის პერსონალური მონაცემები ხდება ხელმისაწვდომი, არამედ მათ შეიძლება უშუალო კონტაქტიც მოუწიოთ.[137]„დამხმარე რეპროდუქციის ტექნოლოგიის გამოყენება ექცევა პირადი და ოჯახური საიდუმლოების ფარგლებში".[138] თუ დონორი პოტენციურ მშობლებთან დაახლოვებული პირია, მათი მეგობარი ან ნათესავია, ხელშეკრულების დადება არ იქნება დაკავშირებული განსაკუთრებულ სირთულეებთან, თუმცა მსგავსი შემთხვევები პრაქტიკაში იშვიათად ხდება. უმეტეს შემთხვევებში, პოტენციური მშობლები მიმართავენ შუამავალ კომპანიებს და ისინი მათ ეხმარებიან დონორის მოძიებაში. ეს საკითხი პრობლემურია, ასევე, უცხოური გამეტების დონორთა ბაზებით სარგებლობისას,[139] რადგან რთული წარმოსადგენია დონორთან პირდაპირი კომუნიკაციის დამყარება და მასთან ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების დადება. ხსენებული ბრძანების მოთხოვნის დარღვევის გამო არაერთ წყვილს ეთქვა უარი ბავშვის დაბადების რეგისტრაციაზე, სასამართლოს პრაქტიკა მსგავს საქმეებზე არის ერთგვაროვანი - სასამართლო აკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას არასრულწლოვანი ბავშვის მშობლად აღიარების შესახებ ჯდკ-ს 143-ე, სსკ-ს 1197-ე და ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-3, მე-8 და მე-9 მუხლებზე მითითებით.[140]

აუცილებელია, კანონმდებლობით დარეგულირებულ იქნას ინდივიდუალურ დონორთა გენეტიკური მასალის წარმატებული გამოყენების ოდენობა, ამ შეზღუდვის დაწესება

---

134 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლი

135 ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 59-ე, ველ. მე-10, 24.12.2017 civilcode.ge

136 „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვარის №18 ბრძანების მე-19 მუხლი.

137 ბოგვერაძე ნ., სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციოს ნაშრომი, 2018, 345-347

138 გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, სადისერტაციო ნაშრომი, 2012, გვ.84

139 იქვე, გვ. 348

140 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა სუროგაციის საკითხთან დაკავშირებით, http://www.supremecourt.ge (წვდომის თარიღი: 28.04.2019)

ემსახურება ინცესტის თავიდან აცილების მიზანს.[141] დონორობის ჯერადობის ზღვრის დაწესების რეკომენდაციას იძლევა გინეკოლოგიისა და მეანობის საერთაშორისო ფედერაციაც.[142] კანონით არ არის დარეგულირებული ემბრიონთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა გადატანაც შეიძლება მოხდეს ქალის ორგანიზმში ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის ჩატარების დროს. კანონმდებლობა, ასევე, ღიად ტოვებს საკითხს რა დროის მონაკვეთით დაიშვება დონორის გამეტებისა და ემბრიონის კრიოპრეზერვაცია და ვინ და რა ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ემბრიონის განადგურების შესახებ.[143]

### 3.4. ხელშეკრულების საკვანძო საკითხები

სუროგაციის ხელშეკრულების შემუშავებისას მნიშვნელოვანია წერის პროცესში ჩართულ პირებს ჰქონდეთ სამედიცინო სფეროსთან კავშირი ან გააჩნდეთ ცოდნა, რომელიც საჭიროა სრულფასოვანი სუროგაციის ხელშეკრულების ჩამოსაყალიბებლად, რადგან ეს ის შემთხვევაა, როდესაც სამედიცინო პროცედურებისა და ჯანმრთელობის გართულებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის საკითხის მოწესრიგება ზედმიწევნით არის აუცილებელი.[144]

ჩვეულებრივ, პოტენციური მშობლები, სუროგატი დედები ან გამეტების დონორები ხელშეკრულების დადების ინიციატივას ამჟღავნებენ სუროგაციის სააგენტოებთან, ამ ეტაპზე ისინი არათუ არ გეგმავენ ადვოკატის აყვანას ან მასთან კონსულტაციის გავლას, არამედ არც ფიქრობენ კანონიერი წარმომადგენლის მოძიებაზე.[145] იურისტთან კონსულტაციის გავლა არის ის მინიმალური დაცვის სტანდარტი, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყებამდე უნდა მიიღოს ორივე მხარემ - როგორც პოტენციურმა მშობლებმა, ისე სუროგატმა დედამ.

გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ შემუშავებული სუროგაციის გზამკვლევის მიხედვით მხარეების მიერ შედგენილი ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ საკვანძო საკითხებს:

ა) პოტენციური მშობლების შესახებ ინფორმაციას;

ბ) სუროგატისა და მისი ქმრის ან პარტნიორის შესახებ ინფორმაციას;

---

[141] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, სადისერტაციო ნაშრომი, 2012, გვ.85

[142] Ethical Issues In Obsterics And Gynecolody, The International Federation of Gynaecologyand Obstetrics, Octomber 2012, გვ.55

[143] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 144-ე მუხლი

[144] ავტორის ხაზგასმა.

[145] Carbone J., Miller C., Surrogacy Professionalism, 31 J. Am. Acad. Matrimonial Law, (2018) 30

გ) ყველა მონაწილე პირის ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას;

დ) ორსულობამდე შეთანხმებებს;

ე) ჩასახვის შესახებ შეთანხმებებს (ემბრიონის შექმნის, სახლის ან სამედიცინო დაწესებულების პირობებში განაყოფიერების დეტალების, ციკლის რაოდენობის, ემბრიონის რაოდენობის შესახებ);

ვ) ორსულობის პერიოდის მომწესრიგებელ შეთანხმებებს (ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, ემოციური მხარდაჭერის, ჩასატარებელი ტესტები და მშობიარობის წინა ღონისძიებები, მაგალითად, რა ოდენობის ინფორმაციაზე ექნებათ წვდომა პოტენციურ მშობლებს და როგორი იქნება მათი ჩართულობა შეხვედრების დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში);

ზ) მშობიარობის შესახებ შეთანხმებებს;

თ) მშობიარობის შემდგომი პერიოდის შესახებ შეთანხმებებს;

ი) შეთანხმებებს იმ მოვლენების შესახებ, რაც შეიძლება ცუდად განვითარდეს (მაგალითად, ნაყოფის დაკარგვა, მკვდრადშობადობა, მრავლობითი ორსულობა, ორსულობის შეწყვეტა ხელოვნური ჩარევით) და როგორ აპირებენ მხარეები მსგავს სიტუაციებთან გამკლავებას.

კ) ბავშვებთან კომუნიკაციისა და სამომავლო ურთიერთობებს, იმის ჩათვლით თუ რამდენად ღიად აპირებენ მათ წარმომავლობაზე საუბარს.

ლ) სამართლებრივი შედეგები და მშობლის კანონიერი სტატუსის შეძენა

მ) და ბოლოს ხარჯები ( რამდენი უნდა იქნას გადახდილი, როდის და როგორ - რა კრიტერიუმებით განსაზღვრება თანხა არამყარი ოდენობის შემთხვევაში და რა შეიძლება გახდეს მისი გაზრდის ან შემცირების მიზეზი) :

-სუროგატის ხარჯები

-სუროგატის პარტნიორის ხარჯები

-მკურნალობის ხარჯები

-იურიდიული მომსახურების ხარჯები (მათ შორის სასამართლო ხარჯები)

-სხვა ხარჯები[146]

[146] The Surrogacy Pathway: Surrogacy and the legal process for intended parents and surrogates in England and Wales, ( February 2018) 9-10

### 3.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა; შეცვლილი გარემოებები

კონტრაქტის დადების შემდეგ აზრის შეცვლის პრობლემა ბევრ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ ეს საკითხი შედარებით უფრო მწვავედ დგას ხანგრძლივი დროით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში.[147] ნებისმიერი ხელშეკრულების დადების პროცესს ახლავს ორჭოფობა გარკვეული დოზით, მაგრამ სუროგაციის შესახებ შეთანხმებებს, მათი უნიკალური ბუნების გათვალისწინებით გაურკვევლობა უფრო ჭარბად ახასიათებთ, რადგან მხარეებს არ აქვთ რეალური შესაძლებლობა სათანადოდ შეაფასონ სამომავლო რისკები და შემდეგ შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში.[148] **სუროგაციის ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა შევიდეს მხარეთა შეთანხმებით, დაუშვებელია რომელიმე მხარის დომინანტური პოზიციის გამოყენება მეორე მხარეზე ძალდატანების მიზნით.**

სუროგატ დედას შეიძლება არ ჰქონდეს კარგი მატერიალური მდგომარეობა და აქედან გამომდინარე ემორჩილებოდეს შემკვეთი წყვილის ნებას, თუმცა დაორსულების შემდეგ, იცვლება პოზიციები. სუროგატი დედა იძენს განსაკუთრებულ სტატუსს, რადგან ის მუცლით ატარებს შემკვეთი წყვილის შვილს და ამით ეძლევა მანიპულირების საშუალება. არის შემთხვევები, როდესაც სუროგატი დედები იმუქრებიან აბორტის გაკეთებით და წყვილისგან ითხოვენ დამატებით ანაზღაურებას.[149] ასევე, პირიქით ყოფილა შემთხვევები, როდესაც პოტენციურ მშობლებს კომერციული სუროგაციის დროს სუროგატი დედისთვის განსაზღვრული ანაზღაურების მიცემა განზრახ შეუფერხებიათ სუროგატის გადაწყვეტილებებზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, ისრაელის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს თანხის შუამავლის გზით გადახდის შესაძლებლობას.[150]

ხელშეკრულების დადების შემდეგ უკიდურესად შეცვლილი გარემოებების საკითხი პრობლემურია და ტრადიციულად ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული მათი მომწესრიგებელი პუნქტები, ასეთი გაუთვალისწინებელი ცვლილება შეიძლება იყოს მაგალითად, წყვილის განქორწინება, ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ

---

https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/684275/surrogacy-guidance-for-intended-parents-and-surrogates.pdf (წვდომის თარიღი: 9.05.2019)

[147] Yehezkel M., In Defense Of Surrogacy Agreements: A Modern Contract Law Perspective, William & Mary Journal Of Women And The Law, (2014) 433

[148] იქვე.

[149] Rico S., Surrogacy: Joyful, Frighteninga nd Always Risky, THE ATLANTIC, Apr. 17, 2013.

[150] K Weisberg, The Birth of Surrogacy in Israel, University Press of Florida, p. 197, (2005)

ქმედუნარიანობის დაკარგვა ან გარდაცვალება.[151] მსგავს საკითხებზე მხარეების წერილობითი შეთანხმება აუცილებელია დავის თავიდან აცილების თვალსაზრისით.

## 4. სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების უფლება-მოვალეობები

### 4.1. ვის შეუძლია იყოს სუროგატი დედა

სუროგატი დედა შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ქალი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობა უწყობს ხელს პოტენციურ მშობლებს გაუწიოს სუროგაციის მომსახურება. **სუროგატი დედობის კანდიდატების წრე კანონით არ არის შეზღუდული,** საჭირო არ არის, რომ სუროგატს პოტენციურ მშობლებთან ჰქონდეს სხვა რაიმე სახის კავშირი, მაგალითად იყოს ნათესავი, მეგობარი ან ოჯახთან დაახლოვებული პირი, შესაბამისად, ის შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი ქალბატონი. სუროგატი დედების შერჩევა სრულიად პრაქტიკას არის მინდობილი, ამ მომსახურებას პოტენციურ მშობლებს, უმეტეს შემთხვევაში, შუამავალი სააგენტოები უწევენ. გინეკოლოგიისა და მეანობის საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციით, სუროგაცია არ უნდა იყოს გამოყენებული მოგების მიღების მიზნით და მის განხორციელებაში უმჯობესია ჩაერთონ ის სააგენტოები, რომლებიც არ იქნებიან ორიენტირებული მოგების მიღებაზე.[152] თუმცა, საქართველოში არსებული სუროგაციის სააგენტოები პოტენციურ წყვილს სუროგაციასთან დაკავშირებულ მომსახურებას მხოლოდ საზღაურის გადახდის სანაცვლოდ სთავაზობენ. მიუხედავად იმისა, რომ სუროგაციის სააგენტო არ არის კონტრაქტის მხარე, მას შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები სუროგაციაში ჩართულ ყველა მხარესთან ან გააჩნდეს პირდაპირი ინტერესი ხელშეკრულების შედეგთან მიმართებით.[153]

გაერთიანებული სამეფოს მკვლევარების მიერ ჩატარებული ანონიმური კვლევის მიხედვით, რომელიც ეფუძნებოდა 32 სუროგაციის სააგენტოდან მიღებულ მასალას, დადგინდა, რომ სუროგატის ძიების/შერჩევის პროცესი 6 თვე გრძელდება ამერიკაში, 8 თვე კანადაში, ერთი თვე უკრაინაში, ხოლო საქართველოსა და რუსეთში 6 კვირა.[154] საქართველოში კანონი არ უთითებს თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სუროგატი დედა, თუმცა პროცესში ჩართული სააგენტოები, რომლებიც აქტიურად აკავშირებენ პოტენციურ მშობლებსა და სუროგატებს ერთმანეთთან, აწესებენ მოთხოვნებს და ამ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში იწყება

---

[151] Yehezkel M., In Defense Of Surrogacy Agreements: A Modern Contract Law Perspective, William & Mary Journal Of Women And The Law, (2014) 437

[152] Ethical Issues In Obsterics And Gynecolody, The International Federation of Gynaecologyand Obstetrics, Octomber 2012, 69

[153] Carbone J., Miller C., Surrogacy Professionalism, 31 J. Am. Acad. Matrimonial Law. (2018) 33

[154] Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Surrogacy in the UK, (December 2018) 30

სუროგატის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა. პირველ რიგში მხედველობაში მიიღება სუროგატის ორსულობის ისტორია, შემდეგ კი იწყება სისხლის ანალიზები სხვადასხვა ინფექციებზე შესამოწმებლად. ძირითად შემთხვევებში, სუროგატის პარტნიორიც მოწმდება ისეთ დაავადებებზე, რომლის გადაცემაც კომუნიკაციის გზით ხდება.[155] სუროგატი დედების შერჩევასთან დაკავშირებით, კლივლენდის კლინიკის ექიმი დეივიდ გოლდფარბი ამბობს, რომ თუ სუროგატს ჯერ არ ჰყოლია ბავშვი, ისინი მას არ გამოიყენებენ სუროგაციისთვის.[156] მსგავსი მიდგომა ფართოდ არის გავრცელებული, რადგან მიიჩნევა, რომ სუროგატები, რომლებსაც საკუთარი შვილები ჰყავთ არ მოისურვებენ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დატოვებას, ამასთან ისინი გამოცდილები არიან და მათთვის კარგად არის ცნობილი ორსულობასთან დაკავშირებული სირთულეები.

სუროგატი დედა საკუთარ თავზე იღებს საოცრად დიდ ფიზიკურ და ემოციურ ტვირთს ნაყოფის კეთილდღეობისათვის.[157] ორსული ქალის ქცევა, იქნება ის კარგი თუ ცუდი, გარდაუვალ ზეგავლენას ახდენს ფეტუსის განვითარებაზე.[158] გესტაციის პერიოდში მიღებულ ნარკოტიკებს, ალკოჰოლური სასმელს, სიგარეტს, უეცარ ემოციურ ტრავმებს ან შეძენილ ვირუსებს[159] შეუძლია ნაყოფს ზიანი მიაყენოს.[160] ზიანის მიყენება შეუძლია დიეტურ რაციონსაც,[161] ამიტომ ჯერ ხდება მათი ჯანმრთელობის სათანადო შემოწმება, ხოლო შემდეგ  სუროგაციის შესახებ დადებულ კონტრაქტებში ორსულობის პერიოდის დეტალური მოწესრიგება რიგი აკრძალვებითა და ვალდებულებებით.

### 4.2. სუროგატის მიერ ხელშეკრულების დადებაზე გამოხატული თანხმობა

დაუშვებელია კონტრაქტის დადებაზე  სუროგატი დედის თანხმობა იძულების გამოყენებით იქნას მოპოვებული. **სუროგატი დედის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი ზეწოლისა და შევიწროებისგან, ე. ი. ის უნდა იყოს**

---

[155] The Surrogacy Pathway: Surrogacy and the legal process for intended parents and surrogates in England and Wales, ( February 2018) 14;
 იხ. სახელმძღვანელო პრინციპების ელექტრონული  ვერსია https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/684275/surrogacy-guidance-for-intended-parents-and-surrogates.pdf (წვდომის თარიღი: 9.05.2019)

[156] იხ. ინტერვიუ https://www.nytimes.com/2009/12/13/us/13surrogacy.html (წვდომის თარიღი: 11.04.2019)

[157]Baker K. K., Bargaining or Biology? The History and Future of Paternity Law and Parental Status, 14 Cornell, J.L. & PUB. POL'Y 1,  (2004) 44-48

[158] Laufer-Ukeles P., The Disembodied Womb: Pregnancy, Informed Consent, and Surrogate Motherhood, 43 N.C. J. Int'l L. (2018) 101

[159] ზიკას ვირუსი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ორსული ქალის მიერ შეძენილმა ინფექციამ ნაყოფზე.

[160] Schwaitzberg D. S., et. al., Trauma and Pregnancy, Medscape, (Dec. 9, 2015)

[161] Bedard A., et al., Maternal Intake of Sugar During Pregnancy and Childhood Respiratory and Atopic Outcomes, 50 Eur. Respiratory J. (2017) 1

**ნებაყოფლობითი**. სუროგატი დედის ავტონომიას პოტენციურმა მშობლებმა პატივი უნდა სცენ ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, მაშინაც, თუ საქმე ეხება ორსულობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც გამოიწვევს მხარეთა შორის კონფლიქტს.[162] გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია სუროგატი დედა იყოს მაქსიმალურად ინფორმირებული და დამოუკიდებელი. სუროგატ დედას უხდება საკუთარი ავტონომიის შეზღუდვა და კომპრომისზე წასვლა ისეთი სამედიცინო პროცედურების ჩასატარებლად, როგორებიცაა მაგალითად: სინჯის აღება, ამნიოცენტეზი,[163] ვაგინალური ექოსკოპია, აბორტი, ჰორმონალური მედიკამენტების მიღება და აშ.[164] სუროგაციას შეიძლება უკავშირდებოდეს სერიოზული საფრთხე, მაგალითად სიმსივნე ან უშვილობა და აქედან გამომდინარე, სუროგატის ინფორმირებული თანხმობა არის უმნიშვნელოვანესი. ორსულობა და მისი შემდგომი პერიოდი მოიცავს ისეთ გართულებებს როგორიცაა მაგალითად, პრეეკლამფსია და ეკლამფსია, საშარდე გზების ინფექციები, გესტაციური დიაბეტი (ე.წ. ორსულთა დიაბეტი) და იშვიათად გამოხატული გართულებები მაგალითად, ამნიოტური ემბოლია და მშობიარობის შემდგომი სისხლდენა, თუმცა ეს კონკრეტული რისკები ზოგადად ორსულობას ახასიათებს და არა მხოლოდ სუროგაციას.[165]

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ განაყოფიერების მკურნალობისას ჩატარებული პროცედურების შედეგად ხშირია მრავლობითი ორსულობის შემთხვევები (ორი ან უფრო მეტი ბავშვის ყოლა).[166] ამერიკის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრის მონაცემთა მიხედვით, გესტაციური სუროგაციის 53.4%-ში დაფიქსირდა ორი, სამი ან უფრო მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევა.[167] მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ტყუპებზე და უფრო მეტი რაოდენობის ბავშვებზე მშობიარობა დაკავშირებულია დედისა და ახალშობილებისათვის გართულებების წარმოშობის მაღალ რისკთან.

---

[162] Ethical Issues In Obsterics And Gynecolody, The International Federation of Gynaecologyand Obstetrics, Octomber 2012, 69

[163] ამნიოცენტეზი - მემკვიდრული დაავადებების პრენატალური დიაგნოსტირების მეთოდი. ორსულობის მე-14-16 კვირიდან მე-20-22 კვირამდე იღებენ ამნიონურ სითხეს და ახდენენ მასში მყოფი უჯრედების ქრომოსომული და გენომური მუტაციების გამოვლენას ციტოგენეტიკური მეთოდით. სამედიცინო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი
იხ. ბმული http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=13&t=1062 (წვდომის თარიღი: 3.05.2019)

[164] A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament's Committee on Legal Affairs, May 2013; 25
იხ. ბმული http://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=IPOL-JURI_ET(2013)474403 (წვდომის თარიღი: 3.05.2019)

[165] Insight into Different Aspects of Surrogacy Practices, Jul-Sep 2018 იხ. ბმული https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6262674/ (წვდომის თარიღი: 16.05.2019)

[166] იხ. ბმული https://www.cdc.gov/art/patientResources/index.html (წვდომის თარიღი: 10.05.2019)

[167] იხ. ბმული https://www.cdc.gov/art/key-findings/gestational-carriers.html (წვდომის თარიღი: 10.05.2019)

ინფორმირებული თანხმობის დიდ მნიშვნელობას ბევრი აღიარებს, თუმცა ზოგი ფიქრობს, რომ ხელშეკრულების დადებაზე სუროგატის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა არის ილუზიური და საეჭვო სხვადასხვა მიზეზის გამო.[168] ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, სუროგატები ხელშეკრულების დადების საწყის ეტაპზე ვერ იაზრებენ თუ რა ფსიქოლოგიური შედეგები მოჰყვება შეთანხმებას და ამიტომ მათ საერთოდ არ შეუძლიათ ხელშეკრულების დადებაზე განაცხადონ ინფორმირებული თანხმობა.[169]

ოჯახის წევრების გადაწყვეტილების მიღებაში ჩარევის თავიდან აცილების მიზნით, გინეკოლოგიის და მეანობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო რეკომენდაციების მიხედვით, არსებითია მომავალი სუროგატი დედებისა და პოტენციური მშობლების განცალკევებული კონსულტირება.[170] კონსულტირება უნდა მოიცავდეს საკითხებს სამომავლო რისკებისა და ჩასატარებელი სამედიცინო პროცედურების შესახებ.[171]

სუროგატების თავისუფალი არჩევანი ბევრი გარე ფაქტორის გავლენის ქვეშ ექცევა და ამ ფაქტორთა კომპლექსურობასთან ერთად უფრო ვიწროვდება მათი თავისუფალი ნების გამოხატვის შესაძლებლობა.[172] ზოგჯერ, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს მაღალი ანაზღაურება, კონტრაქტით გათვალისწინებული შეღავათები, სუროგატის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და აშ. არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულება ისე იდება, რომ პოტენციური მშობლები და სუროგატი ერთმანეთს პირადად არ ხვდებიან[173] და შუამავალი სუროგაციის სააგენტოები არ აწვდიან სუროგატ დედას მათ შესახებ დეტალურ ინფორმაციას.[174] რაც სუროგატის ინფორმირებულ თანხმობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

სუროგაციის ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ ყველა ის ინფორმაცია, რამაც შეიძლება მეორე მხარის სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლაზე უარი გამოიწვიოს. ამ კუთხით საინტერესოა *შელი ბეიკერის* შემთხვევა, სადაც ორგზის გამოცდილი სუროგატი და საკუთარი 4 ბავშვის დედა, წინააღმდეგ წავიდა

---

[168] Blauwhoff R., Frohn L., International Commercial Surrogacy Arrangements: The Interests of the Child as a Concern of Both Human Rights and Private International Law, Fundamental Rights in International and European Law, Chapter 10, (2016) 229

[169]Wilson M., Precommitment in Free-Market Procreation: Surrogacy, Commissioned Adoption, and Limits on Human Decision Making Capacity, 31 J. LEGIs. (2005) 329

[170] Ethical Issues In Obsterics And Gynecolody, The International Federation of Gynaecologyand Obstetrics, Octomber 2012, 68

[171] იქვე.

[172] ავტორის ხაზგასმა.

[173] მსგავსი შემთხვევები ხშირია საერთაშორისო სუროგაციის დროს.

[174] Carbone J., Miller C., Surrogacy Professionalism, 31 J. Am. Acad. Matrimonial Law. (2018) 40

გესტაციური სუროგაციის გზით დაბადებული ტყუპები გადაეცა პოტენციური მშობლებისათვის.[175] ორსულობის პერიოდის უმტკივნეულოდ გავლის მიუხედავად, როცა მშობლის უფლებების გადაცემის შესახებ სასამართლო პროცესზე შელიმ გაიგო პოტენციური დედის 9 წლის წინ არსებული ფსიქიკური პრობლემებისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შესახებ, უარი განაცხადა ტყუპების გადაცემაზე, რომლებიც სპერმისა და კვერცხუჯრედის დონორების გამოყენებით იყვნენ დაბადებული.[176] შელის აზრით, პოტენციურ დედას მსგავსი ინფორმაცია ურთიერთობის დასაწყისშივე უნდა ეთქვა, მშობიარობის შემდეგ სასამართლო პროცესზე ამ ამბის გაგება მისთვის მოულოდნელი და არაკომფორტული იყო, რის გამოც მან გადაწყვიტა ბავშვები თავისთან დაეტოვებინა.[177] აღნიშნული სცენარი განვითარდა ამერიკის მიჩიგანის შტატში, სადაც კანონმდებლობა სუროგაციას არ აღიარებს და შელის უარი ტყუპების გადაცემაზე სასამართლომ გაითვალისწინა და ბავშვებზე კანონიერი მშობლების სტატუსი სუროგატმა და მისმა მეუღლემ შეინარჩუნეს.[178]

## 4.3. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა სუროგაციის დროს

სრულყოფილი სუროგაციის ხელშეკრულება უნდა ფარავდეს ყველა სავარაუდო შემთხვევასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ხელშეკრულებით განსაზღვრული უნდა იყოს მაგალითად ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის საკითხიც.[179]

სუროგაციის ხელშეკრულებების უმრავლესობა შეიცავს სხვადასხვა სახის დებულებას სუროგატი დედის ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების შესახებ, მათ შორის შედის ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაც.[180] ძირითადად, ხელშეკრულებაში ასახული შეთანხმება გულისხმობს შემკვეთი წყვილისათვის აბორტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭებას. მსგავსი სახის დებულების რეალურად აღსრულება წარმოუდგენელია და მაინც საინტერესოა, ამის მიუხედავად, უნდა იყოს თუ არა კონტრაქტში ასეთი ტიპის ჩანაწერები.

---

[175] იხ. სტატია https://abcnews.go.com/GMA/Parenting/twins-meant-adoption-surrogate-mom/story?id=9536107 (9.05.2019)

[176] იქვე.

[177] იხ. სტატია https://blog.rebelcircus.com/michigan-family-lost-twins-surrogate-filed-custody-following-delivery-babies-2/ (წვდომის თარიღი: 9.05.2019)

[178] იხ. სტატია https://www.babygaga.com/15-baby-stealing-surrogates-who-actually-won-in-court/ (წვდომით თარიღი: 9.05.2019)

[179] Care in surrogacy, Guidance for the care of surrogates and intended parents in surrogate births in England and Wales, (February 2018) 7
იხ. სტატია
https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/684259/surrogacy-guidance-for-healthcare-professionals.pdf (წვდომის თარიღი: 21.04.2019)

[180] Forman L. D., Abortion Clauses in Surrogacy Contracts: Insights from a Case Study, 49 Fam. L.Q. 29 (2015) 31

“სუროგატ დედას ისევე აქვს სამედიცინო თვითგამორკვევის უფლება, როგორც ნებისმიერ სხვა ორსულ ქალს. საკითხავია წერილობითი შეთანხმებით შეუძლია თუ არა მას გადასცეს ეს უფლებები შემკვეთ წყვილს. ზოგადად, ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლებების გადაცემაც კი დასაშვებია, მთავარია გადაცემა მოხდეს გამიზნულად, გაცნობიერებულად და ნებაყოფლობით, რა დროსაც უფლების გადამცემი სათანადოდ აცნობიერებს ამ ქმედების სამომავლო შედეგებს.“[181]

ცხადია, რომ წყვილები, რომლებიც მიმართავენ სუროგაციას, გასცემენ დიდ ფინანსურ რესურს და იღებენ ემოციურ დატვირთვას ბავშვის დაბადების მიზნით, წინააღმდეგნი არიან აბორტის გაკეთების. თუმცა, ისინი არ ამბობენ უარს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შესახებ დებულება ჩაიწეროს კონტრაქტში. პოტენციური წყვილი აბორტის გაკეთების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების საკუთარ თავზე აღებას უკავშირებს იმ შემთხვევებს, როდესაც ნაყოფს მძიმე პათოლოგიები აღენიშნება ან სახეზეა მრავლობითი ორსულობა, რომელიც დღის წესრიგში აყენებს აბორტის გაკეთების საკითხს. კონტრაქტების მიხედვით, სუროგატ დედას შემკვეთი წყვილის ნებართვის გარეშე მხოლოდ მაშინ აქვს უფლება გაიკეთოს აბორტი თუ მისი სიცოცხლე საფრთხეშია.[182] **მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის დებულებები არ შეიძლება აღსრულდეს, პრაქტიკოსები მაინც ემხრობიან მათ ხელშეკრულებაში ჩაწერას.**[183] საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მიხედვით, აბორტი დაიშვება იმ შემთხვევაში თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას, 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით, ჩამონათვალს ადგენს მინისტრის ბრძანება.[184]

### 4.3.1.ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მოთხოვნა - კრისტალ კელის საქმე

აბორტის გაკეთების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა *კრისტალ კელის* საქმემ, რომლის მიხედვითაც, სუროგატმა დედამ უარი განაცხადა პოტენციური მშობლების მოთხოვნაზე გაეკეთებინა აბორტი. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ეხებოდა აბორტის გაკეთების

---

[181]Wald H. W., Black K., Surrogacy and a Pregnant Woman's Constitutional Right to Medical and Procreative Choice-A Brief Survey, (Oct. 2011) 5

[182] Gestational Surrogacy Agreement, Exhibit A to Memorandum of Law in Opposition to Defendant's Motion to Dismiss, I G.8. (Stoyanov v. Kelley, Complaint 3, 5, & 6 (May 10, 2012).

[183] Rosenberg B. M., Critical Legal Considerations for All Parties to Surrogacy Arrangements, 34 FAm. ADV. 23, 24 (2011)

[184] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 139-140-ე მუხლები.საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“, 2014

შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებას, რომლის მიხედვითაც წყვილს შეეძლო ნებისმიერ დროს მოეთხოვა სუროგატისთვის ორსულობის შეწყვეტა თუ ნაყოფს აღმოაჩნდებოდა მძიმე თანდაყოლილი პათოლოგიები.[185] კრისტალ კელი, რომელიც გახლდათ ორი შვილის დედა, დათანხმდა 9 თვის განმავლობაში მუცლით ეტარებინა ბავშვი, რომელსაც დაბადებისთანავე გადასცემდა ცოლ-ქმარს. შემკვეთი წყვილი ცხოვრობდა ნიუ-იორკში, თუმცა ხელშეკრულების დასადებად მათ შეარჩიეს კონექტიკუტის შტატი, რადგან იქაური კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა მათთვის უფრო მისაღები იყო. წყვილმა შესთავაზა სუროგატ დედას 10 000 აშშ დოლარი აბორტის გაკეთების სანაცვლოდ, რასაც კელი არ დათანხმდა.[186] ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ფეხმძიმობის გვიან სტადიაში ატარებს განსაკუთრებულად დიდ რისკს და საჭიროებს ძლიერ ანესთეზიას.[187] მოცემულ შემთხვევაში კელი ორსულობის მეხუთე თვეში იყო, როდესაც აღმოჩნდა, რომ ბავშვს აღენიშნებოდა სერიოზული თანდაყოლილი ჯანმრთელობის პრობლემები, ძალიან მაღალი იყო შანსი იმისა, რომ თუ ის ცოცხალი დაიბადებოდა ვერასდროს შეძლებდა ეცხოვრა ნორმალურად, სხვების დახმარების გარეშე.[188] წყვილი კი ამ პერიოდისთვის უკვე ზრდიდა სამ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს და მათივე თქმით, ვერ შეძლებდნენ იმ სტრესის გადატანას, რაც მათ ელოდათ ამ ბავშვის სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლისას.[189] სუროგატი კი ნაყოფთან განვითარებული ემოციური კავშირისა და რელიგიური შეხედულებების გამო არ დათანხმდა წყვილის შემოთავაზებას გაეკეთებინა აბორტი.[190] თუ სუროგატს სურს ბავშვზე მშობლის სტატუსის მოპოვება, კონექტიკუტის შტატის იურისდიქცია მისთვის სასურველი არ არის, რადგან კონექტიკუტის უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომით სუროგაციის ხელშეკრულების ბათილობის დროს, თუ სუროგატი დედას არ აქვს ბავშვთან ბიოლოგიური კავშირი, ის ვერ მოიპოვებს ბავშვზე მშობლის სტატუსს.[191] კელი კონექტიკუტიდან გაემგზავრა მიჩიგანის შტატში, სადაც პრეცედენტების თანახმად, სავარაუდო იყო, რომ სასამართლო ბათილად ცნობდა სუროგაციის ხელშეკრულებას და მას აღიარებდა ბავშვის დედად. სუროგატის ჩანაფიქრი შესრულდა, ბავშვი დაიბადა მიჩიგანში და შემკვეთი წყვილის კონექტიკუტში შეტანილ

---

[185] იხ. ინტერვიუ https://people.com/parents/surrogate-crystal-kelley-baby-with-birth-defects-parents-order-to-abort/ (წვდომის თარიღი: 13.04.2019)

[186] იხ. ინტერვიუ https://edition.cnn.com/2013/03/06/opinion/oconnor-surrogate-abortion/( (წვდომის თარიღი: 10.04.2019)

[187] Bygedeman M., Gemzell-Danielson K., An Historical Overview of Second Trimester Abortion Methods, 16 WOMEN's HEALTH & PUBLIC POL'Y 196, (2008) 200-01

[188] იხ. ინტერვიუ https://edition.cnn.com/2013/03/06/opinion/oconnor-surrogate-abortion/( (წვდომის თარიღი: 10.04.2019)

[189] იქვე.

[190] იქვე.

[191] Raftopol v. Ramey, 12 A.3d 783, 804 (Conn. 2011).

სარჩელს განსჯადობის დარღვევის გამო არ მოჰყოლია რაიმე შედეგი.[192] სწორედ ამ მიზეზის გამო, სუროგაციის ხელშეკრულებების უმეტესობა შეიცავს მუხლებს სუროგატი დედის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ, განსაკუთრებით ორსულობის ბოლო თვეებში, რათა თავიდან იქნას აცილებული გადამწყვეტ მომენტებში სასურველ იურისდიქციებში „გაქცევა“.[193]

### 4.3.2.სელექციური აბორტი - მელისა ქუქი ჰარდინგის წინააღმდეგ

საქმეში მელისა *ქუქი ჰარდინგის წინააღმდეგ* სუროგატმა დედამ, რომელიც 3 ტყუპზე დაორსულდა,[194] უარი განაცხადა ე.წ. სელექციური აბორტის გაკეთებაზე, რომელის მიხედვითაც, შემცირდებოდა ნაყოფის რაოდენობა და ის გააჩენდა ან ერთ ან ორ ბავშვს.[195] მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, პოტენციურ მამას ჰქონდა უფლება გადაწყვეტილება მიეღო შერჩევითი აბორტის გაკეთების შესახებ[196] და მან რამდენჯერმე მიმართა ამ მოთხოვნით მელისას, თუმცა სუროგატმა აბორტი არ გაიკეთა და 2016 წლის თებერვალში ნაადრევად დაიბადა სამივე ტყუპი.

კრისტალ კელისგან განსხვავებით ქუქის საქმეში აბორტის მიზეზი იყო არა ფეტუსის თანდაყოლილი პათოლოგიები არამედ, რისკი მშობიარობის დროს გართულებების წარმოშობისა. ორივე საქმის მიხედვით, აბორტის გაკეთების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება ხელშეკრულებით მინიჭებული ჰქონდათ პოტენციურ მშობლებს. მიუხედავად, მსგავსი შეთანხმების არსებობისა თუ სუროგატი დედა უარს განაცხადებს აბორტზე მას ვერავინ დააძალებს ნაყოფის მოშორებას, რადგან ორსულობის შეწყვეტა შეუძლებელია პირის სხეულის მთლიანობის დარღვევის გარეშე. რაც შეეხება სელექციურ აბორტს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით საქართველოში აკრძალულია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის

---

[192] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Stoyanov v. Kelley, supra note 86.

[193] Forman L. D., Abortion Clauses in Surrogacy Contracts: Insights from a Case Study, 49 Fam. L.Q. 29, (2015) 47

[194] ორსულობა იყო მაღალი რისკის შემცველი სუროგატი დედის ასაკიდან გამომდინარე, მელისა გახლდათ 48 წლის და სამი ტყუპის გაჩენა დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული.პოტენციურ მამას სურდა ამ რისკის თავიდან აცილება სელექციური (შერჩევითი) აბორტის გზით, რათა არც ბავშვევბის და არც სუროგატი დედის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა.

[195] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Cook v. Harding, 190 F. Supp. 3d 921, 928-29 (C.D. Cal. 2016)

[196] შერჩევითი აბორტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლების პოტენციური მშობლებისთვის მინიჭებისასს მხარეები თანხმდებიან, რომ აბორტი კეთდება შერჩევის პრინციპით, ხელშეკრულებაში მხარეები ხშირად მიუთითებენ, რომ აბორტი არ გაკეთდება ბავშვის სქესის შერჩევის მიზნით. პეკინის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარების 2019 წლის კვლევის თანახმად, 1970 წლიდან 2017 წლამდე 202 ქვეყნიდან აღებული დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ სელექციური აბორტის გამო სულ მცირე 23 000 000 -ით ნაკლები გოგონა დაიბადა.
იხ. ბმული https://www.newscientist.com/article/2199874-sex-selective-abortions-may-have-stopped-the-birth-of-23-million-girls/?fbclid=IwAR0rFFCZ_bUNIjVY3ci4M4zlGNLkIKipA6DtYBzaWc0ISnE9LH0IpYOjYGI (წვდომის თარიღი: 21.04.2019)

ხელოვნური შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადების თავიდან აცილება.[197]

სელექციური (შერჩევითი) აბორტი, ანუ ჩანასახის სქესის გამო მოშორება, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გამყარებულ თანასწორობის უფლებასაც და წარმოადგენს ცალსახა დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე.[198] ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, როგორც სუროგატი დედა არ შეიძლება იყოს იძულებული დაიტოვოს სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვი, რომელიც პოტენციურმა მშობლებმა მიატოვეს, ისე არ უნდა ვაიძულოთ პოტენციური მშობლები იკისრონ არასასურველი ბავშვის ხარჯები, რომელიც სუროგატის მხრიდან სელექციური აბორტის გაკეთებაზე უარის თქმის შედეგად დაიბადა.[199] თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ხელოვნური განაყოფიერების დროს მრავალნაყოფიანი ორსულობის მაღალი რისკი არსებობს, სუროგატის მხრიდან ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტაზე უარის მიუხედავად (ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება[200]), პოტენციურმა მშობლებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა დაბადებულ ბავშვზე.

### 4.3.3.აშშ-ს ნევადას შტატი

ნევადას შტატში სუროგაციის შესახებ კანონში ბოლოს შესული ცვლილებები შესაძლებლობას იძლევა აბორტის შესახებ ხელშეკრულების პუნქტი იყოს აღსრულებადი, თუმცა კანონი ამას პირდაპირ არ მიუთითებს. ნევადას § 126 სტატუტის თანახმად,[201] ხელშეკრულების დარღვევისას მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რაც მიუთითებს იმას, რომ შემკვეთ წყვილს შეუძლია სუროგატ დედას მოსთხოვოს გარკვეული ქმედების შესრულება,[202] რაც გამოიხატება მაგალითად, აბორტის გაკეთებაში. ამ ჩანაწერების მიხედვით, შესაძლებელია შემკვეთ წყვილს ჰქონდეს უფლება მოსთხოვოს სუროგატ

---

[197] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“, 2014

[198] თოლორდავა მ., ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, სამართლის აქტუალური საკითხები N2, თბილისი, 2018, 11; საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი

[199]Dalzell J., The Enforcement of Selective Reduction Clauses in Surrogacy Contracts, 27 Widener Commw. L. Rev. 83, (2018) 106

[200] იხ. დეტალურად ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების შესახებ Herring J. Wall J. The Nature And Significance Of The Right To Bodily Integrity, The Cambridge Law Journal, Volume 76, Issue 3, 2017, 566-588

[201] NEv. REV. STAT. § 126.790 (West 2013).

[202] „გარკვეული ქმედების შესრულება“ (Specific performance) არის ამერიკის შეერთებული შტატების სამართლით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლის მიხედვითაც ვალდებულების დარღვევისას უფლებამოსილ მხარეს შეუძლია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაავალდებულოს მეორე მხარე შეასრულოს სპეციფიკური ქმედება, რაც გამომდინარეობს მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან.

დედას აბორტის გაკეთება, როგორც გარკვეული ქმედების შესრულება, თუ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული, რომ მსგავსი ტიპის გადაწყვეტილების მიღების უფლება მათ ენიჭებათ, თუმცა ამ მიდგომის დანერგვა, ჯერ ისევ, ბუნდოვანია.[203]

„ამერიკაში არსებული რეგულაციებიდან და პრაქტიკიდან გამოიყოფა სამი ძირითადი მიდგომა:

1. აბორტის უფლების გადაცემა დაუშვებელია და შესაბამისად, ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტის აღსრულება არ შეიძლება.
2. აბორტის შესახებ ხელშეკრულების პუნქტის აღსრულება შეიძლება მოხდეს „გარკვეული ქმედების შესრულების" მეშვეობით.
3. აბორტის უფლების გადაცემა ნებადართულია, თუმცა არ არის აღსრულებადი „გარკვეული ქმედების შესრულების" მეშვეობით, შესაძლებელია მხოლოდ ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა."[204]

მხარემ შეიძლება მოითხოვოს აბორტის არ გაკეთების გამო საჭირო მედიკამენტებისა სამედიცინო მომსახურებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.[205] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაბადებისას სასამართლოები მხარეს აკისრებენ შედარებით უფრო დიდ ფულად კომპენსაციას და ამის მიზეზად უთითებენ არა ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიღებულ/მისაღებ შემცირებულ ცხოვრებისეულ სიხარულს, არამედ მისი აღზრდისთვის საჭირო მომეტებულ ხარჯებს.[206] არასასურველი, მაგრამ ჯანსაღი ბავშვის დაბადებისას სასამართლოები კომპენსაციას როგორც წესი არ აკისრებენ, რადგან მათი დაბადება, თუნდაც ის არასასურველი იყოს სიხარულთან ასოცირდება.[207]

**შუალედური დასკვნა:** შეიძლება ითქვას, რომ აბორტის ნებართვის შესახებ ჩანაწერები არის აღუსრულებადი ან საუკეთესო შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.[208]

### 4.4. პოტენციური მშობლები

---

[203] Forman L. D., Abortion Clauses in Surrogacy Contracts: Insights from a Case Study, 49 Fam. L.Q. 29, (2015) 36
[204] იქვე, გვ. 37
[205] Surrogacy Contracts, Abortion Conditions, and Parenting Licenses,
იხ. ბლოგი http://blog.petrieflom.law.harvard.edu/2016/06/07/surrogacy-contracts-abortion-conditions-and-parenting-licenses-in-the-curious-case-of-cook-v-harding/ (წვდომის თარიღი: 21.04.2019)
[206]Mason J. K., The Troubled Ppregnancy: Legal Wrongs And Rights In Reproduction, Cambridge University Press, 2007, 91
[207] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Pressil v. Gibson, 477 S.W.3d 402 (Tex. App. 2015)
[208] Gostin O. L., A Civil Liberties Analysis of Surrogacy Arrangements, 17 J. CONTEMP. HEALTH L. & POL'Y , (2001) 444-45

პოტენციური მშობლები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება იყვნენ მხოლოდ ჰეტეროსექსუალი წყვილები, რადგან სუროგაციის მეშვეობით ბავშვის გაჩენის მსურველთა მისათითებლად კანონი იყენებს ტერმინებს: „ცოლი“, „ქმარი“, „ქალი“, „დედა“, „მამა“,[209] რაც ეხმიანება კონსტიტუციის 30-ე და სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლებში მოცემულ მიდგომას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუროგაციის მსურველი წყვილის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის სავალდებულო მოთხოვნას ეროვნულ კანონმდებლობაში არ ვხვდებით. ამასთან, მინისტრის ბრძანება, რომლითაც წესრიგდება ბავშვის დაბადების რეგისტრაცია, ცალკე გამოყოფს მიმართვის წესს ქორწინებაში არმყოფი მშობლებისათვის,[210] რომელიც შეიძლება სუროგაციის მეშვეობით დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროსაც გამოიყენებოდეს, თუმცა ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა იქმნება ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვების იურიდიული სტატუსის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც - ქორწინების გარეშე დაბადებული თითოეული ბავშვის დედობის დადგენა დაფუძნებული იქნება მხოლოდ ბავშვის დაბადების ფაქტზე. კონვენციის განმარტებითი ბარათის მიხედვით ბავშვის დაბადების ფაქტი გულისხმობს მშობიარობის მომენტს, რომელიც წარმოადგენს დედობის დადგენის კონვენციით განსაზღვრულ ერთადერთ გზას.[211] შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰეტეროსექსუალი წყვილი, რომელსაც სურს სუროგაციის მეშვეობით ბავშვის გაჩენა უნდა იყოს რეგისტრირებულ ქორწინებაში.

### 4.5. მშობლის სტატუსის განსაზღვრა

იურისდიქციების უმრავლესობის მიხედვით, სუროგაციის მეშვეობით დაბადებული ბავშვის მშობლის უფლებები წინასწარგანსაზღვრული და მბოჭავი ძალის მქონეა.[212]

საქართველოს კანონმდებლობა სუროგაციასთან დაკავშირებულ უამრავ საკითხს ტოვებს მკაფიო რეგულირების გარეშე, თუმცა ბავშვზე მშობლის სტატუსის მიკუთვნების შესახებ ვხვდებით ცალსახა მითითებას: „ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება ბავშვის მშობლად, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან „სუროგატულ დედას“ არ აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.“[213] ჯდკ-ში მოცემული ჩანაწერის პარალელურად სამოქალაქო აქტების

---

[209] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი; „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვარის №18 ბრძანება.

[210] „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვარის №18 ბრძანების მე-18 მუხლი.

[211] Puppinck G., Quelles voies de droit international pour interdire la maternité de substitution, L'Institut Famille & République, Septembre 2015, 8

[212] Dalzell J., The Enforcement of Selective Reduction Clauses in Surrogacy Contracts, 27 Widener Commw. L. Rev. (2018) 83

[213] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე მუხლი.

რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ მინისტრის ბრძანება აკონკრეტებს იმ პირთა წრეს, რომლებიც ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან და ცალკე ქვეპუნქტში ხაზგასმით უთითებს, რომ **„დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან „სუროგატული დედის" მითითება დაუშვებელია.**"[214] შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს სუროგატი დედის ან გამეტის დონორის მშობლად აღიარების შესაძლებლობას. მსგავს მიდგომას აფიქსირებს საკასაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში, სადაც აღნიშნავს, რომ „დადასტურებული დედის სტატუსი იწვევს დედის მიმართ შვილის მხრიდან პასუხისმგებლობის მთელი რიგი ვალდებულებების დაკისრებას (მშობლის, მზრუნველის, მეურვის, კანონიერი წარმომადგენლის და სხვა), სუროგაციის მომწესრიგებელი ნორმებიდან გამომდინარე კი სუროგატ დედას არ გააჩნია რაიმე სახის უფლება-მოვალეობები ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ.[215]

### 4.6. პოტენციური მშობლებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მინიჭება

სუროგაციის მეშვეობბით ბავშვის შეძენა არის ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესი, რომელიც დაკავშირებულია მრავალ სამედიცინო პროცედურასთან, გეგმიურ თუ არაგეგმიურ ექიმთან ვიზიტებთან. პოტენციური მშობლების ინტერესი ყველა ამ პროცედურის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ბუნებრივია. მათი სურვილი მიიღონ დეტალური ინფორმაცია სუროგატი დედის მიერ უკვე ჩატარებულ თუ სამომავლოდ ჩასატარებელ პროცედურებზე საჭიროებს სამართლებრივ საფუძველს, რადგან აღნიშნული წარმოადგენს კანონით დაცულ პერსონალურ მონაცემს, რომლის გამჟღავნებაც სამედიცინო დაწესებულებას მხოლოდ სათანადო საკანონმდებლო მოთხოვნის დაცვის საფუძველზე შეუძლია.

2013 წლის 29 ნოემბერს საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და 2014 წლის 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე, საქართველომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვისა და შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების ვალდებულება აიღო.[216] საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც წარმოადგენს

---

[214] „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვარის №18 ბრძანების მე-19 მუხლი.

[215] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება Nბს-874-8669კ-16)

[216] გუგავა ნ. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები საქართველოს საჯარო სექტორში და საერთაშორისო გამოცდილება, სადისერტაციო ნაშრომი, 2017, 4

პირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ამავე კანონის მიხედვით, **პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ითვლება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად**,[217] ვინაიდან მასზე არაუფლებამოსილი პირების წვდომამ, უკანონო გამოყენებამ, გამჟღავნებამ, შეცვლამ ან განადგურებამ, მონაცემთა დამუშავების დროს უსაფრთხოების ზომების დაუცველობამ შესაძლოა მძიმე მორალური ან მატერიალური ზიანი მიაყენოს პაციენტს და გამოიწვიოს მისი სტიგმატიზაცია.[218]

კანონი კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას თუ არ არსებობს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა ან კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.[219] მნიშვნელოვანია პირს ჰქონდეს მოლოდინი, რომ მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია დაცული იქნება, „რადგან არასაკმარისი ნდობის პირობებში, შესაძლოა მან თავი შეიკავოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისგან და ხელი შეუშალოს, მაგალითად, სწორი დიაგნოზის დადგენას, ან შესაბამისი მკურნალობის დანიშვნას“.[220] ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი იცავს პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას.[221] პაციენტის სამედიცინო პროცედურის ან მომსახურების ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება სამედიცინო დაწესებულების მხრიდან პაციენტის თანხმობის გარეშე არის ჩარევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით განმტკიცებულ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.[222]

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მანვე უნდა დაასახელოს ის პირი,

---

[217] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, 08.05.2019 მდგომარეობით; ევროპის საბჭო, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლი, CETS No. 108, 1981; ევროპის პარლამენტის დირექტივა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემთა თავისუფალი გადაადგილებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ, მე- 8 მუხლი, 95/46/EC, 1995.

[218] "რეკომენდაცია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ", პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, გვ. 1, 2016

[219] იქვე მე-6 მუხლი; გოშაძე კ., „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი“, თარგმანი, თბილისი, გვ. 115, 2015

[220] ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების დამუშავების შესახებ რეკომენდაცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2015 გვ. 1

[221] იხ გადაწყვეტილებები: Mockute v. Lithuania 66490/09; M.S. v. Sweden 74/1996/693/885; Z v. Finland 22009/93;

[222] Guide on Article 8 of the Convention – Right to respect for private and family life, Council of Europe/European Court of Human Rights, 2018, 38

რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გადაწყვეტილება და პირის ვინაობა ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში. მონაცემთა დამუშავების უპირველესი პირობა, მიუხედავად იმისა, განსაკუთრებულია თუ არა იგი, არის მონაცემთა სუბიექტის თანხმობა.[223] აქედან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებამ დაინტერესებულ პირს არ უნდა გაანდოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია თუ ის არ დაადასტურებს სამართლებრივი საფუძვლის არსებობას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ 2016 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციის მიხედვით, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა იყოს გამოჩენილი ისეთი სახის მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება სქესობრივ ცხოვრებასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას. განსაკუთებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას წერილობით თანხმობაში აშკარად უნდა ჩანდეს პირის მიერ ამ კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა. კერძოდ, კონკრეტულად რომელი მონაცემის, რა მიზნით და რომელი სამართლებრივი საფუძვლით დამუშავებას დათანხმდა პიროვნება.[224] **განსაკუთრებულ მონაცემთა დამუშავების ნებართვა უნდა იყოს მკაფიო და ნათლად გამოხატული.**[225]

პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ პოტენციურ მშობლებს სუროგაციის ხელშეკრულებით მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ სუროგატის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაკუთრებული მონაცემების შემცველი დოკუმენტისა და ჩანაწერის ასლი. სუროგატის შესახებ მსგავსი ინფორმაციის პოტენციური წყვილისათვის მიწოდება აუცილებად უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, პაციენტს უფლება აქვს იცოდეს, თუ რა სახის მონაცემები მუშავდება/ინახება მის შესახებ სამედიცინო დაწესებულებაში, რა მიზნით და გზით შეგროვდა ეს ინფორმაცია და ასევე ვისზე გაიცა მისი სამედიცინო ისტორია ან კვლევის შედეგები.[226]

ამასთან გასათვალისიწინებელია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე, მოცემული ჩანაწერის მოქმედება არ ვრცელდება მონაცემთა სუბიექტის მიერ ფულადი

[223] გოშაძე კ., „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი“, თარგმანი, თბილისი, გვ. 116, 2015

[224] გუგავა ნ. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები საქართველოს საჯარო სექტორში და საერთაშორისო გამოცდილება, სადისერტაციო ნაშრომი, 2017, 81

[225] იქვე.

[226] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი;

ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე.[227]

### 5. საერთაშორისო მიდგომა

სუროგაციის სამართლებრივი სტატუსი განსხვავდება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, ზოგიერთი სახელმწიფო პირდაპირ კრძალავს სუროგაციის ნებისმიერ სახეს, ზოგი კი მხოლოდ ალტრიუსტულ სუროგაციას აკანონებს. ცოტაა ქვეყნები, სადაც ნებადართულია კომერციული და ალტრუისტული სახის სუროგაცია, თუმცა ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობა პირდაპირ არც კრძალავს და არც უშვებს მსგავს პრაქტიკას.[228]

საფრანგეთი და გერმანია კრძალავს სუროგაციის ნებისმიერ სახესა და ფორმას იქნება ის კომერციული თუ ალტრუისტული, გესტაციური თუ ტრადიციული.[229] ავსტრალია, ახალი ზელანდია, გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი და სამხრეთ აფრიკა კრძალავს კომერციულ სუროგაციას და პირდაპირ თუ არაპირდაპირ უშვებს ალტრუისტულს.[230]კამბოჯა, ინდოეთი, ნეპალი და ტაილანდი იყვნენ კომერციული სუროგაციის ცენტრები, თუმცა ბოლო პერიოდში მათ მიიღეს ზომები მის ასაკრძალად ან შესამცირებლად.[231] საქართველო, უკრაინა, რუსეთი და ამერიკის რამდენიმე შტატი წლებია სტაბილურად ინარჩუნებენ კომერციული სუროგაციის ცენტრის სტატუსს.[232] **საერთაშორისო დონეზე რეგულაციების სიმცირის გამო საერთაშორისო სუროგაციის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი პრობლემების გადაჭრა მინდობილი აქვთ მოსამართლეებს, რომლებიც დანიშნულნი არიანეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე.**[233]

ეთიკური და სამართლებრივი დისკუსიების ფონზე, საერთაშორისო სუროგაციის ხელშეკრულებების პრაქტიკა ვითარდება, ასევე, იზრდება საერთაშორისო კერძო სამართალთან დაკავშირებული საკითხებისა[234] და ფუნდამენტური უფლებების

---

[227] იქვე, 25-ე მუხლი;

[228] Hevia M., Surrogacy, privacy, and the American Convention on Human Rights, Journal of Law and the Biosciences, Volume 5, Issue 2, (August 2018) 376

[229] Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 5

[230] იქვე.

[231] იქვე.

[232] იქვე.

[233] Rigon A., Chateau C., Citizens' Rights and Constitutional Affairs, Policy Department C, European Parliament, PE 571.368, (2016) 1

[234] საერთაშორისო სუროგაციის დროს, კონტრაქტიდან გამომდინარე არსებული ვალდებულების დარღვევისას მნიშვნელოვანია განსჯადი სასამართლოს დადგენა. სუროგაციაში მონაწილე სუბიექტთა

რაოდენობა, რომელთაც პირდაპირი გავლენა აქვთ მოქალაქეების ცხოვრებაზე.[235] **სუროგაციის მიმართულებით საკანონმდებლო რეგულაციებისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებამ აჩვენა, რომ უმთავრესი აქცენტი კეთდება მშობლის სტატუსის განსაზღვრაზე, ხოლო ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა უფლებების თანდაყოლილი დისბალანსი უგულებელყოფილია.**[236]

ადრე დილემას წარმოადგენდა თუ რამდენად მისაღები იყო სუროგაცია ეთიკური და სოციალური თვალსაზრისით დღეს კი განსჯის მთავარ საკითხს წარმოადგენს თუ როგორ უნდა დარეგულირდეს ეს პრაქტიკა ისე, რომ მაქსიმალურად იქნას დაცული საჯარო და კერძო ინტერესები.[237]

საერთაშორისო კომერციული სუროგაციის ქსელი ერთი იურისდიქციიდან მეორეში გადადის, ზოგჯერ ინ ვიტრო განაყოფიერება ერთ სახელმწიფოში ხორციელდება, სუროგატის მშობიარობა მეორეში, მაშინ როდესაც, პოტენციური მშობლები შეიძლება სხვა მესამე ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ და სასქესო უჯრედების დონორები კიდევ სხვა მეოთხე და მეხუთე ქვეყნებიდან.[238] აქედან გამომდინარე საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებისა და განვითარების საჭიროება აუცილებელია.[239]

<u>შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ხელმისაწვდომი სუროგაციის დროს</u>

- პოტენციური მშობლები მიღებულ სერვისში უფრო ნაკლებ თანხას იხდიან, უფრო დაცულად გრძნობენ თავს საკუთარ ქვეყანაში და აქტიურად ადევნებენ თვალს ორსულობის პერიოდს.
- პოტენციურ მშობლებსა და სუროგატს შორის შესაძლებელია სამომავლო ურთიერთობების გაგრძელება, რაც საერთაშორისო სუროგაციის დროს თითქმის გამორიცხულია.

---

უფლებრივი მდგომარეობიდან და თავად ხელშეკრულების სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე რთულია მოიძებნოს ცალსახა პასუხი განსჯადი სასამართლოს შერჩევაზე. გამოითქვა აზრი, რომ განსჯადობა უნდა დადგინდეს არა ხელშეკრულებაში არსებული შეთანხმების მიხედვით, არამედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ზოგის აზრით, ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას პოტენციურ მშობლებთან შედარებით სუროგატი დედის სუსტი სამართლებრივი პოზიცია და განსჯადი სასამართლოს შერჩევისას მისი ინტერესები უნდა იყოს დაცული. თუმცა, მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული შეთანხმების უარყოფა დაუშვებელია თუ არ არსებობს ამის რეალური საფუძველი. არის შემთხვევები, როდესაც მხარეები კონტრაქტში არ უთითებენ სასურველი იურისდიქციის შესახებ.

[235] Rigon A., Chateau C., Citizens' Rights and Constitutional Affairs, Policy Department C, European Parliament, PE 571.368, (2016) 1

[236]Donaldson T., Whole Foods for the Whole Pregnancy: Regulating Surrogate Mother Behavior during Pregnancy, 23 Wm. & Mary J. Women & L. (2017) 410

[237] Yehezkel M., In Defense Of Surrogacy Agreements: A Modern Contract Law Perspective, William & Mary Journal Of Women And The Law, (2014) 438

[238] Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 6

[239] იქვე.

- მცირდება შანსი ბავშვის ფუნდამენტური უფლებების დარღვევისა და მისი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყვანისას წინააღმდეგობების გაჩენისა, რაც არის ყველაზე გავრცელებული მიზეზი, რის გამოც საერთაშორისო სუროგაციას მწვავედ აკრიტიკებენ.

## 5.1. ჰააგის კერძო სამართლის კონფერენცია სუროგაციის შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციის[240] ექსპერტები რამდენიმე წელია სწავლობენ საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს[241] და პერიოდულად ვებგვერდზე აქვეყნებენ ანგარიშებს.[242] კონფერენციის ფარგლებში იყო მსჯელობა სუროგაციის საერთაშორისო დოკუმენტის შექმნის შესახებაც, აშშ-ს ადვოკატთა ასოციაციის აზრით ამ დოკუმენტმა შეიძლება უფრო მეტი პრობლემა წარმოშვას ვიდრე ის მოაგვარებს. ამ მოსაზრების გაზიარება არ იქნება გონივრული, რადგან წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარე საერთაშორისო სუროგაციის პრაქტიკა ცალსახად მიუთითებს, რომ რეგულირების გარეშე ამ პროცესში ჩართული პირების, განსაკუთრებით კი სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების, უფლებები დარღვევისთვის არის განწირული.

საერთაშორისო სუროგაციის ყველაზე გავრცელებული პრობლემა არის დაბადებულ ბავშვზე კანონიერი მშობლის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეები. სწორედ ამ საკითხზე მუშაობს საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციის საბჭოს მიერ მოწვეული ექსპერტები. ექსპერტთა აზრით მთავარი დაცვის გარანტი უნდა იყოს სუროგატი დედის ინფორმირებული თანხმობა.[243] 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა, რომ მათი განხილვის საკითხებში შედის:

- გენეტიკური კავშირის საჭიროება პოტენციურ მშობლებსა და ბავშვს შორის
- ბავშვის წარმომადგენლობის შესახებ ინფორმაციის დაცვა; ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა;
- ბავშვთა ტრეფიკინგისა და ყიდვა-გაყიდვის პრევენცია;
- ქალთა ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის პრევენცია;

---

[240] ჰააგის კერძო სამართლის კონფერენცია არის გლობალური, მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 81 წევრ ქვეყანას (მათ შორის არიან 80 წევრი ქვეყანა და ევროკავშირი), რომელიც ეხმარება სახელმწიფოებს სამართლებრივი სისტემების ურთიერთ-კოორდინაციაში.

[241] ჰააგის კონფერენციის ექსპერტები მუშაობენ ვიწრო ჭრილში და განიხილავენ მშობლის სტატუსთან და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც ხშირად წარმოიშვება ბავშვის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყვანისას.

[242] იხ. ვებ გვერდი https://www.hcch.net/en/projectslegislative-projects/parentage-surrogacy (წვდომის თარიღი: 14.04.2019)

[243] Report of the Experts' Group on the Parentage / Surrogacy Project, Hague Conference on Private International Law, (meeting of 28 January – 1 February 2019) 4

- სუროგატისა და პოტენციური მშობლების შესაბამისობა;
- ფინანსური ასპექტები;

ექსპერტები მუშაობენ როგორც ზოგადი, ისე სპეციალური საერთაშორისო ინსტრუმენტის შემუშავებაზე, რომელიც მშობლის სტატუსის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს შეეხება.[244] შემუშავებულმა კონვენციამ შეიძლება არ უბიძგოს ქვეყნებს სუროგაციის ლეგალიზებისკენ, მაგრამ, სავარაუდოდ, ის ხელს შეუწყობს ამ პრაქტიკის მიმღებლობას.[245]

### 5.2. შეფასების ფარგლები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებსა თუ საკონსულტაციო მოსაზრებაში უთითებს, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობს კონსესუსი სუროგაციასთან დაკავშირებით და რადგან ის ეხება სენსიტიურ მორალურ თუ ეთიკურ საკითხებს, წევრი ქვეყნები სარგებლობენ შეფასების ფართო ზღვრით.[246] თუმცა, „შეფასების ფართო ზღვარი" ზოგიერთ შემთხვევაში მკაცრი კრიტიკის ობიექტი ხდება, ამის ნათელი მაგალითია სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2017 წლის იანვარში მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე *პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ*, სადაც ჩანს, რომ სუროგაციის ამკრძალავ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა საჯარო წესრიგის დაცვაზე დაყინებული მითითებით, ბავშვის ჩამორთმევის და მისი გაშვილების მეშვეობით აიძულონ თავიანთი მოქალაქეები თავი შეიკავონ სხვა ქვეყანაში სუროგაციის მომსახურების მიღებისგან.[247]

საინტერესოა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *S. H. v. Austria*, სადაც ჰეტეროლოგიური ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის გამოყენების აკრძალვა სტრასბურგის სასამართლომ არ ჩათვალა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად და მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ ქმნის გარანტიას პირს ჰქონდეს წვდომა გამეტის დონაციის გამოყენებით ჩასატარებელ ხელოვნურ განაყოფიერებაზე.[248] შესაბამისად, სახელმწიფოები ამ საკითხის გადაწყვეტის დროსაც სარგებლობენ შეფასების ფართო ზღვრით. ევროპის დონეზე არ არსებობს კონკრეტული

---

244 Report of the Experts' Group on the Parentage / Surrogacy Project, Hague Conference on Private International Law, (meeting of 28 January – 1 February 2019) 6

245 Hougue C., Roux C., Surrogate Motherhood And Human Rights, Human, Legal And Ethical Issues (September 2015) 1

246 Press Release, ECHR, 132, p.3, 10.04.2019. 3

247 Blauwhoff R., Frohn L., International Commercial Surrogacy Arrangements: The Interests of the Child as a Concern of Both Human Rights and Private International Law, Fundamental Rights in International and European Law, Chapter 10, (2016) 239

248 Surrogate Motherhood: A Violation Of Human Rights, European Centre for Law and Justice, 2012, 19

ჩანაწერი, რომელიც პირს ბიოლოგიურად დაკავშირებული შვილის ყოლის უფლებას ანიჭებს, თუმცა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო აღიარებს „პირის უფლებას პატივი სცენ მის გადაწყვეტილებას შვილის შეძენასთან ან მის არ ყოლასთან დაკავშირებით“.[249]

## 5.3. სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრება

სუროგაცია და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, სოციალური თუ ეთიკური კითხვები არ არის უცხო სტრასბურგის მოსამართლეებისათვის. სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი სარჩელებიდან, რიგ შემთხვევებში, პოტენციურ მშობლებსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირი არსებობს, რიგ შემთხვევებში არა.[250] საინტერესოა სასამართლო განსხვავებულად უდგება თუ არა მოცემულ საქმეებს.

სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრების მისაღებად მიმართა საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ და მოითხოვა ორ მნიშვნელოვან საკითხზე პოზიციის დაფიქსირება.[251] პირველი კითხვა ეხებოდა სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვზე კანონიერი მშობლის სტატუსის მოპოვებას დედის მხრიდან, სასამართლოს აინტერესებდა საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაემახვილებინა თუ არა ყურადღება ბავშვისა და დედის ბიოლოგიურ კავშირზე, ანუ იყო თუ არა გესტაციური სუროგაციისას გამოყენებული პოტენციური დედის კვერცხუჯრედი. მეორე კითხვა კი ეხებოდა მშობლის სტატუსის მოპოვების ხერხის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობას, კერძოდ, როდესაც ცოლი მისი ქმრის ბიოლოგიური ბავშვის კანონიერი მშობლის სტატუსს მოიპოვებს შვილად აყვანის პროცედურის გავლით.[252] სასამართლომ იმსჯელა მოცემულ საკითხზე და დასკვნის სახით მიუთითა, რომ კონვენციის მერვე მუხლის მოთხოვნით ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის გარეთ, კანონის დაცვით, სუროგაციის მეშვეობით დაბადებული ბავშვის კანონიერი მშობლის სტატუსის დადგენის შესაძლებლობას.[253] ამასთან, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაძლებლობა კანონიერი მშობლის სტატუსის მოპოვებისა უნდა იყოს უფრო ხელმისაწვდომი იმ შემთხვევაში, როდესაც

---

[249] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Evans v. United Kingdom, GRAND CHAMBER, The European Court of Human Rights, 10 April 2007

[250] O'LEARYA S., Tale of Two Cities: Fundamental Rights Protection in Strasbourg and Luxembourg, Cambridge Yearbook of European Legal Studies, (2018) 15

[251] Request no. P16-2018-001

[252] სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრება საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ კითხვებზე, პარ. 9, 2019 წლის 10 აპრილი, იხ. ბმული https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22003-6380464-8364383%22]} (წვდომის თარიღი: 30.04.2019)

[253] იხ. იქვე პარ. 46.

გესტაციური სუროგაციის დროს არ იყო გამოყენებული პოტენციური დედის კვერცხუჯრედი.[254] სასამართლოს ეს შეფასება ეყრდნობა ბავშვის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს, რაც სასამართლოსთვის უნდა იყოს ამოსავალი წერტილი ნებისმიერ საქმეში, სადაც არასრულწლოვანი ფიგურირებს. მეორე კითხვასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სუროგაციის მეშვეობით დაბადებული ბავშვის კანონიერი მშობლის სტატუსის განსაზღვრის საშუალების შერჩევისას სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო ფარგლებით და პოტენციური მშობლებისთვის ხელმისაწვდომი პროცედურა, თუ ის იქნება სწრაფი, ეფექტური და ბავშვის ინტერესებთან შესაბამისობაში, მისაღებად შეიძლება მივიჩნიოთ.[255]

### 5.4. დიდი ბრიტანეთი

პირველი შემთხვევა, როდესაც მოქმედი ხელისუფლება სუროგაციას დეკლარირებულად უჭერს მხარს და აღიარებს მას, როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთ ფორმას, მოხდა გაერთიანებულ სამეფოში სუროგაციის სახელმძღვანელო მითითებების შემცველი ოფიციალური დოკუმენტის შექმნის გზით.[256] აღნიშნული დოკუმენტი გამოირჩევა იმითაც, რომ შემუშავების პროცესში ჩართული პირები იყვნენ სუროგაციის მიმართულებით ფართო გამოცდილების მქონე იურისტები, ექიმ-რეპროდუქტოლოგები, საოჯახო სასამართლოს კონსულტაციისა და მხარდაჭერის ორგანო და არაკომერციული სუროგაციის ორგანიზაციები.[257]

ბრიტანელი სპეციალისტების აზრით, სუროგაციის ოთხ კატეგორიად დაყოფა[258] არ არის საკმარისი, მნიშვნელოვანია სამი დამატებითი სახის გამოყოფა:

ა) თანხის გადახდის ტიპის[259]

ბ) სერვისის სახის

გ) ხელშეკრულების ჩარჩოს მიხედვით[260]

---

[254] იხ. იქვე პარ. 47.
[255] იხ. იქვე პარ. 55.
[256] Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Surrogacy in the UK, (December 2018) 12
[257] იხ. იგივე.
[258] ალტრუისტული, კომერციული, გესტაციური, ტრადიციული.
[259] რეალური ხარჯებისა და კომპენსირებადი თანხის გამოყოფით, მაგალითად მყარად გამოთვლადი მედიკამენტებისათვის გადახდილი საფასური და ტკივილისა და დისკომფორტისთვის გათვალისწინებული კომპენსაცია.
[260] Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Surrogacy in the UK, (December 2018) 15

დიდ ბრიტანეთში სუროგატი ითვლება ბავშვის კანონიერ მშობლად მანამ, სანამ სასამართლოს დადგენილებით მშობლის სტატუსი პოტენციურ მშობლებს მიენიჭება. თუ სუროგატი დაქორწინებულია, მაშინ მისი პარტნიორიც შეიძენს მის მსგავსად მშობლის სტატუსს სასამართლოს დადგენილების გამოტანამდე.[261]

სუროგაციის რიცხვის ზრდასთან ერთად 2018 წელს ინგლისისა და უელსისათვის გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ გამოსცა სახელმძღვანელო მითითებები, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეებს ურჩევს: I მიმართონ ქვეყნის შიგნით არსებულ რეკომენდირებულ/ლიცენზირებულ კლინიკებს, II შეთანხმებას მისცენ წერილობითი ფორმა და III მასში გაითვალისწინონ ორსულობის პერიოდიდან დაწყებული სუროგატი დედის ბავშვთან ურთიერთობის ჩათვლით არსებული საკითხები.[262]

### 5.5. ისრაელი

ისრაელი არის პირველი სახელმწიფო, რომელმაც ფორმალურად მოახდინა სუროგაციის ლეგალიზება და შეიმუშავა სპეციალური კანონი სუროგაციის შესახებ.[263] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისრაელის კანონმდებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სუროგაციის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე დარეგულირებას და მის მოქალაქეებს შესთავაზა სუროგაციის დეტალური მოწესრიგების მოდელი. სუროგაციისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ისრაელის სახელმწიფომ პირველად შემოიღო სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი - სუროგაციის ხელშეკრულების დამადასტურებელი საბჭოს სახით (შემდგომში ბორდი).[264] ბორდის შემადგენლობაში შედის ორი თერაპევტი, ორი გინეკოლოგი, სოციალური მუშაკი, კლინიკური ფსიქოლოგი, იურისტი და სასულიერო პირი (რაბინი, ყადი, მღვდელი).[265] ბორდი განიხილავს წარდგენილ დოკუმენტაციას, ხვდება მხარეებს, ისმენს მათ მოსაზრებებს, უსვამს შეკითხვებს და ყველა გარემოების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბორდი აფასებს არსებობს თუ არა მხარეთა თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა.[266]

---

[261]Care in surrogacy, Guidance for the care of surrogates and intended parents in surrogate births in England and Wales, (February 2018) 7 იხ. ბმული https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/684259/surrogacy-guidance-for-healthcare-professionals.pdf (წვდომის თარიღი: 21.04.2019)

[262]იხ. ბმული https://www.bbc.com/news/health-43225867 (წვდომის თარიღი: 5.05.2019)

[263] Teman E., Surrogacy in Israel: State-Controlled Surrogacy as a Mechanism of Symbolic Control, Handbook of Gestational Surrogacy, Cambridge University Press, Chapter 23, 2016, 265

[264] Teman E., Surrogacy in Israel: State-Controlled Surrogacy as a Mechanism of Symbolic Control, Handbook of Gestational Surrogacy, Cambridge University Press, Chapter 23, 2016, 265

[265] Agreements for the Carriage of Fetuses (Approval of Agreement and Status of the Newborn) Law, 5756- 1996 SH No. 1577, § 3.

[266] Lifshitz S., Neither Nature nor Contract: Toward an Institutional Perspective on Parenthood, Essay, 2014, 15

ბორდს აქვს ხელშეკრულების გადახედვის უფლებამოსილება იმ შემთხვევაში თუ მასში მხარეთა შეთანხმებით შევიდა არსებითი ცვლილება და ჯერ ისევ არ მომხდარა სუროგატის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანა.[267] ისრაელში მხოლოდ გესტაციური სუროგაცია არის კანონით ნებადართული, რადგან სუროგატ დედაზე ვრცელდება აკრძალვა ერთდროულად იყოს კვერცხუჯრედის დონორიც და ბავშვის გესტაციური მატარებელიც.[268]

ისრაელის კანონმდებლობის მიხედვით, სუროგატი დედა უნდა იყოს მარტოხელა, განქორწინებული ან დაქვრივებული, მთავარია, რომ მას არ უნდა ჰყავდეს ქმარი და ის არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს ნათესაურ კავშირში პოტენციურ მშობლებთან.[269] კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს იმ ნათესავთა წრეს, რომელსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს ქალი თუ მას სურს სუროგატობა. მსგავსი აკრძალვები განაპირობა ისრაელში დამკვიდრებულმა რელიგიურმა შეხედულებებმა.[270] ასევე, აუცილებელია სუროგატი და პოტენციური დედა იყვნენ ერთი და იგივე რელიგიის წარმომადგენლები.[271]

ისრაელში კანონმდებლობა სუროგაციის გამოყენების უფლებას რთავს ისეთ ქალს, რომელსაც აქვს რეპროდუქციული ასაკი, თუმცა არ შეუძლია დაორსულდეს ან თუ მისი დაორსულება სერიოზულ ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობას.[272] პოტენციური დედის რეპროდუქციული ასაკად მიიჩნევა 22-45 წელი თუ პოტენციური დედა ბავშვის გენეტიკური დედაც იქნება, ხოლო თუ დონორის კვერცხუჯრედის გამოყენება იგეგმება 22-დან 51 წელი.[273] პოტენციური წყვილი აუცილებლად უნდა იყოს ლეგალურ ან რელიგიურ ქორწინებაში. ისინი უნდა იყვნენ ჰეტეროსექსუალები და პოტენციურმა დედამ უნდა წარმოადგინოს სამედიცინო მტკიცებულება, რომ ხანგრძლივი უშვილობის გამო ის ვერ ორსულდება, არ აქვს საშვილოსნო ან დაორსულება მძიმე ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობას.[274] 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მარტოხელა ქალსაც მიენიჭა უფლება ჰყავდეს მასთან გენეტიკურად დაკავშირებული ბავშვი.

---

[267] იქვე, § 5

[268]იხ. The Surrogacy Agreements (approval of the agreement and the newborn's status) Law, 1996 (14.05.2019 არსებული მდგომარეობით)

[269] Teman E., Surrogacy in Israel: State-Controlled Surrogacy as a Mechanism of Symbolic Control, Handbook of Gestational Surrogacy, Cambridge University Press, Chapter 23, 2016, 167

[270] იქვე.

[271]Levush R., Reproduction And Abortion: Law And Policy, Law Libarary Of Congress Israel, (February 2012) 11

[272] იხ. ისრაელის ჯანმრთელობის სამინისტროს ვერ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია https://www.health.gov.il/English/Services/Committees/Embryo_Carrying_Agreements/Pages/default.aspx (წვდომის თარიღი:14.05.2019)

[273] Almog S., Sharon Bassan ,The Politics of Pro and Non-Reproduction Policies in Israel, Journal of Health & Biomedical Law , (2018) 28

[274] Teman E., Surrogacy in Israel: State-Controlled Surrogacy as a Mechanism of Symbolic Control, Handbook of Gestational Surrogacy, Cambridge University Press, Chapter 23, 2016, 168

### 5.6. აშშ

აშშ-ს შიგნითაც იმდენად განსხვავებულია სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება, რომ რთულია მკაფიოდ გამოყო პოზიციები და დააჯგუფო შტატები უმრავლესობა/უმცირესობის მიხედვით.[275]

ამერიკის იმ შტატებში, სადაც სუროგაცია ნებადართულია, ბავშვის/ბავშვების აშშ-ს ტერიტორიაზე დაბადების შემთხვევაში არსებობს გარანტია, რომ მათ შეუძლიათ ამერიკული პასპორტის მიღება, რაც საერთაშორისო სუროგაციის დროს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კუთხით მისასალმებელია.[276] მსგავსი მიდგომა აქვს კანადასაც, ეს მოდელი პოტენციური მშობლებისთვის ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს, რომ ისინი მშვიდობიანად შეძლებენ ბავშვების თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებას.[277]

„ბავშვის დაბადების შემდეგ წარმოქმნილი პრობლემების თავიდან ასაცილებლად ამერიკის ოთხ შტატში (ილინოისი, ნიუ ჰემფშირი, ტეხასი, ვირჯინია) შეთავაზებულია იმპლანტაციამდე ჩასატარებელი სასამართლო პროცედურა, რომელიც ადასტურებს მხარეთა ხელშეკრულებას და ხდის მას სამართლებრივად აღსრულებადს. ეს დადასტურება ნიშნავს იმას, რომ შემკვეთი პირი/პირები მითითებული იქნებიან ბავშვის დაბადების მოწმობაში და მათ ექნებათ მშობლის კანონიერი სტატუსი. სუროგატი დედა ბავშვის გაჩენის შემდეგ ვეღარ მიიღებს  მასთან დაკავშირებულ რაიმე ტიპის გადაწყვეტილებას თუ მხარეები ამაზე არ შეთანხმდებიან.“[278] მსგავსი მიდგომას ანვითარებს გაერთიანებული სამეფო და შვედეთი ალტრუისტულ სუროგაციასთან მიმართებით.

## 6. სუროგაციის ეთიკურ-სამართლებრივი დილემა

სუროგაციაზე გაზრდილმა მოთხოვნამ ბიძგი მისცა მნიშვნელოვანი მოსაზრებების გაჩენას, რომლებიც ეხება სუროგაციის გამოყენების ეთიკურ და სოციალურ წინააღმდეგობებს.[279] სუროგაციის მოწინააღმდეგენი ფიქრობენ, რომ ის ძირს უთხრის საჯარო წესრიგს და

[275] იხ. ვებ გვერდი https://perma.cc/8VEN-2XCJ (წვდომის თარიღი: 22.05.2019)

[276] Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Surrogacy in the UK, (December 2018) 18

[277] იქვე.

[278] Robertson J., Other women's wombs: uterus transplants and gestational surrogacy, Journal of Law and the Biosciences, ( March 2016) 82

[279] London C., Advancing a Surrogate-Focused Model of Gestational Surrogacy Contracts, 18 Cardozo J.L. & Gender, (2012) 398

დამღუპველ ზემოქმედებას ავრცელებს საზოგადოებაზე ბავშვების ყიდვა-გაყიდვითა და მატერიალურად სუსტი ქალების ექსპლუატაციით.[280]

ამ საკითხთან მიმართებით საინტერესოა ფემინისტების პოზიცია, რომელიც საზოგადოების მსგავსად ორად არის გაყოფილი - ერთნი ფიქრობენ, რომ ქალის გადასაწყვეტია მის სხეულს როგორ გამოიყენებს, ხოლო მეორენი ამ უფლების აღიარების მიუხედავად მაინც აღიქვამენ მსგავსი ტიპის მომსახურებას, როგორც ქალის სხეულის ექსპლუატაციას.[281]

შეიძლება ითქვას, რომ სუროგაციის დროს ნამდვილად აქვს ადგილი ექსპლუატაციას, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორივე მხარე იღებს ამ ექსპლუატაციისგან სარგებელს, პოტენციური მშობლები იღებს ბავშვს, ხოლო სუროგატი დედა ანაზღაურებას, თუმცა ეს „ტრანზაქცია“ სუროგატ დედისათვის უფრო მძიმე და ნაკლებად სამართლიანია.[282]

**სუროგაციის ექსპლუატაციური ხასიათი უკავშირდება არა მისი ღირებულების სიიაფეს, არამედ იმ სიკეთის ექსპლუატაციას, რომელის გამოყენებისთვისაც ფული საერთოდ არ უნდა იყოს შეთავაზებული.[283]**

სუროგატის ექსპლუატაციის კუთხით, რელევანტური საქმეა *მუნოზი ჰაროს წინააღმდეგ*, რომელიც წარმოადგენს ნათელ, მაგრამ სამწუხარო მაგალითს თუ როგორ მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 18 წლის წერა-კითხვის უცოდინარი, ღარიბი და დოკუმენტების გარეშე მყოფი მექსიკელი არალეგალი იმიგრანტის სუროგატად გამოყენება მიზერული ანაზღაურებით.[284] სუროგატი მოცემულ შემთხვევაში იყო ინფორმაციულ ვაკუუმში, სადაც მისი უფლებების დარღვევის ხარისხი იმდენად მაღლი იყო, რომ ზედმეტია საუბარი ინფორმირებული თანხმობის გაცხადებასა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის დაცვაზე.[285] მსგავსი შემთხვევები მიუთითებს, რომ სუროგაციის შესახებ შეთანხმებები სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს და ექსპლუატაციის თავიდან აცილებისთვის საჭიროა საერთაშორისო საზოგადოების შეთანხმებული მოქმედება.[286]

---

[280] Allen L. A., Surrogacy, Slavery, and the Ownership of Life, 13 HARv. J.L. & PUB. POL'Y, (1990) 139

[281] Scott E., Surrogacy and the Politics of Commodification, 72 Law & Contemp. Probs. (2009) 115

[282] Wertheimer A., Exploitation and Commercial Surro- gacy, 74 DENv. U.L. REV. (1997) 1216

[283] იქვე, გვ. 1218

[284] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Munoz v. Haro, United States Court Of Appeles For The Ninth Circuit Jan 15, 2014

[285] Perdue L. A., For Love or Money: An Analysis of the Contractual Regulation of Reproductive Surrogacy, 27 J. Contemp. Health L. & Pol'y, (2011) 292

[286]Labadie-Jackson G., The Reproductive Rights of Latinas and Commercial Surrogacy Contracts - English Translation, 14 Tex. Hisp. J.L. & Pol'y, (2008) 66

ზოგის აზრით, ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის[287] მე-6 და მე-11[288] მუხლები მოიცავს სუროგაციასთან დაკავშირებულ შემთხვევებს და კრძალავს სუროგატი დედების რეპროდუქციულ ექსპლუატაციას.[289] კანონმდებლობა ამ მუხლებთან მიმართებით მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე პერიოდულად უნდა გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს, გაფართოვდეს ან გაუქმდეს.[290] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მუხლების მიხედვით შესაძლებელია, როგორც სუროგატი დედების ექსპლუატაციისგან დაცვა, ასევე მათი უფლებების მხარდაჭერა.[291]

### 6.1. საზოგადოების სტიგმა და არაჰუმანური პრაქტიკა

ზოგიერთ საზოგადოებაში სუროგატი დედები ხდებიან გაკიცხვის საგანი, მაგალითად ინდოეთში ქალები საიდუმლოდ დებენ სუროგაციის ხელშეკრულებას და ორსულობის პერიოდში ძალისხმევას არ იშურებენ, რომ ანონიმურობა შეინარჩუნონ, რათა თავიდან აიცილონ სტიგმა, რომელიც მათ საზოგადოებაში სუროგატობას უკავშირდება.[292] ინდოეთში სუროგაცია უკიდურესად სტიგმატიზებულია, ბევრი მას აიგივებს პროსტიტუციასთან, მეტწილად იმიტომ, რომ მათ არ იციან თუ რა პროცედურების ჩატარება არის საჭირო ხელოვნური განაყოფიერების გზით ორსულობის მისაღებად.[293] ხშირ შემთხვევაში, სუროგატი თავად არ იღებს გადაწყვეტილებას გახდეს ბავშვის მატარებელი, სუროგაციაზე თანხმობა შეიძლება მისმა ქმარმა ან ოჯახის სხვა წევრმა განაცხადოს.[294]

არაჰუმანური და შეურაცხმყოფელი ქმედებები სუროგაციასთან დაკავშირებით სათანადოდ არის დოკუმენტირებული, მაგალითად სექსუალური ძალადობაში მსჯავრდებულების შემთხვევა ავსტრალიიდან და ისრაელიდან, სადაც მოძალადეები სუროგატებს ასაქმებდნენ ინდოეთიდან და ტაილანდიდან, ასევე, მდიდარი იაპონელი

---

[287] საქართველომ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1994 წლის 26 ოქტომბერს;

[288] მე-6 მუხლი: „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის საკანონმდებლოს, ქალებით ვაჭრობისა და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის ყოველგვარ სახეობათა აღსაკვეთად.“; მე-11 მუხლის f ქვეპუნქტი: „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას დასაქმების სფეროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ: ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის თაობის გაგრძელების ფუნქციის შენარჩუნების უფლება.“

[289] Puppinck G., Quelles voies de droit international pour interdire la maternité de substitution, L'Institut Famille & République, Septembre 2015, 8

[290] იქვე.

[291] Cooperman J., International Mother of Mystery: Protecting Surrogate Mothers' Participation in International Commercial Surrogacy Contract, 48 Golden Gate U. L. Rev. (2018) 175

[292] Darnovsky M, Beeson D. Global Surrogacy Practices ISS Working Paper Series/General Series. 601, 2014, 28

[293] International trade in human eggs, surrogacy and organs, A report from the Danish Council of Ethics, 2013, 50

[294] იქვე.

მამაკაცის საქმე, რომელმაც 11 სუროგატი დაიქირავა, რის შედეგადაც 16 ბავშვი გაჩნდა,[295] ასევეა, ინდოეთში დატოვებული „ზედმეტი“ ბავშვის საქმეც.[296] საინტერესოა საფრანგეთში მომხდარი შემთხვევა,[297] სადაც ქალბატონმა მოახერხა ერთ ბავშვთან დაკავშირებით ორ სხვადასხვა წყვილს შეთანხმებოდა და ჯერ კიდევ ორსულად ყოფნისას, პირველ წყვილს აცნობა, რომ ბავშვი მკვდრადშობილი დაიბადა, ხოლო ბავშვის დაბადების შემდეგ მისი მეორე წყვილზე გაშვილება მოახერხა.[298] სუროგაციასთან დაკავშირებული მანკიერი პრაქტიკის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კალიფორნიაში ბავშვების ვაჭრობის შემთხვევა,[299] სადაც მსჯავრდებულმა იურისტმა განაცხადა, რომ ის და მისი კლიენტები არიან აისბერგის წვერი უზარმაზარ არალეგალურ ბიზნესში.[300]

### 6.2. ბავშვის უფლებები

სუროგაციის განსაკუთრებულად სენსიტიური სამართლებრივი სივრცეა, რადგან ის კავშირშია არა მარტო პოტენციური მშობლებისა და სუროგატი დედის უფლებებთან, არამედ ბავშვთანაც, რომელიც შეიძლება დაიბადოს მოქალაქეობის ან სულაც კანონიერი მშობლების გარეშე.[301]

საერთაშორისო დონეზე სუროგაციის მომწესრიგებელი ნორმების არარსებობის გამო სუროგაციის მომსახურებაში ჩართული პირები სხვადასხვა სახის გამოწვევას აწყდებიან. ეს პრობლემები ეხება მშობლის სტატუსის განსაზღვრას, პოტენციური მშობლების უფლებებს, ბავშვის უფლებებსა და სუროგატი დედის უსაფრთხოების დაცვას.[302]

საერთაშორისო სუროგაციის დროს წარმოშობილი ყველაზე გავრცელებული პრობლემა უკავშირდება ბავშვის მოქალაქეობას. ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრასთან

---

295 იხ. ბმული https://www.abc.net.au/news/2014-09-10/japanese-surrogacy-man-has-another-baby/5732856 (წვდომის თარიღი: 11.06.2019)

296 Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 9; იხ. ბმული https://www.bionews.org.uk/page_94777 (წვდომის თარიღი: 11.06.2019)

297 საფრანგეთში სუროგაცია არალეგალურია.

298 იხ. სტატია https://www.babygaga.com/15-baby-stealing-surrogates-who-actually-won-in-court/ (წვდომის თარიღი: 9.05.2019)

299 ხსენებულ საქმეზე იხ. ამერიკის ფედერალური ბიუროს (FBI) პრეს-რელიზი https://archives.fbi.gov/archives/sandiego/press-releases/2011/baby-selling-ring-busted (წვდომის თარიღი: 11.06.2019)

300 Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 10

301 Trimmings, K., Beaumont, P., "International Surrogacy Arrangements: An urgent need for Legal Regulation at the International Level", Journal of Private International Law, 7:3, (2015) 627-647

302 Mortazavi S., Note, It Takes A Village To Make A Child: Creating Guidelines for International Surrogacy, 100 GEO. L.J. (2012) 2249-52

დაკავშირებული პრობლემები იწყება მაშინ, როდესაც პოტენციურ წყვილს სურს ბავშვმა დატოვოს დაბადების ქვეყანას და შევიდეს მათთვის სასურველ ქვეყანაში.[303]

საერთაშორისო სუროგაციის დროს ბავშვები ხშირად ხვდებიან ე.წ. „მოქალაქეობის ციხეში," მანამ სანამ სასამართლო გადაწყვეტს და მიანიჭებს მათ რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობას. მსგავსი გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში ეს ბავშვები არიან მოქალაქეობის არ მქონე და არ აქვთ უფლება დატოვონ მათი დაბადების ქვეყანა. მაშინაც კი, როცა ბავშვებს უფლება აქვთ დატოვონ თვიანთი დაბადების ქვეყანა არ არსებობს იმის გარანტია, რომ პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყანა მას საზღვრებში შეუშვებს ან მიანიჭებს მოქალაქეობას.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სუროგაციასთან არამეგობრულად განწყობილი სახელმწიფოები უცხო ქვეყანაში ლეგალურად აღებულ ბავშვის დაბადების მოწმობას არ აღიარებენ და ბავშვების სამართლებრივი სტატუსი დავის გადაწყვეტამდე არის გაურკვეველი, ამ პერიოდში ისინი რჩებიან სახელისა და გვარის გარეშე.[304] უცხო ქვეყანაში ლეგალურად აღებული ბავშვის დაბადების მოწმობის რეგისტრაციაზე უარს აქვს „დომინოს ეფექტი", რომელიც მეტად საზიანო შედეგების მომტანია ბავშვისათვის.[305] ეს მავნე შედეგები მოცემულია სტრასბურგის სასამართლოს საქმეებში *Paradiso and Campanelli v. Italy, Mennesson v. France* [306] და *Labassée v. France*.[307] მოცემული საქმეების მსგავსია *Foulon and Bouvet v France* , სადაც პოტენციური მამის ბავშვთან ბიოლოგიური კავშირის არსებობის მიუხედავად საფრანგეთის შესაბამისმა ორგანოებმა უარი უთხრეს პოტენციურ მშობლებს მშობლის სტატუსის მინიჭებაზე.[308] ბავშვის უფლებების დარღვევის კუთხით აღსანიშნავია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *D. and Others v. Belgium*, სადაც ბავშვს რამდენიმე თვის განმავლობაში არ მიეცა უფლება დაეტოვებინა დაბადების ქვეყანა (უკრაინა), რადგან ბელგიის შესაბამისმა ორგანოებმა პოტენციური წყვილის მოთხოვნის მიუხედავად არ გასცენ მასზე არც პასპორტი და არც სამგზავრო დოკუმენტი.[309]

---

[303] Nichol M. B., Note, A Child Without a Country: Dissolving the Statelessness of Children Born Through Surrogacy, MiCH. ST. L. REv. (2016) 907-12

[304] იხ. გადაწყვეტილებები: Case of Paradiso and Campanelli v. Italy, ECHR Grand Chamber, No. 25358/12, 24 January 2017; BABY Manji Yamada v. Union Of India & ANR., INSC 1656 (29 September 2008)

[305] Rigon A., Chateau C., Citizens' Rights and Constitutional Affairs, Policy Department C, European Parliament, PE 571.368, (2016) 2

[306] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Mennesson v. France, ECtHR, Application No 65192/11, 26 June 2014

[307] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Labassée v. France, ECtHR, Application No 65941/11, 26 June 2014

[308] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Foulon and Bouvet v France, Application No's 9063/14 and 10410/14, 21 July 2016

[309] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე D. and Others v. Belgium, ECtHR, Application No 29176/13, 8 July 2014

### 6.2.1.გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია

იურისტების ნაწილი სუროგაციას განიხილავს ბავშვის უფლებების ჭრილიდან. ე.წ. „ბავშვების უფლებების მიდგომა“ დაფუძნებულია ყველა ასაკის ბავშვის დამოუკიდებელ უფლებების მატარებელ სუბიექტად აღიარების პრინციპზე.[310] ამ იდეამ საერთაშორისო სამართალში საყოველთაო ცნობადობა მოიპოვა 1989 წლის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მიღებისას.[311] „ბავშვების უფლებების მიდგომის“ მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია მშობლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების სრულყოფილად აღიარება, რადგან მხოლოდ ამ პირობებში შეძლებენ ბავშვები საკუთარი უფლებების გამოყენებას.[312]

კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და უზრუნველყონ ბავშვის უფლებები რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, დაბადების ან სხვა სტატუსის მიუხედავად.[313]

ბავშვის სამოქალაქო სტატუსი არის მისი პიროვნული იდენტობის შემადგენელი ნაწილი.[314] კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით, "ბავშვი რეგისტრირდება დაბადებისთანავე და დაბადების მომენტიდან აქვს სახელისა და მოქალაქეობის მოპოვების უფლება, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლება, იცნობდეს თავის მშობლებს, და მათი მხრიდან ზრუნვის უფლება." საერთაშორისო სუროგაციის დროს ხსენებული მუხლის დანაწესის დარღვევის არაერთი შემთხვევა ფიქსირდება. სუროგაციის საფუძველზე საზღვარგარეთ გაცემული დაბადების მოწმობების ეროვნულ დონზე აღიარების მოთხოვნაზე უარი ხშირია და ამას მოწმობს სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი საჩივრები: *Martine Maillard and others v. France,*[315] *Pierre Anne Braun v. France*[316] და *Saenz and Saenz Cortes v. France.*[317]

კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევასთან მიმართებით ყველაზე გახმაურებული საქმეა *Baby Manji Yamada v. Union Of India.*[318] სუროგაციის მომსახურების მისაღებად ინდოეთში ჩასული იაპონელი ცოლ-ქმარი ბავშვის დაბადებამდე განქორწინდა და ბავშვის წაყვანის

---

[310] Wade K., The regulation of surrogacy: a children's rights perspective, Child Fam Law Q. King's College London 2017 June, 113

[311] იქვე.

[312] იქვე, 114

[313] Wade K., The regulation of surrogacy: a children's rights perspective, Child Fam Law Q. King's College London 2017 June, 115

[314] Children's Rights Related To Surrogacy, Committee on Social Affairs, Health and Sustainable Development of the Parliamentary Assembly, Council OF Europe, 2016, 8

[315] იხ. საჩივარი Martine Maillard and others v. France, ECtHR, Application NO 17348/18, lodged on 10 April 2018

[316] იხ. საჩივარი Pierre Anne Braun v. France, ECtHR, Application NO 1462/18, lodged on 4 January 2018

[317] იხ. საჩივარი Saenz Cortes v. France, ECtHR, Application NO 11288/18 lodged on 2 March 2018 and communicated on 29 March 2018

[318] იხ. გადაწყვეტილება Baby Manji Yamada v. Union Of India & ANR., INSC 1656 (29 September 2008).

სურვილი მხოლოდ პოტენციურმა მამამ გამოთქვა. იაპონიის იურისდიქცია არ ცნობდა სუროგაციის ხელშეკრულების კანონიერებას, ხოლო ინდოეთის კანონმდებლობა კრძალავდა ერთი ადამიანის მიერ შვილად აყვანას.[319] რის შედეგადაც, ბავშვი 6 თვეზე მეტ ხანს იყო სახელის, დაბადების მოწმობისა და სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების გარეშე. საბოლოოდ კი ინდოეთმა მასზე გასცა მოქალაქეობის არმქონე პირთათვის განკუთვნილი დოკუმენტი, რის მეშვეობითაც პოტენციურმა მამამ მოიპოვა იაპონიის ვიზა და ბავშვი წაიყვანა თავის ქვეყანაში.[320] სტრასბურგის სასამართლოს უახლესი პრაქტიკიდან მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა საქმეში *Paradiso and Campanelli v. Italy,* სადაც საქმე იქამდე მივიდა, რომ სახელმწიფომ პოტენციურ მშობლებს ბავშვი ჩამოართვა და ხანგრძლივი სასამართლო დავის განმავლობაში ის გადაყვანილი ჰყავდა თავშესაფარში, მოქალაქეობის, სახელისა და გვარის გარეშე.[321]

მე-7 მუხლის თანახმად, ბავშვს, ასევე, აქვს უფლება იცოდეს მისი წარმომავლობის შესახებ. ანონიმური დონორის სპერმის ან კვერცხუჯრედის გამოყენებისას ბავშვის უფლება იცოდეს ვინ არის მისი გენეტიკური წინაპარი უპირისპირდება დონორის ანონიმურობის უფლებას.[322] ბავშვთან ადრეული ასაკიდანვე გულახდილი, დამაჯერებელი და ღია საუბარი მისი დაბადების გზის შესახებ საუკეთესო გზაა ბავშვმა გაიგოს მისი წარმომავლობისა და იდენტურობის შესახებ.[323] პრაქტიკაში დონორები ძირითად შემთხვევაში რჩებიან ანონიმურები, რის გამოც ირღვევა მოცემული მუხლის დანაწესი. ამასთან, დონორთა ანონიმურობა თითქმის შეუძლებელს ხდის გენეტიკურად გადაცემადი დაავადებების პრევენციასა და დიაგნოსტიკას,[324] რაც თავის მხრივ იწვევს კონვენციის 24-ე მუხლის დარღვევას, რომელიც ადგენს ბავშვის უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით.[325] ხშირ შემთხვევაში, საჭიროება იმისა, რომ ბავშვმა იცოდეს ბიოლოგიური მშობლის ვინაობა, შეიძლება არ იყოს სიცოცხლის გადარჩენისთვის აუცილებელი, მაგრამ ბავშვის გენეტიკური

---

319 Yehezkel M., From Baby M to Baby M(anji): Regulating International Surrogacy Agreements, New York University Law School, 2015, 6

320 იქვე.

321იხ. გადაწყვეტილება Case of Paradiso and Campanelli v. Italy, ECHR Grand Chamber, No. 25358/12, 24 January 2017; ხსენებული საქმე საინტერესოა, როგორც დავის გადაწყვეტის ისე მასში დაფიქსირებული განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრების თვალსაზრისით.

322 Blauwhoff R., Frohn L., Frohn, International Commercial Surrogacy Arrangements: The Interests of the Child as a Concern of Both Human Rights and Private International Law, Fundamental Rights in International and European Law, Chapter 10, (2016) 231

323 The Surrogacy Pathway: Surrogacy and the legal process for intended parents and surrogates in England and Wales, ( February 2018) 23 იხ. ბმული https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/684275/surrogacy-guidance-for-intended-parents-and-surrogates.pdf (წვდომის თარიღი: 9.05.2019)

324 Achmad C., Children's Rights in International Commercial Surrogacy: Exploring the challenges from a child rights, Public International Human Rights Law Perspective, Leiden University Dissertation, 2018, 136

325 იქვე.

მდგომარეობის დადგენისათვის ამ ინფორმაციის გამჟღავნებას ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა გამჟღავნების ეტაპზე ან მოგვიანებით.[326]

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მათ შორის მოქალაქეობა, სახელი და ოჯახური ურთიერთობა. აღნიშნული მუხლი ხშირად ირღვევა ტრანსნაციონალური სუროგაციის დროს ბავშვისთვის მოქალაქეობის არ მინიჭებით ან მინიჭების პროცესის გაჭიანურების გამო.[327]

კონვენციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის, ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, სახელმწიფოები მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს სათანადო დახმარებას უწევენ, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი ბავშვების აღზრდაში. სუროგაციის შესახებ რეგულაციები უნდა უქმნიდეს მშობლებს შესაძლებლობას ხელი შეუწყონ კონვენციის შესაბამისი მუხლების დაცვას.[328]

### 6.2.2. კომერციული სუროგაცია და ბავშვთა კონვენციის 35-ე მუხლი

კომერციული სუროგაციის საწინააღმდეგოდ მოყვანილ სამართლებრივ არგუმენტს წარმოადგენს კონვენციის 35-ე მუხლი, რომლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აღკვეთონ ბავშვების მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნით და ნებისმიერი ფორმით. ზემოთ ხსენებულ ფრაზაში ნორმის მიზანი ნათლადაა გადმოცემული, რომ ბავშვების გაყიდვა დაუშვებელია მისი მიზნისა და ფორმის მიუხედავად.[329] ამ მუხლის ინტერპრეტაციისთვის უნდა გავიაზროთ კონვენციის კონტექსტი და მიზანი, რომელიც წარმოადგენს ბავშვის უფლებების დაცვასა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას.[330] კომერციული სუროგაცია მიიჩნევა,

---

[326] Richards L. J.,; Wolf S., Medical Confidentiality and Disclosure of Paternity, 48 S.D. L. Rev. (2003) 410-11

[327] უფრო დეტალური მიმოხილვისთვის იხ. ნაშრომის 55-60 გვერდები; Achmad C., Children's Rights in International Commercial Surrogacy: Exploring the challenges from a child rights, Public International Human Rights Law Perspective, Leiden University Dissertation, 2018

[328] Wade K., The regulation of surrogacy: a children's rights perspective, Child Fam Law Q. King's College London 2017 June, 115

[329] Tobin J., 'To prohibit or permit: what is the (human) rights responses to the practice of international commercial surrogacy?' 63(2) International and Comparative Law Quarterly, (2014) 336

[330] Gerber P., O'Byrne K., 'Souls in the house of tomorrow: the rights of children born via surrogacy' in P Gerber and K O'Byrne (eds), Surrogacy, Law and Human Rights (2016)

რომ შეურაცხყოფს სუროგაციის მთავარ მიზანსა და  შედეგს - ბავშვს, რამდენადაც საბოლოოდ გამოდის, რომ ფულს პოტენციური მშობლები სწორედ ბავშვის მისაღებად იხდიან.[331]  სუროგაციის მოწინააღმდეგეების ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ სუროგაციის დროს ხდება ცოცხალი არსების ყიდვა-გაყიდვა.[332] მსგავსი ბრალდების თავიდან აცილების მიზნით  სუროგაციის ხელშეკრულებებში ხშირად უთითებენ, რომ ანაზღაურებას პოტენციური მშობლები იხდიან არა ბავშვის გადაცემისათვის, არამედ კონკრეტული მომსახურების გაწევისათვის.[333] ტრადიციული სუროგაციისგან განსხვავებით, გესტაციური სუროგაციის დროს, როდესაც დედას არ აქვს გენეტიკური კავშირი ნაყოფთან, არგუმენტი, რომ პოტენციური მშობლები ანაზღაურებას იხდიან გესტაციის პერიოდში გაწეული მომსახურებისათვის უფრო დამაჯერებელია.[334]  ფაქტია, რომ ეკონომიკური ფაქტორი არის უმთავრესი და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც ქალს უბიძგებს გახდეს სუროგატი დედა. ანაზღაურების გარეშე ძალიან ცოტა თანხმდება მსგავსი ტიპის კონტრაქტის დადებას.[335]

ბავშვის კანონიერი მშობლების გარეშე დარჩენას შეიძლება  მოჰყვეს მეტად მძიმე შედეგები, ასეთი ბავშვები არიან მიტოვების, გაყიდვის ან კიდევ უფრო უარესის საფრთხის ქვეშ.[336]  გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კონვენციის მიხედვით აღიარებულია ბავშვის ფუნდამენტური უფლება იზრდებოდეს უსაფრთხო და ბედნიერ ოჯახურ გარემოში, საერთაშორისო დონეზე სუროგაციის მარეგულირებელი ნორმების არარსებობა კი ბავშვებს ტოვებს დაუცველად და ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებს.[337]

სუროგაციასთან დაკავშირებული აზრთასხვადასხვაობის მიუხედავად ერთი რამ აშკარაა - ყველა სახელმწიფო ვალდებულია აკრძალოს ბავშვებით ვაჭრობა და შექმნას გარანტიები მისი პრევენციისათვის.[338]

**შუალედური დასკვნა**

---

331 Department of Health and Social Security, Report of the Committee of Inquiry into Human Fertilisation and Embryology,Her Majesty's Stationery Office, (1984) Par. 8.11

332Laufer-Ukeles P., Approaching Surrogate Motherhood: Reconsidering Difference, 26 VT. L. REV. 407, 415-419 (2002)

333Labadie-Jackson G., The Reproductive Rights of Latinas and Commercial Surrogacy Contracts - English Translation, 14 Tex. Hisp. J.L. & Pol'y, (2008) 59

334Labadie-Jackson G., The Reproductive Rights of Latinas and Commercial Surrogacy Contracts - English Translation, 14 Tex. Hisp. J.L. & Pol'y ,  (2008) 60

335 Combs J. R., Stopping the Baby-Trade: Affirming the Value of Human Life Through the Invalidation of Surrogacy Contracts: A Blueprint for New Mexico, 29 N.M. L. Rev.  (1999), 407-409

336 Udgaonkar, S., "The Regulation of Oocyte Donation and Surrogate Motherhood in India", Srinivasan, S. (ed.), Making babies: birth markets and assisted reproductive technologies in India, (2010) 90-91

337 Udgaonkar, S., "The Regulation of Oocyte Donation and Surrogate Motherhood in India", Srinivasan, S. (ed.), Making babies: birth markets and assisted reproductive technologies in India,  (2010) 90-91

338 Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 7

საჭიროა რეგულაციების ჩარჩოს ისე განვითარება, რომ დაცული იყოს ბავშვის უფლებები, მაგალითად, ბავშვის უფლება იცნობდეს და მიიღოს ზრუნვა თავისი მშობლებისგან, მოქალაქეობის უფლება, სახელის ქონის უფლება და სხვა.[339] ყველა სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის დანაწესი - ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას!

### 6.3. ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენცია და სხვა საერთაშორისო აქტები

ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის 21-ე მუხლის მიხედვით, ადამიანის ორგანიზმი ან მისი ნაწილები არ შეიძლება გახდეს ფინანსური სარგებლობის წყარო.[340] ხსენებული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ არის რატიფიცირებული და შესაბამისად შიდა კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს. კონვენციის 21-ე მუხლში მოცემული აკრძალვა კი კომერციულ სუროგაციაზეც ვრცელდება, რადგან სუროგატი სწორედ საკუთარი სხეულის გამოყენების მეშვეობით იღებს სარგებელს.[341] ბავშვის შეძენა სუროგატის მომსახურების შესყიდვის გზით წარმოუდგენელია სუროგატის სხეულის გამოყენების გარეშე და სწორედ ამიტომ ეწინააღმდეგება კონვენციის 21-ე მუხლს ბავშვის შეძენის ხსენებული გზა.[342] კონვენცია, ასევე, დაუშვებლად მიიჩნევს სქესის შერჩევის მიზნით ხელოვნური ჩასახვის მეთოდების გამოყენებას,[343] რადგან მსგავსი პრაქტიკა ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებას.[344]

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით და იყენებდეს მათ.[345] ბიოეთიკისა და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია ასევე ადასტურებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის როლს ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებით.[346] თუმცა, UNESCO-ს დეკლარაცია „ადამიანის გენომის და ადამიანის უფლებების შესახებ“ ძირითადად ფოკუსირებულია მეცნიერული

---

339 იხ. ბმული https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5540169/ (წვდომის თარიღი 23.04.2019)

340 ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციია (მიღებულია 1997 წლის 4 აპრილს, საქართველოში ძალაშია 2001 წლის 1 მარტიდან.

341 Surrogate Motherhood: A Violation Of Human Rights, European Centre for Law and Justice, 2012, 20

342 იქვე.

343 ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის მე14 მუხლი.

344 Surrogate Motherhood: A Violation Of Human Rights, European Centre for Law and Justice, 2012, 16

345 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლი

346 Donders Y., The right to enjoy the benefits of scientific progress: in search of state obligations in relation to health, Med Health Care and Philos (2011) 372

პროგრესის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე.[347] ტექნოლოგიური პროგრესის და მეცნიერული მიღწევების დანერგვა უნდა მოხდეს ადამიანის ღირსებისა და ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პარალელურად.

სანამ არ არსებობს ერთი კონკრეტული საერთაშორისო აქტი, რომელიც სუროგაციას დაარეგულირებს, მანამდე უნდა ვიხელმძღვანელოთ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებიც რელევანტურია სუროგაციასთან მიმართებით.[348] საერთაშორისო აქტების მიმოხილვა კი აჩვენებს, რომ სუროგაცია არ მოდის დამკვიდრებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.[349]

## დასკვნა

სუროგაციის პირველი გახმაურებული საქმის განხილვის პერიოდში, ბევრს მიაჩნდა რომ სუროგაციის გამოყენება დიდხანს არ გასტანდა და ის მალე აიკრძალებოდა.[350] მართალია, რამდენიმე ქვეყანაში სუროგაცია არალეგალურად გამოცხადდა, თუმცა ამ აკრძალვას მისი ბაზრიდან გაქრობა, რა თქმა უნდა, არ გამოუწვევია, მეტიც წლებთან ერთად სუროგაციის მომხმარებლების რიცხვი იზრდება და სტაბილურობას ინარჩუნებს.[351] ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად სუროგაციის პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა მე-20 საუკუნის შემდეგ შეიცვალა და მასთან ასოცირებული მტრული და განგაშის გამომწვევი მიდგომა მნიშვნელოვნად შემცირდა.[352]

სუროგაციის მიმართ საზოგადოების მოთხოვნილების გაზრდას მოჰყვა ცხარე დისკუსიები მის სამართლებრივ თუ ეთიკურ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით. სუროგაციის ბიზნესის გაფართოვებასთან ერთად, ამ პროცესში ჩართულმა შუამავალმა სააგენტოებმა განავითარეს თავიანთი შიდა რეგულაციები,[353] თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ქალთა ექსპლუატაციისა და ბავშვთა უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

---

[347] იქვე; UNESCO-ს „ადამიანის გენომის და ადამიანის უფლებების შესახებ“ დეკლარაციის მე-5, მე-12, მე-13, მე-18 მუხლები;
[348] Hougue C., Roux C., Surrogate Motherhood And Human Rights, Human, Legal And Ethical Issues (September 2015) 4
[349] იქვე.
[350] Scott S. E., Surrogacy and the Politics of Commodification, 72 Law & Contemp. Probs, (2009) 110
[351] იქვე.
[352] იქვე.
[353]Donaldson T, Whole Foods for the Whole Pregnancy: Regulating Surrogate Mother Behavior during Pregnancy, 23 Wm. & Mary J. Women & L. (2017) 374

სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ფორმა, ბევრი წყვილისთვის არის შვილის შეძენის ერთადერთი გზა და ამ ფაქტის უგულებელყოფა არ შეიძლება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი გამოყენება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში უნდა იყოს ნებადართული და უნდა არსებობდეს ამ პრაქტიკის კონტროლის ქმედითი მექანიზმი. წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება მიუთითებს, რომ აუცილებელია სუროგაციის შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე დეტალური მოწესრიგება.

არაერთი საერთაშორისო ანგარიში და კვლევა ადასტურებს, რომ საქართველო სტაბილურად ინარჩუნებს კომერციული სუროგაციის ცენტრის სტატუსს, თუმცა, მიუხედავად ამისა, კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული სუროგაციასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებიც კი. სუროგაციის მომსახურებით სარგებლობა სრულიად პრაქტიკას არის მინდობილი, რაც რისკის შემცველია ამ პროცესში მონაწილე პირების, განსაკუთრებით კი ბავშვის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით.

სასურველია კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებსაც აქვთ უფლება ისარგებლონ სუროგაციის მომსახურებით ან იყვნენ სუროგატი დედები. დღეს მოქმედი ბუნდოვანი საკანონმდებლო ჩანაწერები უნდა შეიცვალოს და გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს ყველა ის წინაპირობა, რომელთა არსებობაც სუროგაციით სარგებლობისთვის არის სავალდებულო. უმჯობესია სუროგაციის პროცესში შუამავლად ჩართვის უფლება მიენიჭოს ლიცენზირებულ სააგენტოებს. შუამავალი სააგენტოების ლიცენზირების სისტემა დანერგილია გაერთიანებულ სამეფოში და ბრიტანეთის მთავრობა მოსახლეობას რეკომენდაციას უწევს მხოლოდ ლიცენზირებულ სააგენტოებს მიმართონ ხსენებული მომსახურების მისაღებად.

საჭიროა კანონმდებლობით მოწესრიგდეს სუროგაციის შეთანხმების როგორც საწყისი ეტაპი, ისე ორსულობის და მშობიარობის შემდგომი პერიოდები. ამ კუთხით საინტერესოა ისრაელში არსებული სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის დანერგვა ბორდის სახით, რომელიც ემსახურება მხარეთა თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის შემოწმებასა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურებას და საჭიროების შემთხვევაში მის გადახედვას.

ასევე, მნიშვნელოვანია ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდნენ კონტრაქტის საკვანძო საკითხებზე და ზედმიწევნით გაწერონ ემბრიონის შექმნის, ინ ვიტრო განაყოფიერების დეტალები, მშობიარობის წინა ღონისძიებები, განსაზღვრონ გადასატანი ემბრიონების რაოდენობა, ჯანმრთელობის კონტროლისთვის ჩასატარებელი ტესტების რიგითობა, ემოციური მხარდაჭერის ვალდებულება, ორსულობის და მშობიარობის

შემდგომი პერიოდები, პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება. აუცილებელია მხარეები შეთანხმდნენ მათთვის არასასურველ, მაგრამ მოსალოდნელ შემთხვევებზეც, მაგალითად ნაყოფის დაკარგვის, მკვდრადშობადობის, მრავლობითი ორსულობის, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შესახებ. მხარეების მხრიდან სამომავლო რისკების ხელშეკრულებაში გათვალისწინებას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა და ამას ხაზს უსვამს ბრიტანეთის მიერ შემუშავებული სუროგაციის სახელმძღვანელო პრინციპებიც.

ხელშეკრულების დადებამდე საჭიროა მხარეებმა მიიღონ სამართლებრივი კონსულტაცია და ისე შეადგინონ ორივე მხარის ინტერესების ამსახველი კონტრაქტი, სწორედ ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და სამომავლო რისკების გაანალიზების ფონზე მიიღება ხელშეკრულების დადებაზე მხარეთა ინფორმირებული და ნებაყოფლობითი თანხმობა.

სუროგაციის ხელშეკრულების უმტკივნეულოდ განხორციელება, რა თქმა უნდა, უმეტესწილად, მხარეებზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ პრაქტიკის მოწესირგების მხოლოდ მათზე მინდობა არ იძლევა მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიას.

დავის წარმოშობის შემთხვევაში ნებისმიერი პირისთვის სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა. განხილული საკითხებიდან კარგად ჩანს, რომ ტრანსნაციონალური სუროგაციის დროს ბავშვის გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე ის არის ამ ურთიერთობის ყველაზე დაუცველი სუბიექტი.[354] ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით, **სუროგაციის შესახებ რეგულაციებში ასახული უნდა იყოს ბავშვის, როგორც დამოუკიდებელი უფლებების მატარებელი სუბიექტის კონცეფცია[355] და წარმოშობილი დავის გადაწყვეტისას უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.**

არაჰუმანური და ღირსების შემლახველი შემთხვევების პრევენციისთვის საჭიროა მოხდეს სუროგაციის ისეთ საკანონმდებლო ჩარჩოში ჩასმა, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს მონაწილე პირების ინტერესებს და ამავდროულად, შესაბამისობაში იქნება ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან.

---

354 Gunputh P. R., Choong A. K., Surrogacy tourism: the ethical and legal challenges, International Journal of Tourism Sciences, 15:1-2, (2015) 5

355 იხ. ბმული https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5540169/ (წვდომის თარიღი 23.04.2019)

**ბიბლიოგრაფია**

**გამოყენებული ქართული საკანონმდებლო აქტები**

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი

პაციენტის უფლებების შესხებ საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვარის №18 ბრძანება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“, 2014

**საერთაშორისო აქტები**

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“

„ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენცია

„ადამიანის გენომის და ადამიანის უფლებების შესახებ“ დეკლარაცია

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი

„პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ“ კონვენცია

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია

„ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ბავშვის უფლებების კონვენციის“ დამატებითი ოქმი

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის. აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია

„ბიოეთიკისა და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“

„ევროპული კონვენცია ქორწინების
გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“

**უცხო ქვეყნების კანონმდებლობა**

Agreements for the Carriage of Fetuses (Approval of Agreement and Status of the Newborn) Law, 5756- 1996 SH No. 1577

Enforcement of Medically Assisted Reproduction, Article 13, Law 3305/2005

Greek Civil Code, Article 1458, Law 3089/2002.

NEv. REV. STAT. § 126.790 (West 2013).

The Surrogacy Agreements (approval of the agreement and the newborn’s status) Law, 1996

**გადაწყვეტილებები**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება Nბს-874-8669კ-16)

Case of Paradiso and Campanelli v. Italy, ECHR Grand Chamber, No. 25358/12, 24

Mennesson v. France, ECtHR, Application No 65192/11, 26 June 2014

Munoz v. Haro, United States Court Of Appeles For The Ninth Circuit Jan 15, 2014

Baby *M*, 537 A.2d 1227, 109 N.J. (N.J. 1988) 396

Baby Manji Yamada v. Union Of India & ANR., INSC 1656 (29 September 2008).

Calvert v. Johnson No. S023721

Cook v. Harding, 190 F. Supp. 3d 921, 928-29 (C.D. Cal. 2016)

D. and Others v. Belgium, ECtHR, Application No 29176/13, 8 July 2014

Foulon and Bouvet v France, Application No's 9063/14 and 10410/14, 21 July 2016

Labassée v. France, ECtHR, Application No 65941/11, 26 June 2014

Pressil v. Gibson, 477 S.W.3d 402 (Tex. App. 2015)

Stoyanov v. Kelley, supra note 86.

Evans v. United Kingdom, GRAND CHAMBER, The European Court of Human Rights, 10 April 2007

Johnson v. Calvert, 851 P.2d 776, 787 (Cal. 1993)

Raftopol v. Ramey, 12 A.3d 783, 804 (Conn. 2011)

Mockute v. Lithuania 66490/09; M.S. v. Sweden 74/1996/693/885

Z v. Finland 22009/93

**ქართულენოვანი ლიტერატურა**


| | |
|---|---|
| ბაღაშვილი ე.<br>რედ. ჭანტურია ლ. | სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი, მუხ. 328-ე, ველ. მე-14, 18.06.2016 gccc.ge |
| ბოგვერაძე ნ. | სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციოს ნაშრომი, 2018 |
| გელაშვილი ი. | ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, სადისერტაციო ნაშრომი, 2012 |
| გოშაძე კ. | „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი“, თარგმანი, თბილისი, 2015 |
| გუგავა ნ. | განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები საქართველოს საჯარო სექტორში და საერთაშორისო გამოცდილება, სადისერტაციო ნაშრომი, 2017 |
| დარჯანია თ. | სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 68-ე, ველ. მე-5, 24.12.2017 civilcode.ge |
| ვერულავა თ., ხაბეიშვილი მ. | უშვილობის მკურნალობა საქართველოში, სამეცნიერო ჟურნალი „ჯანდაცვის |

პოლიტიკა და დაზღვევა“ N2, 2015

თოლორდავა მ. ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, სამართლის აქტუალური საკითხები N2, თბილისი, 2018

ჭანტურია ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 59-ე, ველ. მე-10, 24.12.2017 civilcode.ge

ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, 2016


**უცხოენოვანი ლიტერატურა**

Achmad C. Children’s Rights in International Commercial Surrogacy: Exploring the challenges from a child rights, Public International Human Rights Law Perspective, Leiden University Dissertation, 2018

Allen L. A. Surrogacy, Slavery, and the Ownership of Life, 13 HARv. J.L. & PUB. POL'Y, 1990

Almog S., BassanS. The Politics of Pro and Non-Reproduction Policies in Israel, Journal of Health & Biomedical Law , 2018

Baker K. K. Bargaining or Biology? The History and Future of Paternity Law and Parental Status, 14 CORNELL J.L. & PUB. POL'Y 1, 2004

Bedard A. — Maternal Intake of Sugar During Pregnancy and Childhood Respiratory and Atopic Outcomes, 50 Eur. Respiratory J. 2017

Bewkes F. — Surrogate or Mother: The Problem of Traditional Surrogacy, 3 Tenn. J. Race Gender & Soc. Just. 2014

Birnbaum G. — Surrogacy, Autonomy and the Surrogate Mother, 1997 UCL Jurisprudence Rev., 1997

Blauwhoff R., Frohn L. — International Commercial Surrogacy Arrangements: The Interests of the Child as a Concern of Both Human Rights and Private International Law, Fundamental Rights in International and European Law, Chapter 10, 2016

Brinsden R. — Gestational surrogacy, Human Reproduction Update, Vol.9, No.5, 2003

Butler P. — Progress in Reproductive Health Research, Progress, No. 63, World Health Organization 2003

Bygedeman M., Gemzell-Danielson K. — An Historical Overview of Second Trimester Abortion Methods, 16 WOMEN's HEALTH & PUBLIC POL'Y 196, 2008

Carbone J., Miller C. — Surrogacy Professionalism, 31 J. Am. Acad. Matrimonial Law. 2018

Choudhury C. — Transnational Commercial Surrogacy: Contracts, Conflicts, and the Prospects of International Legal Regulation, Oxford Handbooks Online, 2016

Cohen I. G. — Note, The Price Of Everything, The Value Of Nothing: Reframing The Commodification Debate, 117 HARV. L. REV. 2003–04

Combs J. R. — Stopping the Baby-Trade: Affirming the Value of Human Life Through the Invalidation of Surrogacy Contracts: A Blueprint for New Mexico, 29 N.M. L. Rev. 1999

Cooperman J. — International Mother of Mystery: Protecting Surrogate Mothers' Participation in International Commercial Surrogacy Contract, 48 Golden Gate U. L. Rev. 2018

Dalzell J. — The Enforcement of Selective Reduction Clauses in Surrogacy Contracts, 27 Widener Commw. L. Rev. 2018

Darnovsky M., Beeson D. — Global Surrogacy Practices ISS Working Paper Series/General Series. 601, 2014

Dolgin J. — Status and Contract in Surrogate Motherhood: An Illumination of the Surrogacy Debate, 38 Buff. L. Rev. 1990

Donaldson T. — Whole Foods for the Whole Pregnancy: Regulating Surrogate Mother Behavior during Pregnancy, 23 Wm. & Mary J. Women & L. 2017

Donders Y. — The right to enjoy the benefits of scientific progress: in search of state obligations in relation to health, Med Health Care and Philos 2011

Forman L. D. — Abortion Clauses in Surrogacy Contracts: Insights from a Case Study, 49 Fam. L.Q. 29 2015

Gerber P., O'Byrne K. — 'Souls in the house of tomorrow: the rights of children born via surrogacy' in P Gerber and K O'Byrne (eds), Surrogacy*,* Law and Human Rights 2016

Gostin O. L. — A Civil Liberties Analysis of Surrogacy Arrangements, 17 J. CONTEMP. HEALTH L. & POL'Y , 2001

Gunputh P. R. — Choong A. K., Surrogacy tourism: the ethical and legal challenges, International Journal of Tourism Sciences, 15:1-2, 2015

Hatzis A. — The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, SSRN Electronic Journal, September 2010

Herring J., Wall J. — The Nature And Significance Of The Right To Bodily Integrity, The Cambridge Law Journal, Volume 76, Issue 3, 2017

Hevia M. — Surrogacy, privacy, and the American Convention on Human Rights, Journal of Law and the Biosciences*,* Volume 5, Issue 2, August 2018

| | |
|---|---|
| Hougue C., Roux C. | Surrogate Motherhood And Human Rights, Human, Legal And Ethical Issues September 2015 |
| Ikemoto L. | Reproductive Tourism: Equality Concerns in the Global Market for Fertility Services, 27 Law & Inequality 2009 |
| Ingram J. | Surrogate Gestator: A New and Honorable Profession, 76 Marq. L. Rev. 1993 |
| Jadva V. | Surrogacy: The Experiences ofSurrogate Mothers, 18 Human Reprod. 2003 |
| Jadva V., Blake L., Casey P., and Golombok S. | Surrogacy families 10 years on: relationship with the surrogate, decisions over disclosure and children’s understanding of their surrogacy origins, Human Reproduction, Vol.27, No.10, 2012 |
| Weisberg K. | The Birth of Surrogacy in Israel, University Press of Florida, 2005 |
| Labadie-Jackson G. | The Reproductive Rights of Latinas and Commercial Surrogacy Contracts - English Translation, 14 Tex. Hisp. J.L. & Pol'y, 2008 |
| Ladomato D. | Protecting Traditional Surrogacy Contracting through Fee Payment Regulation, 23 Hastings Women's L.J. 2012 |

Laufer-Ukeles P. — Approaching Surrogate Motherhood: Reconsidering Difference, 26 VT. L. REV. 2002

Levush R. — Reproduction And Abortion: Law And Policy, Law Library Of Congress Israel, February 2012

Lifshitz S. — Neither Nature nor Contract: Toward an Institutional Perspective on Parenthood, Essay, 2014

London C. — Advancing a Surrogate-Focused Model of Gestational Surrogacy Contracts, 18 Cardozo J.L. & Gender, 2012

Mason J. K. — The Troubled Ppregnancy: Legal Wrongs And Rights In Reproduction, Cambridge University Press, 2007

Mortazavi S. — Note, It Takes A Village To Make A Child: Creating Guidelines for International Surrogacy, 100 GEO. L.J. 2012

Nichol M. B. — Note, A Child Without a Country: Dissolving the Statelessness of Children Born Through Surrogacy, MiCH. ST. L. REv. 2016

O'Connor H. — Surrogate pregnancy: ethical and medico-legal issues in modern obstetrics.The Obstetrician & Gynaecologist, 2013

O'LEARYA S. — Tale of Two Cities: Fundamental Rights Protection in Strasbourg and Luxembourg, Cambridge Yearbook of European Legal Studies, 2018

Osagie E. — Surrogacy: Whose child is it?, Journal of Medicine and Medical Sciences Vol. 1(11) December 2010

Pande A. — Wombs in Labor: Transnational Commercial Surrogacy in India, Columbia University Press 2014

Perdue L. A. — For Love or Money: An Analysis of the Contractual Regulation of Reproductive Surrogacy, 27 J. Contemp. Health L. & Pol'y, 2011

Pirouz A. S. — Legal Issues of A Surrogacy Contract Based on Iranian Acts Continuation ,Journal of Family and Reproductive Health, Vol. 5, No. 2, June 2011

Puppinck G. — Quelles voies de droit international pour interdire la maternité de substitution, L'Institut Famille & République, Septembre 2015

Richards L. J., Wolf S. — Medical Confidentiality and Disclosure of Paternity, 48 S.D. L. Rev. 2003

Rico S. — Surrogacy: Joyful, Frighteninga nd Always Risky, THE ATLANTIC, Apr. 17, 2013

| | |
|---|---|
| Rigon A., Chateau C. | Citizens' Rights and Constitutional Affairs, Policy Department C, European Parliament, PE 571.368, 2016 |
| Robertson J. | Other women's wombs: uterus transplants and gestational surrogacy, Journal of Law and the Biosciences, March 2016 |
| Rosenberg B. M. | Critical Legal Considerations for All Parties to Surrogacy Arrangements, 34 FAm. ADV. 23, 2011 |
| Schwaitzberg D. S. | Trauma and Pregnancy, Medscape, Dec. 9, 2015 |
| Scott E. | Surrogacy and the Politics of Commodification, 72 Law & Contemp. Probs. 2009 |
| Sreenivas K. | Domestic and International Surrogacy Laws: Implications for Cancer Survivors, Woodruff Lab, Chicago, Chapter 10, (2010) |
| Strasser M. | Traditional Surrogacy Contracts, Partial Enforcement, and the Challenge for Family Law, Journal of Health Care Law and Policy, Vol. 18, Issue 1, 2015 |
| Teman E. | Surrogacy in Israel: State-Controlled Surrogacy as a Mechanism of Symbolic Control, Handbook of Gestational Surrogacy, Cambridge University Press, Chapter 23, 2016 |

Tobin J. — To Prohibit Or Permit: What Is The (Human) Rights Response To The Practice Of International Commercial Surrogacy? International and Comparative Law Quarterly, 63(2), 2014

Townsend D. M. — Surrogate Mother Agreements: Contemporary Legal Aspects of a Biblical Notion, 16 U. Rich. L. Rev., 1982

Trimmings K., Beaumont P. — "International Surrogacy Arrangements: An urgent need for Legal Regulation at the International Level", Journal of Private International Law, 7:3, 2015

Udgaonkar S., — "The Regulation of Oocyte Donation and Surrogate Motherhood in India", Srinivasan, S. (ed.), Making babies: birth markets and assisted reproductive technologies in India, (2010)

Vodo T. — Altruistic Surrogacy, Why to oppose empathetic gestures?, ECPM, 2016

Wade K. — The regulation of surrogacy: a children's rights perspective, Child Fam Law Q. King's College London, 2017

Wald H. W., Black K. — Surrogacy and a Pregnant Woman's Constitutional Right to Medical and Procreative Choice-A Brief Survey, Oct. 2011

Wertheimer A. — Exploitation and Commercial Surro- gacy, 74 D[illegible]ENv. U.L. REV. 1997

Wilson M. — Precommitment in Free-Market Procreation: Surrogacy, Commissioned Adoption, and Limits on Human Decision Making Capacity, 31 J. LEGIs. 2005

Yehezkel M. — From Baby M to Baby M(anji): Regulating International Surrogacy Agreements, New York University Law School, 2015

Yehezkel M. — In Defense Of Surrogacy Agreements: A Modern Contract Law Perspective, William & Mary Journal Of Women And The Law, 2014

Zehr J. — Using Gestational Surrogacy and Pre-Implantation Genetic Diagnosis: Are Intended Parents Now Manufacturing the Idyllic Infant, 20 Loy. Consumer L. Rev. 2008

**ინტერნეტ რესურსები**

საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა სუროგაციის საკითხთან დაკავშირებით

http://www.supremecourt.ge

ამერიკის ფედერალური ბიუროს (FBI) პრეს-რელიზი
https://archives.fbi.gov/archives/sandiego/press-releases/2011/baby-selling-ring-busted

სტატია გაერთიანებულ სამეფოში სუროგაციის შესახებ ჩატარებული ყველაზე ფართომასშტაბიანი კვლევის შესახებ
https://www.telegraph.co.uk/news/2018/07/01/couples-paying-60000-surrogates-despite-uk-system-reasonable/

ისრაელის ჯანმრთელობის სამინისტროს ვერ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სუროგაციასთან დაკავშირებით
https://www.health.gov.il/English/Services/Committees/Embryo_Carrying_Agreements/Pages/default.aspx

სამედიცინო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი
http://www.nplg.gov.ge

A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament's Committee on Legal Affairs, p. 27, May 2013
http://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=IPOL-JURI_ET(2013)474403

Committee on Social Affairs, Health and Sustainable Development of the Parliamentary Assembly, 21 September 2016
http://www.assembly.coe.int/nw/Page-EN.asp?LID=SocDocs

ECtHR Advisory Opinion concerning the recognition in domestic law of a legal parent-child relationship between a child born through a gestational surrogacy arrangement abroad and the intended mother
https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22003-6380464-8364383%22]}

Care in surrogacy, Guidance for the care of surrogates and intended parents in surrogate births in England and Wales, (February 2018)
https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/684259/surrogacy-guidance-for-healthcare-professionals.pdf

The Surrogacy Pathway: Surrogacy and the legal process for intended parents and surrogates in England and Wales, ( February 2018)
https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/684275/surrogacy-guidance-for-intended-parents-and-surrogates.pdf

Children's rights related to surrogacy
http://website-pace.net/documents/19855/2463558/20160921-SurrogacyRights-EN.pdf/a434368b-2530-4ce4-bbc0-0113402749b5

Insight into Different Aspects of Surrogacy Practices, 2018
https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6262674/

Baby Stealing Surrogates Who Actually Won In Court
https://www.babygaga.com/15-baby-stealing-surrogates-who-actually-won-in-court/

Preimplantation Genetic Diagnosis (PGD) Benefits & Concerns
https://americanpregnancy.org/infertility/preimplantation-genetic-diagnosis/

Key Findings: Use of Gestational Carriers in the United States
https://www.cdc.gov/art/key-findings/gestational-carriers.html

Assisted Reproductive Technology (ART)
https://www.cdc.gov/art/patientResources/index.html

Do Surrogate Mothers Pass on DNA?
https://www.conceiveabilities.com/about/blog/do-surrogate-mothers-pass-on-dna

Facts About Having a Baby With a Surrogate
https://www.health.com/pregnancy/having-baby-with-gestational-surrogate

The regulation of surrogacy: a children's rights perspective
https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5540169/

The Exploitation Of Women Through Surrogacy
https://www.ncfamily.org/the-exploitation-of-women-through-surrogacy/

JOHNSON v. Mark CALVERT
https://caselaw.findlaw.com/ca-supreme-court/1774439.html

U.S. Surrogacy Law By State
https://perma.cc/8VEN-2XCJ

The Permanent Bureau of the Hague Conference on Private International Law is currently studying the private international law issues being encountered in relation to the legal parentage of children, as well as in relation to international surrogacy arrangements more specifically.
https://www.hcch.net/en/projectslegislative-projects/parentage-surrogacy

Surrogate mother had the right to choose

https://edition.cnn.com/2013/03/06/opinion/oconnor-surrogate-abortion/(

Surrogate Mom Gives Birth to Baby Girl with Serious Birth Defects Despite Parents' Order to Abort
https://people.com/parents/surrogate-crystal-kelley-baby-with-birth-defects-parents-order-to-abort/

Building a Baby, With Few Ground Rules
https://www.nytimes.com/2009/12/13/us/13surrogacy.html

Adoptive Mom's Medical, Criminal Past Causes Surrogate to Revoke Agreement
https://abcnews.go.com/GMA/Parenting/twins-meant-adoption-surrogate-mom/story?id=9536107

Michigan Family Lost Twins After Surrogate Filed for Custody Following Delivery of Babies
https://blog.rebelcircus.com/michigan-family-lost-twins-surrogate-filed-custody-following-delivery-babies-2/

What you need to know about surrogacy
https://geneticliteracyproject.org/2015/07/30/what-you-need-to-know-about-surrogacy/

Surrogacy Survey 2018 Results
https://surrogacyuk.org/2018/12/31/surrogacy-survey-2018-results/

Merriam-Webster Dictionary
http://www.merriam-webster.com

Surrogacy Contracts, Abortion Conditions, and Parenting Licenses
http://blog.petrieflom.law.harvard.edu/2016/06/07/surrogacy-contracts-abortion-conditions-and-parenting-licenses-in-the-curious-case-of-cook-v-harding/

Japanese man fathers 16th baby via surrogate in Thailand
https://www.abc.net.au/news/2014-09-10/japanese-surrogacy-man-has-another-baby/5732856

WHO - Infertility definitions and terminology
https://www.who.int/reproductivehealth/topics/infertility/definitions/en/

If a genetic disorder runs in my family, what are the chances that my children will have the condition?
https://ghr.nlm.nih.gov/primer/inheritance/riskassessment

First surrogacy guidance published for England and Wales
https://www.bbc.com/news/health-43225867

Child trafficking row after surrogate baby 'abandoned' in India
https://www.bionews.org.uk/page_94777

Sex-selective abortions may have stopped the birth of 23 million girls
https://www.newscientist.com/article/2199874-sex-selective-abortions-may-have-stopped-the-birth-of-23-million-girls/?fbclid=IwAR0rFFCZ_bUNIjVY3ci4M4zlGNLkIKipA6DtYBzaWc0ISnE9LH0IpYOjYGI

The Regulation of Surrogate Motherhood in Greece
http://users.uoa.gr/~ahatzis/Surrogacy.pdf

The History of Surrogacy
https://surrogate.com/about-surrogacy/surrogacy-101/history-of-surrogacy/

**სხვა წყაროები**

ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშვების დამუშავების შესახებ რეკომენდაცია, პერსონაურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2015

"რეკომენდაცია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ", პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2016

ევროპის პარლამენტის დირექტივა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემთა თავისუფალი გადაადგილებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ, 95/46/EC, 1995.

Surrogacy: Review for Health Ministers of Current Arrangements for Payments and Regulation: Report of the Review Team, Her Majesty's Stationery Office, (1998)

Children's Rights Related To Surrogacy, Committee on Social Affairs, Health and Sustainable Development of the Parliamentary Assembly, Council OF Europe, 2016

Department of Health and Social Security, Report of the Committee of Inquiry into Human Fertilisation and Embryology,Her Majesty's Stationery Office, (1984)

Ethical Issues In Obsterics And Gynecolody, The International Federation of Gynaecologyand Obstetrics, Octomber 2012

Stoyanov v. Kelley, Complaint 3, 5, & 6 (May 10, 2012).

Guide on Article 8 of the Convention – Right to respect for private and family life, Council of Europe/European Court of Human Rights, 2018

Insight into Different Aspects of Surrogacy Practices, Jul-Sep 2018

International trade in human eggs, surrogacy and organs, A report from the Danish Council of Ethics, 2013, 50

Press Release, ECHR, 132, p.3, 10.04.2019.
Report of the Experts' Group on the Parentage / Surrogacy Project, Hague Conference on Private International Law, (meeting of 28 January – 1 February 2019)

Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018

Report of the Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and other child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018
Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Surrogacy in the UK, (December 2018)

Surrogate Motherhood: A Violation Of Human Rights, European Centre for Law and Justice, 2012

Martine Maillard and others v. France, ECtHR, Application NO 17348/18, lodged on 10 April 2018

Pierre Anne Braun v. France, ECtHR, Application NO 1462/18, lodged on 4 January 2018

Saenz Cortes v. France, ECtHR, Application NO 11288/18 lodged on 2 March 2018 and communicated on 29 March 2018